# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 მაისი 2000 №81 (1103) ფასი 50 თეთრი




# გიორგი ასანიძე

## ევროპის ჩემპიონი მსოფლიოს რეკორდით

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 9 ტური

# აღდგომა და გუშინ

როცა რამეს ველით, ვამბობთ — აღდგომა და ხვალეო.
მაგრამ სანამ სამომავლოს გადავწყვეტდით, ამ უქმეებზე მომხდარის ვთქვათ.
შაბათს ჩემპიონატის ლიდერმა „ტორპედომ“ „ბათუმი“ ისტუმრა და 4:0 მოუგო. 1995 წლის 16 აპრილის მერე ბათუმელებს შინაურ ოფიციალურ მატჩში 4 გოლი არ გაუშვიათ.
შაბათსვე „დინამომ“ ეროვნულ ჩემპიონატების ათი წლის თავზე სწორედ იმ „კოლხეთს“ უმასპინძლა, ვისთანაც პირველის სასტარტო-მატჩში 0:1 დამარცხდა. ჩემპიონი ამჯერად ქულას გამორჩა ტრადიციულად უხერხულ მეტოქეს, მაგრამ ახლანდელი დანაკარგი უფრო დიდი გამოდგა — „დინამო“ 3 ქულით დაშორდა „ტორპედოს“.
შაბათსვე ბოლნისში „სიონს“ 2:1 მოუგო „ვიტ ჯორჯიამ“, „დინამოს“ ქულითღა რომ ჩამორჩება.
კვირას საქართველომ აღდგომა იუქმა.
გუშინ კი, თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩებში „დინამო“ „ტორპედოს“ 1:1 დაუზავდა, „ლოკომოტივმა“ „ბათუმს“ 2:0 მოუგო. ვინ გავა ფინალში? აღდგომა და ხვალე!

თასის ნახევარფინალური და მეცხრე ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდებზე



შაბათს ქუთაისში: „ტორპედო“ — „ბათუმი“ 4:0. ტორპედოელმა დავით ჯანაშიამ სტუმრებს ორჯერ გაუტანა



ვალენსიელთაგან ორი გოლით გამორჩეული ანგულო (მარცხნივ) და ბარსელონელი პუიოლი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### ნახევარფინალი I წრე

2 მაისი

**ვალენსია 4:1 ბარსელონა**

1:0 ანგულო (10), 1:1 პელეგრინო (27 ს.კ.), 2:1 ანგულო (41), 3:1 მენდიეტა (45 პ), 4:1 კლაუდიო ლოპესი (90)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ფარინოსი, ხერარდი (ხუან სანჩესი 83), მენდიეტა, კილი გონსალესი, ანგულო (ალბელდა 78), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
ბარსელონა: ჰესპი, რეიციგერი, რ. დე ბური, პუიოლი (ბოგარდი 46), გვარდიოლა, გარსია, კოკუ, რივალდო, დჟნი (ლიტმანენი 61), კლუივერტი, ზენდენი (სიმაო საბროსა 75)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ფარინოსი, პუიოლი, გაბრი
მსაჯი: ურს მეიერი (შვეიცარია)
46 000 მაყურებელი

# შინაური მღვდლის რისხვა

ერთი მხრივ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო — „ბარსელონამ“ ვალენსიაში თამაშის წინ, ეტყობა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტთა ჩამონათვალს კი არა, ესპანეთის პირველობის ცხრილს დახედა.

მეორე მხრივ, შინაურ მღვდელს დანდობა არ სცოდნია — „ვალენსიამ“ კატალონიელებს ოთხი გოლი გაუტანა და მეტიც შეეძლო.

ულამაზესი სანახაობა ორი ესპანური გუნდის მონაწილეობით ნაწილობრივ მეოთხედფინალური ამბების კოლაჟს ჰგავდა: მასპინძლის ავტოგოლი, ბარსელონელთა სტუმრული მარცხი პირველ ტაიმში — 1:3 და იმდენი ბრწყინვალე ეპიზოდი, ხშირად მთელ გათამაშებაში რომ არ გროვდება ხოლმე. რა მოხდება ერთი კვირის თავზე „კამპ ნოუზე“? კატალონიელებს ისეთივე გმირობა მოეთხოვებათ, მეოთხედფინალში „ჩელსისთან“ რომ ჩაიდინეს, მაგრამ „ვალენსია“ „ჩელსია“?

## საქართველოს თასი

## ნახევარფინალი *პირველი მატჩები*

# ვალტერის საკონტროლო გასროლა

თბილისი
2 აპრილი
16 საათი
ეროვნული
10 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:1 ტორპედო**

0:1 მეგრელაძე (40), 1:1 გუჩუა (54)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, გუჩუა, სიჭინავა, ანჩაბაძე, წიტაიშვილი, მინაშვილი (პ. ჯინჭარაძე 46), შაშიაშვილი, ზირაქიშვილი (გ. შენგელია 46)
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; ქემოკლიძე, მონასელიძე, რუხაძე, ხუციშვილი
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე (ასათიანი 86), მახვილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 79), დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ჩხეტიანი (მაღლაკელიძე 79), თურმანიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* ჭანტურია; თავბერიძე, ამისულაშვილი, მ. ბობოხიძე
**გაფრთხილება:** გუჩუა (73)
**გაძევება:** გუჩუა (84)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ი. კახიანი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი**

მეორე ტაიმი „დინამოს“ შეტევებით დაიხუნძლა. შესვენებაზე ოთარ კორღალიძემ თავისი უთხრა ფეხბურთელებს, ამას ზირაქიშვილისა და მინაშვილის მაგიერ ჯინჭარაძე-შენგელიას დუეტის შეყვანაც დაემატა და მასპინძლებიც ერთობ გააქტიურდნენ. მათი შეტევები ძირითადად მარჯვნიდან (ხშირად) და ცენტრიდან (იშვიათად) ვითარდებოდა, პირველი ტაიმისთვის უცხო ხილი — მეტოქის კარში დარტყმაც გაიხსენეს თბილისელებმა და...

54-ე წუთზე კარიდან დაახლოებით ოცდახუთ მეტრში ბურთი ვალტერ გუჩუას მიუვიდა, მან ერთი კი გახედა ქუთაისელთა კარის მცველ ზოიძეს და ღონივრად მოიქნია მარჯვენა. წამებში ბურთი ზოიძისგან მარჯვნივ, ბადეში აფართხალდა.

ამას „ვალტერის საკონტროლო გასროლა“ დავარქვათ.

მანამდე კი (პირველ ტაიმში) პირობებს „ტორპედო“ კარნახობდა, მათი გამთამაშებელი გოგიაშვილი თამაშსაც ალაგებდა და დროდადრო ხმამაღალი შეძახილებით არც მოდუნების საშუალებას აძლევდა თანაგუნდელებს.

ჰოდა, მიხვდებოდით, პირველ ტაიმში გაჭრა ამ ყველაფერმა — „ტორპედო“ აშკარად უკეთესი იყო, დასაწყისშივე ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარში და თუ პირველ დარტყმას კიდევ ჰო, არა უშავდა და ათიდან რვა მეკარე მაინც აიღებდა (ოღონდ ვან დერ სარი, აბიატი, ბოსნიჩი და მისთანანი), მეორედ გრიშიკაშვილმა ისე იყოჩაღა, ტორპედოელ მეგრელაძეს თავში წააშენინა ხელი (როგორი ამბავია, პირისპირ გასული რომ ვერ გაიტან).

შეხვედრის ტემპი საშუალოზე მაღალი გახლდათ. თუ „დინამო“ ძირითადად სახვაძის ფლანგური გარღვევების ხარჯზე აპირებდა იოლად გასვლას, ქუთათურები, როგორც ალვნიშნეთ, ცენტრს ეძალებოდნენ და თუკი „მარჯვენა კულუარელი“ (კრუიფის ტერმინია) ახვლედიანი ფრთაზე გაჭრას იგუმანებდა, პასს არც უგვიანებდნენ.

გია მეგრელაძის გოლიც სწორედ ბადრის ფლანგზე გაჭრას მოჰყვა — ახვლედიანმა ყველაფერი ლამაზად გააკეთა, ჩაკიდულიც ლაზათიანი გამოუვიდა და მეგრელაძის თავურიც ისეთი იყო, ფეხბურთისთვის აწ განსვენებული ვიტალი სტარუხინი მოაწერდა ხელს.

იმერლები ცენტრში გარკვეულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ აშკარას — ვერა. ამის მიზეზი ყველგან მყოფი თენგიზ სიჭინავა და უკვე მოხსენიებული ვალტერ გუჩუა იყვნენ. მათი ხისტი, მაგრამ არა უხეში თამაში კვეტენაძე-იონანიძე-გოგიაშვილის ტრიოს ბოლომდე ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევდა და თუ პირველი ტაიმი უფრო დიდი ანგარიშით არ მოიგეს ყიფიანის შეგირდებმა, ეს სწორედ სიჭინავასა და გუჩუას დამსახურებაა.

ტაიმის ბოლოსთვის თითქოს ყველაფერი უნდა დამდოვრებულიყო — ტემპიც, ვნებათაღელვაც, მაგრამ პირიქით, ახვლედიანმა ფლანგზე სირბილს უხშირა და...

მეორე ნახევარში კორღალიძეს და კომპანიას დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, მთლად ვა-ბანკზე არ წასულან თბილისელები, მაგრამ ზურგი დიდავა-ვაშაკიძის დუეტს მიანდეს და დანარჩენები ტორპედოს კარისკენ გადაერივნენ. გუჩუას გოლის შემდეგ წიტაიშვილს ჰქონდა აშკარად გასატანი სიტუაცია, იგი თანაგუნდელებმა პირისპირ გაიყვანეს ზოიძესთან, მაგრამ კობამ კარიდან გამოსული მეკარე შენიშნა, ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა და... პირდაპირ ხელებში კი ჩააბარა.

დინამოელთა გააქტიურებამ სერიოზული საფიქრალი გაუჩინა დავით ყიფიანს და მწვრთნელმაც ორი საჭირო შეცვლა მოიშველია — გოგიაშვილისა და ჩხეტიანის მაგიერ მინდორზე პერსონალური დაცვის ოსტატები — შეყრილაძე და მაღლაკელიძე გამოჩნდნენ და პირველი სიჭინავას, მეორე კი გიორგი შენგელიას აედევნა, ამანაც გამოიღო ნაყოფი — „დინამოს“ შეტევები კვლავ დაცხრა.

ბოლო წუთზე კი ისევ მეგრელაძის თავურმა დაუხეთქეს გულები „დინამოს“ გულშემატკივრებს, გრიშიკაშვილმა ზედ ხაზზე გააქვავა ბურთი.

თამაშის სურათი არასრული იქნება, თუ იმ წითელ-ყვითელ ბარათებზეც არ ვიტყვით, გუჩუას რომ არგუნეს წილად. ვალტერის ხისტი თამაში მაინც გარდაისახა უხეშობაში, მერე ლაცაბიძეს ბურთიც ესროლა ფეხბურთელმა, მაგრამ... ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას მეტად ჰგავდა, არბიტრს განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა.



გიორგი შენგელია მიხეილ მახვილაძის (№3) სარმას გადაახტა

გუჩუას გარეშე თერთმეტი ძირითადი და კიდევ ოთხი დამატებითი წუთი ითამაშეს დინამოელებმა, ღირსეულადაც, მეგრელაძის ვერგატანილი კი ერთადერთი იყო. სხვა მომენტი ქუთაისელებს არ ჰქონიათ.

1:1 — ასე მორჩა შეხვედრა და გარკვევითაც არაფერი გარკვეულა. ყველაფერი ერთი კვირის მერე, ქუთაისში უნდა გადაწყდეს.

იქ კი, ალბათ, ველარ გაისვრის ვალტერი.

თბილისი
2 მაისი
19 საათი
ეროვნული
10 000 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 2:0 ბათუმი**

1:0 კვარაცხელია (12), 2:0 ჯულელი (68)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი (აბრამიძე 46), ლ. მიქაძე, ხიზანიშვილი, გ. ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი (ხუროძე 55), ჯულელი, გილაური, რუსია
*სათადარიგონი:* ასლანაძე; სალუქვაძე, კაციაშვილი, დ. გოდერძიშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, სიხარულიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, თარგამაძე (გელა ქორიძე 61), მინდაძე (ლლონტი 75), კ. ქაცარავა, თედორაძე (ხომერიკი 66), აფხაზავა, თ. ტუღუში, ა. მუჯირი
*სათადარიგონი:* თ. ჩლაიძე; შ. ხუჯაძე, ი. მახარაძე
**გაფრთხილება:** მუჯირი (41), ჩიხრაძე (49), სიდამონიძე (50), ჯულელი (71), ქორიძე (71), ხიზანიშვილი (77)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**კობა ინასარიძე**

# შემდეგი არაფერია, იღბალია ყველაფერი!

ნახევარფინალი — ეს სიტყვა თავისთავად მეტყველებს მატჩის პრინციპულობაზე. მით უფრო, თუ ერთმა გუნდმა იცის, რომ შინაური თასის გარეშე უეფას თასზე სათამაშოდ არავინ დაუშვებს, მეორეს კი სამეულში მოხვედრა საეჭვოდ გახდომია.

„ლოკომოტივს“ უთასოდ ევროპაში არავინ გააჭაჭანებს. „ბათუმი“ კი ამ ბოლო დროს ჩემპიონატის ცხრილში სამეულს ჩამოშორდა და იქ თუ არაფერი გამოუვიდა, ევროპის საკლუბო ტურნირზე სათამაშოდ ერთი გზაღა აქვს — თასი უნდა მოიპოვოს.

გუშინ „ლოკომოტივს“ რომ წაეგო, ვიტყოდით, თავიდანვე დაითარსაო, თუმცა რაკი საპასუხო შეხვედრის წინ ორბურთიანი ფორა დაიბევა, ასე ვთქვათ — როცა რკინიგზელები მატჩისთვის მოთელვას შეუდგნენ, მარცხენა მცველი გიალო ჩხაიძე დაუშავდათ, მას კუნთი დაეჭიმა და თამაში ველარ შეძლო. „ლოკომოტივმა“ განაცხადი შეასწორა, ჩხაიძის ნაცვლად გილაური იქნებაო.

მატჩის დაწყებამდე ერთიც იყო აღსანიშნი — საქართველოს ჰიმნზე იტალიელმა ჯანი კარნავალეიმ პირი რომ საქართველოს დროშისკენ იბრუნა, ქართველები ამ დროს რატომღაც მოჟივჟივე ბელურებს აკვირდებოდნენ.

კარნევალიმ საამმატჩოდ ახალგაზრდული შემადგენლობა შეარჩია. თუმც, როგორც მატჩის შემდეგ გვითხრა, სხვა რა გზა ჰქონდა. მალხაზ მახარაძე და პაატა მაჭუტაძე ტრავმირებულნი იყვნენ, კობიძე და რომანაძე დისკვალიფიცირებულნი. და მაინც, გუშინ კარნევალიმ მეკარე ჩლაიძის გარდა სათადარიგოდ ვინც მოიტოვა, ყველა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება. ბათუმელთა მწვრთნელის ასეთი არჩევანი გაუგებარია. მისმა თბილისელმა კოლეგამ რევაზ ძოძუაშვილმა კი სტაბილური თერთმეტეულით დაიწყო, თუ, რაღა თქმა უნდა, ჩხაიძის ტრავმას არ ჩავთვლით.

შესვენებამდე სულ ორად ორი ეპიზოდი იყო ისეთი, მაყურებელთა ვნებათაღელვა რომ გამოიწვია — ერთხელ, როცა კვარაცხელიამ გახსნა ანგარიში, მეორედ კი ტუღუშმა სამი-ოთხი მეტრიდან რომ გააცუდა: მე-12 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან გოგიჩაიშვილმა ბათუმელთა საჯარიმოში ჩააწოდა, ტოგონიძე ბურთს ვერ შესწვდა და ეს სტუმართათვის საბედისწერო გამოდგა, კვარაცხელიამ ბურთს თავი დაუხვედრა — 1:0; მე-40 წუთზე კი თედორაძემ „ლოკომოტივის“ საჯარიმოს ხაზიდან „ლოკომოტივის“ კარისკენ დარტყმა ვერ მოახერხა, ბურთი ერთ-ერთ თბილისელ მცველს მოხვდა და ლომაიას ცხვირწინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ტუღუშს მიუგორდა. რაღ გინდა? დაარტყა ტუღუშმა და ბურთი ტრიბუნაზე ავარდა. პირველ ტაიმში საინტერესო მეტი არაფერი ყოფილა, ორივე გუნდი დაცვაზე მეტს ზრუნავდა. ეტყობოდა, „ბათუმიც“ ყაბულს იყო 0:1-ზე.

განახლდა მატჩი და სტუმრები შესამჩნევად გააქტიურდნენ. ფაქტობრივად, დასახლდნენ კიდეც მეტოქის ნახევარზე, თუმც სახეირო ვერაფერი შექმნეს — იქვე, კარის მახლობლად აგორებდნენ, რკინიგზელთა მჭიდრო დაცვის გადამკიდენი კი დარტყმას ვერ ახერხებდნენ. მხოლოდ ერთხელ, 64-ე წუთზე, დაახლოებით 30 მეტრიდან დაჰკრა ბურთს ცაცია მძლავრად მუჯირმა და ძელი შეაზანზარა. დანარჩენ შემთხვევებში „ლოკომოტივი“ მშვიდად იგერიებდა ბათუმელთა შეტევებს და თავის დროს ელოდა. ელოდა 68-ე წუთამდე... გოგიჩაიშვილმა, რომელიც ჯულელთან და ხიზანიშვილთან ერთად მთელი 90 წუთი გამოირჩეოდა, მარჯვნიდან „ბათუმის“ საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი ყველას გადააფრინდა ჯულელის გარდა, რომელმაც ზუსტი თავურით ცხრიანში გაუტანა ტოგონიძეს.



გივი კვარაცხელიამ მასპინძლები ამ თავური გოლით დააწინაურა

მერე სტუმრები კიდევ ბევრს ეცადნენ, მსაჯიც შემოელანძლათ ერთიორჯერ, მაგრამ რკინიგზელები ძველებურად, მშვიდად, გონივრულად აგორებდნენ ბურთს და დაიბევეს კიდეც ბათუმის მატჩამდე ორბურთიანი სხვაობა.

რა მოხდება ბათუმში, ღმერთმა უწყის. გუშინდელი სტუმრები შინ შეეცდებიან თავისას „ლოკომოტივი“ კი... აშკარაა, ამ გუნდს დაცვა ეხერხება. კარნევალის შეგირდებს დიდი ბრძოლა მოუწევთ.

*ჯანი კარნევალი, „ბათუმის“ მწვრთნელი:*

— ყველაფერი იღბალია, დღეს ღმერთი არ გვწყალობდა. „ლოკომოტივმა“ სულ ორჯერ დაგვირტყა და ორჯერვე გაგვიტანა. მიუხედავად ამ ანგარიშისა, ვფიქრობ, შეგვწევს ძალა, ფინალში ვითამაშოთ, არაფერია დაკარგული. ჩვენი ბიჭები გადაღლილები იყვნენ, თანაც სხვადასხვა მიზეზთა გამო სასურველი შემადგენლობა ვერ ვათამაშე.

*რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივი“ მწვრთნელი:*

— ბათუმში მსაჯი ბოლოს რომ ჩასტვენს, ფინალში მაშინ ვიქნებით. მანამდე კი ძალიან მძიმე მატჩია. ზღვისპირელებმა შინაც თუ ისე შემოგვიტიეს, როგორც დღეს, ძალიან, ძალიან გაგვიჭირდება. საპასუხო მატჩში, რა ვიცი, ალბათ დაცვით ფეხბურთს ვითამაშებთ, დანარჩენი კი ვნახოთ...

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

## 9 ტური

# ძლივს არ ვნახე თამაში?!

ქუთაისი
29 აპრილი
16 საათი
ტორპედო
10 000 (ტევადობა 20 000)

**ტორპედო 4:0 ბათუმი**

1:0 ჯანაშია (15), 2:0 მეგრელაძე (32), 3:0 იონანიძე (44), 4:0 ჯანაშია (66)
ტორპედო: ზოიძე, მახვილაძე თურმანიძე, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, ახვლედიანი (შეყრილაძე 72), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, იონანიძე (ასათიანი 75) დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 70)
*სათადარიგონი:* ჭანტურია; მაღლაკელიძე, თავბერიძე, ამისულაშვილი
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, სიდამონიძე, შ. ხუჯაძე, კობიძე, გელა ქორიძე (ლლონტი 46), ა. მუჯირი (ხომერიკი 43), რომანაძე (კ. ქაცარავა 68), მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; მინდაძე, აფხაზავა, ტულუში
გაფრთხილება: რომანაძე (20), მახვილაძე (24)
გაძევება: კობიძე (50)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი; ს. კახიანი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
სფფ-ის დელეგატი: მ. ანჯაფარიძე

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

რეპორტაჟის სათაურში მოხმობილი სიტყვები ვინმეს კი არა, თვით „ტორპედოს“ პრეზიდენტს მიხეილ ქორქიას ეკუთვნის. კმაყოფილი იყო ქუთაისური კლუბის თავკაცი და არა მარტო ის. მატჩის შემდეგ ათიათასიანი აუდიტორია ფეხზე წამოუდგა გამარჯვებულებს და ოვაციები არ დაიზარა.

ტორპედოელებმაც უზომოდ გახარებულებმა დატოვეს სათამაშო არენა...

„ტორპედო“ — „ბათუმის“ მნიშვნელობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. გახსოვთ, შაბათის „სარბიელში“ მეთერთმეტე ეროვნულის ოქროს მაძიებელთა წინასამატჩო პერიპეტიებს მთელი გვერდი ვუძღვენით და ამჯერად მხოლოდ ჩვენსავე კითხვაზე („ბათუმი და მისი ჯანი თუ „ტორპედო“ ყიფიანით?) გვინდა გავცეთ პასუხი. პასუხი კი ერთია: „ტორპედო“ ყიფიანით!

ქუთაისელებმა აშკარად დაჯაბნეს ერთ-ერთი კონკურენტთაგანი, ყიფიანის გუნდმა მიწასთან გაასწორა ჯანი კარნევალისა. არა, „ტორპედოს“ გამარჯვება სულაც არ იყო გასაკვირი, წინა ტურებში არცთუ წარმატებული გამოსვლის შემდეგ გუნდი მოსაგებად იყო დაგეშილი, მაგრამ ამგვარ თამაშს და შედეგს ქუთაისელებისგან ცოტა ვინმე თუ ელოდა. „ტორპედოს“ უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სალაპარაკოდაც არ ღირსო — აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა იტალიელმა დამრიგებელმა. შექებაც ამას ჰქვია...

დავით ყიფიანს ამ მატჩში ექსპერიმენტების უფლება არ ჰქონდა და მეტოქეს ოპტიმალური შემადგენლობა დაუპირისპირა. ლიბეროდ თურმანიძე გაამწესა, ამნისტირებულ გოგიაშვილს კი ნახევარდაცვის ცენტრი გაამაგრებინა, წინ ჩვეულად დავით ჯანაშია და მეგრელაძე ათამაშა, ამათ დამხმარედ იონანიძე. კარნევალიმ უკან ოთხი ხაზზე არჩია, ხუთი ნახევარმცველითა და წინ წაწეული მაჭუტაძით შეეცადა ფონს გასვლას. ხაზზე თამაშთან ერთად იტალიელმა პერსონალური მეურვეობაც დაავალა თავის მცველებს. ჯანაშიას ზურაბ არჩვაძე მიუჩინა, მეგრელაძეს სიდამონიძე, იონანიძეს კი ივანე მახარაძე. ეს სამი კი კარნევალის ჩანაფიქრით, გამოცდილ მალხაზ მახარაძეს უნდა დაეზღვია. აქვე ვიტყვით, არ გაამართლა იტალიელი მწვრთნელის ამ ტაქტიკამ, „ბათუმმა“ სწორედ დაცვაში მოისუსტა ყველაზე მეტად, თუმც ისიც სათქმელია, მცველებს ძალიან დიდი ჯაფა ადგათ ქუთაისელთა წინახაზელებისგან.

როგორც აღვნიშნეთ, მასპინძელთა უპირატესობა უდავო იყო, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ზღვისპირელებს თავიდანვე გაუჭირდათ. მე-6 წუთზე მათი კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. გოგიაშვილმა ჩხეტიანს დაუგორა დასარტყმელად, ტოგონიძე ადგილზე დაუხვდა ბურთს. „ტორპედომ“ თანდათან გაამწვავა იერიშები და მალე დაწინაურდა კიდეც. მოედნის ცენტრში ბურთსდაუფლებულმა იონანიძემ მოკლე პასი გაუკეთა გოგიაშვილს, ამან უმალ ჯანაშიას გაუჭრა „დერეფანში“. ტორპედოელი საჯარიმოში უპრობლემოდ გაუმკლავდა მცველებს და, მართალია, მისი პირველი დარტყმა ტოგონიძემ მოიგერია, ჯანაშიამ მეორედაც მოახერხა კარში დარტყმა და ამჯერად მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ხუთი წუთის შემდეგ მასპინძლებმა „ბათუმის“ საჯარიმოს შიგნით თავისუფალი დარტყმის უფლება მოიპოვეს, რითაც გაორების კარგი შანსი მიეცათ, მაგრამ უხეიროდ გაათამაშეს ბურთი. ლაღად მოთამაშე „ტორპედო“ სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. მეორე გოლიც ლოგიკური აღმოჩნდა. გოგიაშვილმა ბათუმელთა საჯარიმოში მეგრელაძის მისამართით გაგზავნა და გიაც საუცხოოდ გაისარჯა. მცველებს დაასწრო, მარჯვენა ფეხით ჩამოიგდო და უმალ მარცხენა მიაყოლა. ბურთი ტოგონიძისგან შორეულ კუთხეში შეფრინდა.

სტუმრებს არც მანამდე გამოსდიოდათ თამაში, 0:2-ის შემდეგ კი უფრო დაიბნენ, თანაც ნერვიულობა დაეტყოთ. მატჩის შეჩერება და მთელი სამი წუთი დასჭირდა არბიტრს წაკინკლავებული მახვილაძისა და მუჯირის შესარიგებლად. კარნევალი იძულებული შეიქნა მუჯირი ხომერიკით შეეცვალა. ყიფიანმაც უმალ მიმართა კონტრზომას, ბათუმელ ფორვარდს ხვადაგიანი მიუჩინა სადარაჯოდ და ტორპედოელმაც პირნათლად შეასრულა მწვრთნელის დავალება, ხომერიკი, ფაქტობრივად, ბურთს არ გააკარა. ეს რა თქმა უნდა შესვენების შემდეგ. პირველ ტაიმს კი ალექსანდრე შილაკაძემ ხუთი წუთი გადაამეტა. სამართლიანადაც და სწორედ დამატებულის ბოლოსწინა წუთზე მასპინძლებმა მესამედაც დალაშქრეს ზღვისპირელთა კარი. ჯანაშია ბათუმელ მცველებზე მალხაზ მახარაძეზე და არჩვაძეზე მკვირცხლი აღმოჩნდა, მოედნის ცენტრთან ახლოს აართვა მათ ბურთი და სწრაფად გაიჭრა წინ. ტორპედოელმა გადამწყვეტ მომენტში საუკეთესო გაგრძელება მოძებნა, მისგან მარცხნივ სტუმართა საჯარიმოში ხელსაყრელ პოზიციაზე გასულ პარტნიორს უპასა ზუსტად. იონანიძემაც დაუფასა, მოსაგერიებლად წინ გამოსულ ტოგონიძეს ტექნიკური დარტყმით შანსი არ დაუტოვა.



ჯანაშიამ ამ დარტყმით ტოგონიძის და არჩვაძის (№3) „ბათუმს“ მეოთხე გაუტანა

გალდი ... ფოტოები

თამაში ხუთი წუთის განახლებული იყო, რომ „ბათუმი“ კაცნაკლული დარჩა. შილაკაძემ შეგინება არ აპატია კახა კობიძეს და წითელი აუნთო. სტუმრები სრული შემადგენლობით ვერ ხეირობდნენ და ათნი რაღას იზამდნენ. კი, შარშანწინ ბათუმელებმა სწორედ რომ კაცნაკლულებმა 3:1 ამოუქაჩეს „ტორპედოს“, მაგრამ ქუთაისელები შაბათს ისე იყვნენ შემართულნი, ასეთ ლაფსუსს აღარ დაუშვებდნენ, თანაც „ბათუმს“ სამის კი არა, ერთის გაქვითვის თავი არ ჰქონდა. ასე განსაჯეთ, ზღვისპირელებს პირველ ტაიმში საერთოდ არ დაურტყამთ ქუთაისელთა კარში, ხოლო მეორეში ერთადერთხელ შეაწუხეს ზოიძე. ხუჯაძემ შორიდან დაარტყა ჯარიმა, ისიც სუსტად და მეკარე იოლად დაეუფლა ბურთს.

„ტორპედო“ კი, მიუხედავად იმისა, რომ თამაშის ტემპი შედარებით დააგდო, მეორე ნახევარშიც თავის სტიქიაში იყო. შუა ტაიმში იონანიძის გამოზომილი გრძელი პასით ჯანაშია მეკარესთან პირისპირ დარჩა და ვიდრე ტოგონიძე მიუახლოვდებოდა, მანამდე დაურტყა დაბალ კუთხეში — 4:0. მერე მახვილაძეს და კვეტენაძეს ოდნავ აუცდათ შორეული დარტყმები. მატჩის ბოლოსწინა წუთზე ჯანაშია იყო ჰეთ-თრიკთან ახლოს. დათომ ასათიანთან გაითამაშა „კედელი“ და 15 მეტრიდან კარგადაც დაარტყა ტოგონიძისგან შორეულ კუთხეში, მაგრამ მეკარეს ძელი შეეშველა.

„ტორპედომ“ სრულფასოვანი რევანში აიღო 5 აპრილს ბათუმში განცდილი მარცხისთვის. მერე თბილისიდან მოსული ცნობა, „დინამო“ ფრეს დასჯერდა „კოლხეთთანო“... ტორპედოელებმა ლიდერობა განიმტკიცეს.

„ბათუმი“ კი... რით ვანუგეშოთ ზღვისპირელები? ალბათ, კეთილი სურვილებით და მომავალ თამაშებში უკეთესის იმედით. ისე, საანგარიშო მატჩამდე ბათუმელთა დაცვა ყველაზე მყარად ითვლებოდა ჩვენში. ჯანი კარნევალის ხელში გუნდს მხოლოდ ერთხელ გაეშვა ორი ბურთი. უფრო ძველს თუ გავიხსენებთ, უკანასკნელად „ბათუმმა“ ჩემპიონატის მატჩში ოთხი ბურთი 1995 წლის 16 აპრილს გაუშვა და ისიც „ტორპედოსთან“.

## მატჩის შემდეგ

*ჯანი კარნევალი, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი.* ბევრჯერ მითქვამს და ერთხელაც გავიმეორებ, „ტორპედო“ საუკეთესო ქართული გუნდია, იგი ყველაზე მეტად იმსახურებს ჩემპიონობას. ეს დღესაც დამტკიცდა. „ტორპედოს“ უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს. ჩვენ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით დაცვაში. ბიჭებს სულ ვაფრთხილებდი, რომ უფრო ყურადღებით ყოფილიყვნენ ისეთ სწრაფ ფორვარდებთან, როგორებიც ჯანაშია და მეგრელაძე არიან. ძნელია მათ წინააღმდეგ ხაზზე თამაში.

ვფიქრობ, ჩვენი გუნდის ბოლოდროინდელ გამოსვლებზე ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც იმოქმედა. ბათუმში „ტორპედოსთან“ მოგებული მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ველარ ვცნობდი, თავში აუვარდათ. არადა, რეალურად ჩვენი გუნდი საჩემპიონოდ ჯერ მზად არ არის, მანამდე ძალიან დიდი სამუშაოა. დღესდღეობით ჩვენი მიზანი ჩემპიონატის პრიზიორობა, უეფას თასის საგზურის მოპოვებაა.

ტულუშს ფეხის ტრავმა კი აწუხებდა, მაგრამ ბოლოსკენ მომჯობინდა, თამაშამდე ტკივილის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს. მეორე ტაიმში მოედანზე გასვლა ვთხოვე, მან კი, ვერ შევძლებ, ფეხი მაწუხებსო. ფეხბურთელს არ აქვს ასე მოქცევის უფლება.

რა თქმა უნდა, ამ წაგებით ჩვენთვის არაფერი დამთავრებულა, ბრძოლას გავაგრძელებთ. უკვე მომავალ ტურში თბილისის „დინამოსთან“ გვიწევს თამაში. ამ მატჩში ყველაფერი უნდა გავიღოთ გასამარჯვებლად. სხვა გზა არა გვაქვს.

*დავით ყიფიანი, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი.* წინა მატჩებში გუნდის სათამაშო კონდიციის დაქვეითება მოსამზადებელ პერიოდში დაშვებულ შეცდომებთან ერთად შეიძლება ფსიქოლოგიური ფაქტორითაც ავხსნათ. ძალიან დაძაბული კალენდარია. ორ თამაშში დამატებულ დროში მივიღეთ გოლები. ხშირად მესმის, ამა თუ იმ თამაშში უნდა გადაწყდეს ჩემპიონობის ბედიო. მთლად ასეც არ არის. ჩემპიონის ვინაობა 30 მაისს ბოლო ტურში გაირკვევა. „ბათუმთან“ ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არა ვარ. ჩვენ არც მომდევნო ტურებში გვაქვს ქულების დაკარგვის უფლება. არავის ეგონოს, რომ „იბერიასთან“ და „დილასთან“ სტუმრად იოლი მატჩები გვექნება. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „დინამო“ „კოლხეთთან“ ქულებს შეელეოდა. ყველაფერი ხდება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბათუმი“ — „დინამოს“ მატჩს. ბათუმელებმა თუ ეს მატჩი დათმეს, სამეულში ველარ მოხვდებიან. ამიტომ, ვფიქრობ, 13 მაისს თბილისში „დინამოსთან“ სათამაშოდ სოლიდური მარაგით ჩავალთ.

თქვენ ამბობთ, რომ გოგიაშვილმა დღეს კარგად ითამაშა და არც წინა მატჩებში უნდა დაგვესვენებია... გოგიაშვილი სამართლიანად დაისაჯა. როცა მოთამაშეს ცვლი და იგი 20 ათასი მაყურებლის თანდასწრებით პროტესტის ნიშნად ხელებს შლის და იგინება, როგორ უნდა მოექცე? თამაშები გამოვატოვებინე. მანამდე სხვაგვარადაც დავსაჯეთ, მაგრამ არ გაჭრა. გოგიაშვილს კი არა, რივალდოს სვამენ სკამზე. გოგიაშვილი რომ ამგვარად არ დამესაჯა, დღეს ასე თავს არ დადებდა და ეს რომ არ გაეკეთებინა, გუნდიდან მისი გაშვების საკითხს დავაყენებდი. იმაში კი გეთანხმებით, რომ შეუცდომელი არავინ არის.

რბილი კაცი ყოფილა კარნევალი, მე მის ადგილზე ტულუშს ასეთი საქციელისთვის გუნდიდან გავაძევებდი.

კობიძეს სამართლიანად დაატოვებინეს მოედანი. მე კარგად მესმოდა, როგორ აგინებდნენ არბიტრს ფეხბურთელები. ველარ მოითმინა მსაჯმა. ისე, მე მის ადგილზე კობიძეს გოგიაშვილს და სხვასაც მივაყოლებდი. ფეხბურთელის მოვალეობა თამაშია და არა მსაჯის კრიტიკა.

ვასილ გიგიაძის „ტორპედოში“ მოყვანა გადაწყვეტილია. უახლოეს დღეებში განაცხადში შევიყვანთ და ვათამაშებთ კიდეც.



ივანე მახარაძემ (№2) ხელი ვერ შეუშალა ჩემპიონატის ბომბარდირ ზურაბ იონანიძეს მე-20 გოლის გატანაში

[illegible] ქუთაისიდან

### «ა» ზონა

29 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 4 |
| ბათუმი | 0 |
| სიონი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| დილა | 3 |
| იბერია | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 23:9 | 35 |
| დინამო | 9 | 3 | 6 | 0 | 10:2 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 31 |
| ბათუმი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:7 | 29 |
| კოლხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 25 |
| სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | 18 |
| დილა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:19 | 16 |
| იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 5:22 | 16 |

### «ბ» ზონა

28 აპრილი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თბილისი | 1 |
| გორდა | 4 |

29 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 4 |
| ხობი | 2 |
| ლოკომოტივი | 3 |
| თსუ | 0 |
| მერანი | 0 |
| სამგურალი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 9 | 6 | 3 | 0 | 10:1 | 29 |
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:2 | 29 |
| გორდა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:4 | 27 |
| თსუ | 9 | 5 | 0 | 4 | 11:10 | 23 |
| სამგურალი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:6 | 18 |
| არსენალი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:18 | 14 |
| თბილისი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:18 | 11 |
| ხობი | 9 | 1 | 0 | 8 | 9:29 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები გათვალისწინებულია



გურამ დოლიძაშვილის ფოტო

კუთხური „კოლხეთის“ კართან: ქვაჩახია, ჩიტაია და ქობულაძე (№19) მინაშვილის და ვაშაკიძის (№3) იერიშს იგერიებენ

# ახალკაცის თავი

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 1:1 კოლხეთი**

1:0 წიტაიშვილი (29), 1:1 ახალკაცი (51)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, დათუაძე (გ. შენგელია 59), წიტაიშვილი, სიჭინავა (მონასელიძე 77), მინაშვილი, გუჩუა, ანჩაბაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, რუხაძე, პ. ჯინჭარაძე, შაშიაშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გ. ჩიტაია (კედელაშვილი 46), გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, ხუჭუა, ე. გვასალია, მ. ქობულაძე (შავგულიძე 85), შალამბერიძე (ახალკაცი 41)
*სათადრიგონი:* მ. გვასალია; პაპავა
**გაფრთხილება:** შალამბერიძე (10), ტრაპაიძე (56), ხუჭუა (87)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი**

ფოთის „კოლხეთმა“ დედაქალაქში ჩამოსვლამდე საკუთარ „ფაზისზე“ „ბათუმი“ და „ტორპედო“ რომ დააჩოქა, „დინამოს“ გამამწარებლის იმიჯი შეინარჩუნა და ჯერჯერობით კვლავაც ჩემპიონებს გვარიანი სანერვიულოც დაუტოვა.

„დინამოსთვის“ ბოლომდე ჯერაც არაფერია დაკარგული, მაგრამ კორლალიძის გუნდმა თუ ასე გააგრძელა, ალბათ, ვერცხლი და ვიცე-ჩემპიონობაც სანატრელი გაუხდება.

წვიმდა შაბათს თბილისში. აღდგომის წინადღით პატარა წვიმა აბა, ვის გაუკვირდებოდა, მაგრამ ტრიბუნაზე მოკალათებულმა ერთ-ერთმა ქომაგმა დანანებით ჩაილაპარაკა, ბუნებამ „დინამოს“ ჩემპიონობა გამოიტირაო.

ძნელი სათქმელია, რაზე წუხდა ის ხნიერი კაცი, „დინამო“ ჩემპიონი რომ ვერ გახდება (ჯერაც საკითხავია), თუ იმას, გუნდი რომ არ ვარგა.

„ამ ბიჭს მეტად თარსი ფეხი აქვს, მაგის გამწარებული თბილისური გუნდებიც მინახავს. მეტად ენერგიულად შემოვიდა, ალბათ, გაიტანს“ — ტრიბუნაზე ვერ ისვენებდა მრავლისმნახველი გულშემატკივარი, რომელიც მეორე იარუსზე იჯდა განმარტოებით და დაუსრულებლად ეწეოდა.

ტრავმირებული ჯონი შალამბერიძის ნაცვლად მინდორზე შემოსულმა რომან ახალკაცმა არც თავი შეირცხვინა, არც ქომაგის პროგნოზი გააწბილა და...

...„კოლხეთმა“ კუთხური გაითამაშა, თითქოს უხეიროდ, მაგრამ ხუჭუამ საჯარიმოში ბურთის ჩაწოდება მაინც მოახერხა, კარიდან გამოსულმა გრიშიკაშვილმა ხელები ჰაერსლა წაუპოტინა. მეკარეს თავდამსხმელმა დაასწრო და თავით ბურთი კარში გადაგზავნა.

შეცდომამ დინამოელთა მეკარე მწყობრიდან გამოიყვანა. ერთ მომენტში შმაიხელობა მოინდომა და სტუმართა საჯარიმოსკენ გაენთო, აქაოდა, თანაგუნდელთა კუთხურში მონაწილეობას მეც მივიღებო. ვერ ივარგა „კოლხეთმა“, თორემ შეიძლებოდა, „დინამო“ მთლად უქულოდ დარჩენილიყო.

მერე გრიშიკაშვილი კაპიტან დიდავას წაეკიდა და ერთმანეთისკენაც გაიწიეს, თუმც მინდორზე მათი დაშოშმინება თანაგუნდელებმა მოახერხეს, გასახდელში რა მოხდა, არ ვიცი.

მანამდე „დინამოსთვის“ ყველაფერი კარგად აეწყო. დასაწყისშივე სტუმარმა ქობულაძემ ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან და მასპინძლებმაც იძალეს. ამის ლოგიკური დასასრული წიტაიშვილის ლამაზი გოლი გახლდათ. სწრაფი სამსვლიანი კომბინაცია კობამ ეფექტური დარტყმით დააბოლოვა.

მაშინ ბევრს ეგონა, მასპინძლები სულ ცოტა, ორ-სამს კიდევ გაიტანდნენ, ჰქონდათ კიდეც გასატანი, მაგრამ...

მერე „კოლხეთიც“ გონს მოვიდა. არა, ფოთელები უშეცდომონი როდი იყვნენ, მაგრამ თამაშობდნენ თავდადებულად და ამან შედეგი მოიტანა, თუმც ისეთი, რომელსაც კოლხთათვის მაინცდამაინც სასიკეთო არ ეთქმოდა.

მატჩში მიღებული ტრავმებითაც თანასწორნი დარჩნენ მეტოქეები. ამ მიზეზით სტუმრებს ჯონი შალამბერიძე გამოაკლდათ პირველ ტაიმში, ხოლო მეორეში კორლალიძემ დათუაძე მოიკლისა. ფოთელმა თეძო დაიზიანა, თბილისელმა კოჭი დაიშავა.

სხვა მეტი რა მოგახსენოთ, დიდი ვერაფერი თამაში ვიხილეთ. დუნე მატჩი იყო, შეცდომებით დახუნძლული. 75-ათასიან სტადიონზე კი ათასამდე ქომაგი მოსულიყო, არადა, ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო.

# როგორც ქუხს, ისე წვიმს

ბოლნისი
29 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
600 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:2 ვიტ ჯორჯია**

0:1 გოჩაშვილი (17), 0:2 ქორიძე (53), 1:2 გოგოლაძე (80)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, მ. სამხარაძე (ელბაქიძე 70), მოსეშვილი, ისიანი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (დ. ჯაფარიძე 65), ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ვოლკოვი; კენჭოშვილი, თ. სამხარაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია (დილმელაშვილი 65), ლ. ნოზაძე, ყიფიანი, კოტორაშვილი (ზ. გვაზავა 79), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 70), კობიაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, ი. ხაჭაპურიძე, დ. დოლიძე
**გაფრთხილება:** თოდუა (45), გოდერძიშვილი (71), ჯაფარიძე (90)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ჯვარიძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან**

ფეხბურთზე მწერალ კაცს ფეხბურთის ცოცხლად ნახვა მონატრებული არც უნდა გქონდეს, მაგრამ რა ვუყოთ, ასეთია ჩვენი ჩემპიონატი. ქართულ სარბიელებზე ნანახს ხშირ შემთხვევაში ფეხბურთს ძნელად თუ უწოდებ, მაგრამ ღვთის მადლით, გამონაკლისიც არის და შიგადაშიგ ჩვენს ეროვნულ პირველობაზე ისეთი ბურთაობა გაჩაღდება ხოლმე, თქვენი მოწონებული. თამაშს გუნდები ქმნიან და მადლობა „ვიტ ჯორჯიასა“ და „სიონს“ შაბათს ნათამაშევი ფეხბურთისთვის.

ფაქტია, ორივე გუნდმა ეშხი და ინტრიგა შეჰმატა XI ეროვნულს. პირველად ეს „სიონმა“ გააკეთა პირველ ეტაპზე, როცა თავს და „ლოკომოტივს“ აჯობა და რჩეულთა შორის ალზევდა. და „ვიტ ჯორჯია“... როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო, ბევრს უთქვამს ამ გუნდზე და ვეტერინართა საჩემპიონო თუ საევროპო ამბიციები ეჭვქვეშ დაუყენებია. ფაქტი კი ჯიუტია, აგერ ჩემპიონობის გასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ვიტელები ქულითლა ჩამორჩებიან მეორეადგილოსან „დინამოს“. ციფრებ-ქულებიც იქით იყოს და, ფაქტია — სწორ, გამართულ, ეშხიან ფეხბურთს თამაშობენ ახალგაზრდები.

„სიონს“ ხუთი კაცი აკლდა ძირითადი შემადგენლობიდან, მაგრამ არც მას უთამაშია ურიგოდ. ჩვეულად, ჟინიანად იბრძოდნენ ქვემოქართლელები, მაგრამ სტუმრებს ერთი წამითაც არ გაუხდიათ საეჭვო მატჩის საბოლოო შედეგი. მათ ბრჭყალები პირველად მეშვიდე წუთზე გამოაჩინეს. გიორგი ქორიძემ ვლადიმერ გოჩაშვილის პასი მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო, მეურვეც მოხდენილად ჩამოიშორა და კარის ხაზიდან წინ გამოსულ დალაქიშვილს ძლიერად დაურტყა. მეკარემ გაჭირვებით შეძლო ბურთის მოგერიება. ორი წუთის შემდეგ ქორიძემ კოტორაშვილის ჩინებული პასი ვერ გამოიყენა და მეკარისგან შორეულ კუთხეს ბურთი ოდნავ ააცილა. ამ მომენტმა მასპინძლებიც გამოაფხიზლა და მალე ისიანის სახიფათო ჯარიმას კახა გოგოლაძის თავური დარტყმა მოჰყვა, თუმც ოდნავ არაზუსტი. იქვე ჭურაძე შეცდა და ბურთი პირდაპირ შენგელიას გადააწოდა. მანაც წამსვე გოგოლაძე მოძებნა, თუმც ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილ სიონელს ბოლო მომენტში ჭანკოტაძემ დაასწრო და ბურთი კუთხურზე გადაუგდო. გათანაბრებულ თამაშში გარდატეხა გიორგი ყიფიანმა შეიტანა. მე-17 წუთზე მისი ეფექტური ფლანგური გარღვევა საჯარიმოში ჩაწოდებით და გოჩაშვილის გოლით დასრულდა. ყიფიანმა სამ მცველს შორის გაუჭრა ბურთი პარტნიორს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლაშა ნოზაძის გააზრებული თამაში, ვერცხლის წყალივით მოძრავმა საყრდენმა ნახევარმცველმა სრულად დაიპყრო მოედნის ცენტრი და ეფექტურ გადაცემებს შიგადაშიგ მოხდენილ შორეულ დარტყმებსაც უნაცვლებდა. ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შედეგად ტაიმის შუაწელში „სიონი“ მეორე გოლს გადაურჩა — ნოზაძის ოცდახუთიოდე მეტრიდან გასროლილი ხარიხამ დააბრუნა საჯარიმოში. მასპინძელთა კარის ხარიხა 30-ე წუთზეც მოინახულა ბურთმა — კოტორაშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულს ქორიძე დაუხვდა, დალაქიშვილმაც რეაქცია დააგვიანა, მაგრამ... მალე „სიონს“ ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი მიეცა, სამხარაძის ფლანგურ გარღვევას ბურთის საჯარიმოში ჩაწოდება და კახა გოგოლაძის ეფექტური თავური მოჰყვა — ჭურაძემ მკვდარი ბურთი მოიგერია.

მეორე ნახევრის პირველივე წუთზე ყიფიანმა მარცხენა ფრთაზე ნოზაძის პასი მიიღო, გიორგიმ სისწრაფეში ორ მცველს აუარა გვერდი და მოჭრილი დარტყმით გადაგზავნა ბურთი კარში — დალაქიშვილს მხსნელად ძელი მოევლინა. ეს იყო და „სიონმა“ გააფთრებით შეუტია სტუმრებს. ხუთწუთიან მონაკვეთში ბოლნისელებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ჯერ კახა გოგოლაძეს გაუცუდდა თავური, შემდეგ კი საჯარიმოში მოსეშვილმა დააგვიანა დარტყმა. 52-ე წუთზე ვიტელებმა ჯარიმის უფლება მოიპოვეს და მუჯირმა საჯარიმოში შეჭრილ ქორიძეს ფეხზე დაასვა ბურთი, გუნდის ბომბარდირმა ივარგა და „სიონიც“ რეალურად დადგა საფრთხის წინაშე — 0:2.

გოლმა ისედაც გახსნილი თამაში უფრო საინტერესო გახადა. ქვემოქართლელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და მეტოქის კარს მიეძალნენ. თავის მხრივ სტუმრები დინჯად, აუღელვებლად ცდილობდნენ ბურთის დაჭერას და ეფექტური კონტრშეტევების წამოწყებას. ვეტერინარები ამას კარგადაც აკეთებდნენ და დარჩენილ მონაკვეთში არაერთხელ შეეძლოთ სტუმართა კარის აღება, მაგრამ დალაქიშვილი ყოჩაღობდა. დრო გადიოდა და „სიონი“ არ ნებდებოდა. ამან შედეგიც გამოიღო — მე-80 წუთზე ისიანის შორეულ პასს, საპენალტო ნიშნულიდან კახა გოგოლაძემ ეფექტური თავური მიაყოლა. ჭურაძე უძლური იყო, ბურთი ლამაზი ტრაექტორიით ჩაეშვა კარში. დარჩენილ დროში სტუმრებმა დაცვის ხაზში მცირე გადაადგილება მოახდინეს და უპრობლემოდ მიიყვანეს შეხვედრა გამარჯვებამდე.

ვიტჯორჯიელებმა განსაკუთრებულად მატჩის შემდეგ, გასახდელში გაიხარეს — „დინამო“ „კოლხეთს“ დაზავებოდა.

# შიმშილის იმედი

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
ისანი
60 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 4:2 ხობი**

0:1 ვ. ჩიტაია (45), 1:1 ქოიავა (70), 2:1, 3:1 ხმალაძე (72, 80), 4:1 ტუღუში (87), 4:2 ლ. ბუკია (89)
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე, კაკაშვილი, ხმალაძე, ქოიავა, გ. ტუღუში
*სათადარიგონი:* ქაცარავა; ჩალაძე, წონ̃კოლაური, კვირკველია
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, დ. ჩიტაია (აბაკელია 74), ჯიქია, ზურაბ აიანადი, მ. ტყებუჩავა (მ. ბუკია 83), ოდიშარია, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ვ. ჩიტაია, ვართაგავა
*სათადარიგონი:* ხურცილავა, ჭიჭინაძე, ლატარია, თოლორდავა
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**ვანო ოქროპირიძე**

თამაში რომ დაიწყო, „ისანის“ ტრიბუნას თვალი გადავავლე და... მზესუმზირის, ნაყინის, კოკა-კოლისა და ფუნთუშის გამყიდველთა, გუნდების წარმომადგენელთა, სტადიონის მომსახურე პერსონალის, სფფ-ის დელეგატის და ჩემი ჩათვლით (ვინლა დარჩაო, იტყვით) 41 კაცი დავთვალე. დიახ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის ორი წყალწაღებულის „არსენალი“ — „ხობის“ მატჩს თავიდან სწორედ ამდენი მაყურებელი ჰყავდა. ოციოდეც თამაშს მსვლელობისას შემოემატა.

ჰა, რა ჰქენით, შეგროვდით ბოლო-ბოლო თერთმეტი კაცი, ჰკითხა სტადიონის ერთმა თანამშრომელმა ერთ-ერთ არსენალელ ფეხბურთელს მატჩის დაწყებამდე ოცი წუთით ადრე. ფეხბურთელს ჩაეცინა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

„აბა, როგორ უნდა ვიყოთ, თბილისს ახლა, ზედ თამაშის წინ, მიკროავტობუსით ვეწვიეთ, ძირითადის შვიდირვა მოთამაშე არც წამომიყვანია. რა აზრი აქვს, მაინც გავარდნილები ვართ“ — ეს სიტყვები „ხობის“ მთავარმა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ შეხვედრის წინ გვითხრა.

აი, ეს გუნდები შეერკინენ ერთმანეთს შაბათს ავლაბარში. შეერკინენ და არც თუ უინტერესო თამაში შესთავაზეს მცირერიცხოვან მაყურებელს. „არსენალმა“, მიუხედავად იმისა, რომ 70-ე წუთამდე 0:1-ს აგებდა, 4:2 გაიმარჯვა და მეტოქეს მეორე ლიგის საგზური ოფიციალურადაც გაუფორმა, თავად კი დარჩენის თეორიული შანსი ოდნავ გაიზარდა, მაგრამ ვაი, ასეთ შანსს.

ვიდრე უშუალოდ თამაშზე გადავიდოდეთ, ერთსაც ვიტყვით, სტადიონზე „წესრიგს“ ხუთიოდე პოლიციელი „იცავდა“. ისინიც, უკლებლივ, „ხობის“ სათადარიგოთა სკამზე (წვიმამდეც და მეორე ტაიმში წამოსული თავსხმა წვიმის დროსაც) ისე მოკალათებულიყვნენ, თითქოს კაი მწვრთნელ-მასაჟისტები ყოფილიყვნენ.

მატჩის 45-ე წუთი მიმდინარეობდა, ვლადიმერ ჩიტაიამ რომ საჯარიმოში მოიგდო ბურთი, ცრუმოძრაობით მცველი ჩამოიშორა და კუპატაძეს აუღებელი დაურტყა. ასე დაწინაურდნენ ხობელები. ეს გოლი ლოგიკურიც იყო, რადგან პირველი ტაიმის მიწურული სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობდა. ხობელები მასპინძელთა კარს რამდენჯერმეც დაემუქრნენ, თუმცა ასპროცენტიან მომენტამდე საქმე ერთხელ (ბოლო წუთზე) მივიდა და მაშინაც გოლი გავიდა. სულ თავიდან კი „არსენალმა“ შეუტია, თუმცა სახეირო ვერაფერი ნახა. არადა, ირაკლი კაპანაძესა და ზურაბ ქოიავას მართებდათ გატანა.

მეორე ტაიმში „ხობი“ აშკარად გადაღლილი ჩანდა. ფეხბურთელებს მომქანცველმა მგზავრობამაც თავისი დაღი დააჩნია. თბილისელებმაც აქტიურად ჩაატარეს მეორე ნახევარი. არმიელები განსაკუთრებით მე-60 წუთიდან გამოცოცხლდნენ და მეტოქეს შავი დღეც დააწიეს. 70-ედან 87-ე წუთამდე ნიქაბერიძეს ოთხჯერ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა. ოთხჯერ კი არა, რვაჯერაც გამოიტანდა, მასპინძლებს რომ ხელსაყრელი მომენტები არ გაეფუჭებინათ. ხმალაძის დუბლსა და ქოიავასა და ტუღუშის თითო გოლს სტუმრებმა 89-ე წუთზე ერთითლა უპასუხეს. მცველების შეცდომით ვლადიმერ ჩიტაიამ და ლაშა ბუკიამ ისარგებლეს. ბუკია პარტნიორმა კუპატაძესთან პირისპირ დატოვა და ლაშამაც ორ ბურთამდე შეამცირა სხვაობა.

— მართალია, გავვარდით, მაგრამ მომავალ სეზონში პირველ ლიგაში დაბრუნებისთვის ვიბრძოლებთ. გუნდიდან წასვლას არავინ აპირებს. მჯერა, ხობს კვლავ ეყოლება გუნდი ელიტაში — ეს სიტყვებიც სტუმართა თავკაც ფრიდონ გოცირიძეს ეკუთვნის. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრე და ფრე... ორი ქულა

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 სამგურალი**

**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, პ. ლურსმანაშვილი (კობესაშვილი 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, ჭინჭარაული, კარიაული, დავითაშვილი (ლ. თოლორდავა 83), როსტიაშვილი, ხორხელი (ბოლქვაძე 73), კაკაბაძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ამბიძე, ჯიშკარიანი, გუჯაბიძე
**სამგურალი:** სტურუა, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ქუთათელაძე 60), გიორგობიანი, სუხიაშვილი, ბერაძე (ჭყონია 71), დარსაძე, ჩხაბერიძე, ხუნდაძე, კვერნაძე (ფუტკარაძე 71)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, გ. გოგოლაძე, გ. ჯანელიძე
**გაფრთხილება:** კაკაბაძე (41), ნაჭყეპია (89)
**გაძევება:** კარიაული (73), სუხიაშვილი (73)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ამ მატჩის დასაწყისის შემყურეს უთუოდ აგერეოდა სტუმარ-მასპინძელი. დაახლოებით ათი წუთი „სამგურალი" ისე უტევდა, თავი „სინათლეზე" კი არა, „26 მაისზე" ეგონებოდა. მერანელები უფრო მათი შეტევების ჩაშლითა და სულიკო კაკაბაძისთვის იშვიათი გადავლებებით იყვნენ დაკავებულნი. ერთი სიტყვით, მასპინძელი სტუმარს ჰგავდა, სტუმარი — მასპინძელს.

სხვა რამითაც იყო უცნაური ეს შეხვედრა — მინდორზე მთავარ მსაჯად შავგრემანი კახაბერ მესხი უნდა გვეხილა, მატჩი კი გარეგნობით მის ანტიპოდს, ქერა და ცისფერთვალება ოთარ გუნთაძეს მიჰყავდა (თურმე ფრისკენ). არა, არა, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის დალტონიზმი აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, მესხი წინა დღეს „მეგრი" — „დარჩელის" შეხვედრას მსაჯობდა და ტრიბუნიდან გადასულ მაყურებელს „შემოეშეურაცხეყო".

იმ „წყალტუბოური" ათი წუთის შემდეგ „მერანმაც" გამოიღო ხელი (ფეხი) და დაცვიდან შეტევაში გადაერთო. მართალია, მათი მარცხენაფლანგელი დავითაშვილი ჩვეულად ვერ აქტიურობდა, მაგრამ ავჭალელთა ლიდერობა ამჯერად დევიძემ იკისრა და არც თავად მოისვენა, არც წყალტუბოელი მცველები მოასვენა. დევიძე ყველგან იყო — წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ... აკი, დაიმსახურა კიდეც „სინათლეზე" შეკრებილი გულშემატკივრის ტაში და გამამხნევებელი შეძახილები. მერანელთა შორის კიდევ ერთი კაცის გარჯას ვერ დავივიწყებთ, იგი რეზო ნაჭყეპიაა, „მერანის" მეკარე. ნაჭყეპიამ თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა შეხვედრა და ერთი ორჯერ ისეთი დარტყმულიც აიღო, ტრიბუნაზე მჯდომ „სამგურალის" პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს ირონიული შენიშვნა დასცდა — ეს მეკარე სულ ასე თამაშობს, თუ ჩვენთან გამოიდო თავიო.

წყალტუბოელების დაცვას იმ დღეს ლიბეროდ გამწესებული ლაშა ფრანგიშვილი ხელმძღვანელობდა. უნდა ითქვას, უნარიანადაც, მაგრამ ერთი ორჯერ მაინც გაიპარა სულიკო კაკაბაძე და იმგვარი მომენტები გააცუდა, პიპო ინძაგი მოაწერდა ხელს.

ძნელია, იმ მატჩის საერთო სურათზე წერო, სადაც ოცდაორის მაგიერ თხუთმეტამდე ფეხბურთელი თამაშობს (თერთმეტი წყალტუბოელი და სამი-ოთხი თბილისელი). კი ეცადა „მერანის" მწვრთნელი სერგო გაბელაია რალაცეების შეცვლას, მაგრამ მისი გუნდი თავისთავს არ ჰგავდა და ვერც კაკაბაძემ გაისწორა სამიზნე.

შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა და როცა ყველას ეგონა, მინდორზე ვნებები დაცხრებოდა, სწორედ მაშინ ადუღდა ცოდვა-მადლი და სუხიაშვილი და კარიაული შაშვ-კაკაბივით წაიკიდნენ. ისევ მათმა თანაგუნდელებმა იმარჯვეს და დროზე შეაკავეს ბიჭები, თორემ ერთიც არ აპირებდა დათმობას. გუნთაძის მიერ ამოღებულ წითელ ბარათებს კი ორივე ფეხბურთელი იმსახურებდა.

ინციდენტი ერთხელაც მოხდა — ამჯერად მერანელები წაკინკლავდნენ და რეზო ნაჭყეპიამ მალხაზ ჭინჭარაულს წაუმუჯლუგუნა, თუმცა ამ უკანასკნელს კონფლიქტი აღარ გაუმწვავებია. გუნთაძემ მაინც „გაუყვითლა" „მერანს" მეკარე.

ეს იყო და ეს. „სამგურალმა" ვერ და „მერანმა" არ გაიტანა (ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა) შეხვედრა ფრედ დასრულდა და წყალტუბოელთათვის აგრერიგ საჭირო ორი ქულა ავჭალურმა ნიავმა წაიღო.




# ჯულელის 3 სტუდენტებს

თბილისი
29 აპრილი
18.45 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 3:0 თსუ**

1:0, 2:0, 3:0 ჯულელი (20პ, 23პ, 62)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია (გილაური 61), ჭიჭვეიშვილი, ჯულელი (რუსია 72), ხუროძე (ხიზანიშვილი 46), გ. ჩხაიძე
*სათადარიგონი:* ასლანაძე; კაციაშვილი, სალუქვაძე, დ. გოდერძიშვილი
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია (ახალაძე 65), ხართიშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (ლობჟანიძე 88), ერაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, ქადაგიძე, თ. ბოკერია, დ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** გოგიჩაიშვილი (56), ერაძე (72)
**გაძევება:** ერაძე (73)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე**

შაბათს მოგებით „ლოკომოტივმა" ფაქტობრივად გაინაღდა სამომავლოდ უძლიერესთა ლიგაში დარჩენა. თსუ-მ პირიქით, უშუალო კონკურენტი „სამგურალი" ქულით მიიახლოვა და ახლა დარჩენილ თამაშებში მოღუნების უფლება აღარა აქვს, ყოველი დაკარგული ქულა მისთვის ჯგუფიდან გავარდნის ტოლფასი იქნება.

მატჩი სანახავად დიდი ვერაფერი გამოდგა. არა, ფეხბურთელები მონდომებულები კი იყვნენ, ცდილობდნენ გააზრებულად თამაშს, მაგრამ „ეროვნულის" მინდორი ისე რა არის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ატალახებული რალა იქნებოდა, მით უმეტეს, ნახევარი საათით ადრე დასრულდა „დინამო" — „კოლხეთის" მატჩი. ფეხბურთელებს სირბილი, გაზონზე ფეხის მოკიდება უჭირდათ, ბურთს ნორმალურად ვერ აჩერებდნენ, პასის დროსაც ბევრი წუნი იყო, მატჩის ბოლოსკენ კი სტადიონზე ისე ჩამობნელდა, თუ კარგად არ დავაკვირდებოდით, მოთამაშეებს ტრიბუნიდან ველარც კი ვარჩევდით. სტადიონის მუშაკებმა კი ის პროჟექტორებიც არ აანთეს დღესდღეობით რაც არის. და მაინც...

საწყისი 15 წუთი თანაბარი თამაში გახლდათ. სტუდენტები საბრძოლველად განწყობილიყვნენ და იოლად დათმობას არ აპირებდნენ. თავიდან საკმაოდ მწვავედაც შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ „ლოკომოტივის" მცველები გონივრულად აზღვევდნენ ერთმანეთს, მათ საყრდენი, ამინისტირებული გიორგი ბალაშვილიც ეხმარებოდა და ლომაიას კართან პირობითად სტუმრებს რეალური ხიფათი არ შეაქმნევინეს.

ამასობაში მე-20 წუთმაც მოატანა. მარჯვენა ფლანგიდან გოგიჩაიშვილმა ჩააწოდა, მერლანი კარიდან გამოვიდა, ახტა, მაგრამ ბურთი ხელიდან გაუვარდა, იქვე ჯულელი აღმოჩნდა, რომელსაც უკნიდან ინწკირველმა უბიძგა და კრიჭაშვილმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ჯულელმა თავად დაარტყა, მერლანი ბურთს კი წაეპოტინა, მაგრამ მოგერიება ვერ შეძლო — 1:0.

სამ წუთში ინწკირველმა თავის საჯარიმოში ისევ დაარღვია თამაშის წესი — კვარაცხელიამ ბურთი მკერდზე მიილო და ამ დროს მცველმა მაისურაზე დაქაჩა, ლოკომოტიველი წაიქცა, კვლავ პენალტი. ჯულელმა მეკარე ამჯერად მარჯვნივ გადაახტუნა, ბურთი კი საპირისპირო კუთხეში დაურტყა.

თსუ ორბურთიანი სხვაობის გამბათილებელი აღარ იყო. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ძალიან ცდილობდნენ, არაფერი გამოუვიდათ, თუმცა რამდენჯერმე იყვნენ მიზანთან ახლოს. ლომაია ყოჩაღობდა, დეკანოსიძეს, ერაძეს, მაზიაშვილს არა და არ გაატანინა.

მეორე ტაიმიც თსუ-ს იერიშებით განახლდა. უპირატესობა მათი გახლდათ, „ლოკომოტივი" უფრო კონტრშეტევებზე თამაშობდა და ამან გაამართლა კიდეც. 62-ე წუთზე სტუდენტები რომ შეტევით გაერთნენ, მასპინძლებმა სწრაფად გადაკვეთეს მოედნის ცენტრი და ჯულელმა დაახლოებით საჯარიმოს წინა ხაზიდან, მცველებგარშემორტყმულმა ძლიერად დაურტყა მერლანს, რომელსაც ბურთი გაუვარდა და კარში შეგორდა — ჯულელმა ჰეთ თრიქი გააზერხა, თავისი გააკეთა, უფრო მეტიც და ათიოდ წუთში ძოძუაშვილმაც შეცვალა, მოედანზე რუსია შემოიყვანა. მან რამდენჯერმე დააწიოკა სტუდენტები და კრიჭაშვილმაც ჩასტვინა. „ლოკომოტივმა" დიდი ანგარიშით გაიმარჯვა და „ბ" ზონის ლიდერს გაუთანაბრდა.

# რა იყო და რა არ იყო

გორი
29 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
800 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:0 იბერია**

1:0 სულთანიშვილი (44პ), 2:0 გოჩაშვილი (45), 3:0 არუთინიანი (72)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ფეზუაშვილი (კოჭლაშვილი 72), ციცქიშვილი, საყვარელიძე (ოლგესაშვილი 68), ებანოიძე (არუთინიანი 46), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, მარეხაშვილი, ელყანიშვილი
**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე (ხმალაძე 71), დ. ნოზაძე, გეგეშიძე (ბანძელაძე 46), მიქელთაძე, კ. ჯანაშია, ოდიკაძე (ზ. მეტრეველი 71), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* სანიკიძე, ნ. გიორგაძე, გედენიძე
**გაფრთხილება:** ვარდანიძე (43)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი), ზ. დოლიძე; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**გიორგი ვაშაკიძე გორიდან**

...შაბათს, აღდგომის დღესასწაულის წინა დღეს, გორელებმა XI ეროვნულის მეორე ეტაპზე მეორედ გაიხარეს, დიდი ანგარიშით პირველად მოიგეს.

...შაბათს „ცენტრალურზე" ბალახი უჩვეულოდ მწვანედ აბიბინებულიყო, გეგონებოდათ, ხალიჩა გადაუფარებიათო... არა, იდეალურობამდე ჯერ ბევრი უკლია...

ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ „ჯუნგლები", „დილას" ერთგული ქომაგები, რატომღაც ცოტანი იყვნენ. არ ისმოდა ჩვეულებად ქცეული შეძახილი — „დილას რა... მოგება"! მსაჯების „ტკბილად მოკითხვა" კი არ დაივიწყებიათ გორელებს, მაგრამ მხოლოდ ერთადერთხელ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ არ იყო მთავარი — არ იყო ფეხბურთი. რვაასამდე მაყურებელმა უჯიგრო თამაში იხილა.

მეტოქეებს მოტივაცია არ ამოძრავებდათ. ცხრილში ზევით ვერანაირად ავლენ, გავარდნიდაც ვერ გავარდებიან, რომ იტყვიან, თავი ქუდში აქვთ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გავიდნენ მოედანზე, აქაოდა, ტურის კალენდარული მატჩია და ხომ უნდა ჩავატაროთო.

როცა ნამატჩევს სამტრედიელთა მწვრთნელ სოსო ფრუიძეს სამომავლო გეგმებზე დავეკითხე, მან ნაღვლიანად თქვა, ეეჰ, რა გაძლიერებაზეა საუბარი პირიქით, ფეხბურთელებს გაქცევაზე უჭირავთ თვალი. რა გვეშველება, არ ვიცი, თუ ასე გაგრძელდა, გაისად აუცილებლად გავვარდებითო.

რა უნდა მეპასუხა, მართალი იყო კაცი. უპატრონოდ მიგდებულ გუნდს, მეტს ვერც მოთხოვ. ხელფასები არა, პრემიები არა...

ერთი სიტყვით, რა ქვეყანაც გვაქვს, ფეხბურთიც ისეთია.

ახლა თამაშზეც ხომ უნდა ვთქვათ, მაგრამ რა არის სათქმელი? „დილამ" პირველ წრეში 1:2 მარცხის გამო სრულფასოვანი რევანში აიღო. პირველი „აფეთქებაც" 43-ე წუთზე (!) მოხდა, როცა რატი ებანოიძემ ორ მცველს შუა სულთანიშვილს გაუჭრა პასი, საჯარიმოში შესულ საბას სტუმართა მეკარე ვარდანიძე ფეხებში ჩაუვარდა და მოიერიშეც წაიქცა. მოედანზე არბიტრის სიტყვა კანონია. მან წაქცევა დარღვევად მიიჩნია, ადგა და პენალტიც დანიშნა, ვარდანიძე კი გააფრთხილა.

ფეხბურთში სასჯელის უმაღლესი ზომა დაზარალებულმა თავად შეასრულა და გაიტანა კიდეც, მაგრამ კვარაცხელიამ ხელმეორედ დარტყმა ბრძანა ვარდანიძემ ამჯერად კუთხე გამოიცნო, თუმცა მაინც ვერ აიღო, ცოტა დააკლდა. ასე იყო თუ ისე, 1:0. მეც ამ ეპიზოდის ჩანიშვნას შევუდექი და... ტაბლოზე უკვე 2:0 აინთო. სამტრედიელთა დაცვამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რითაც ლევან გოჩაშვილმა ჩინებულად ისარგებლა და ახლოდან მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

წინ მეორე ნახევარი იყო, 2:0-იც დიდი ფორაა, ჰოდა, თამაშიც, ფაქტობრივად, აქ მორჩა. მეორეში შეცვლაზე შესულმა ნოე არუთინიანმაც იხეირა.

სხვა არაფერი მომხდარა. იყო ბურთის უაზროდ გორება და კვარაცხელიამაც მატჩი მშვიდად ჩაამთავრა.

ქომაგი კი სულ იმას კითხულობდა, ქუთაისში რა ხდება, თბილისში რა ხდება, „ვიტ ჯორჯიამ" რა ქნაო...

როცა გაცხადდა, „ტორპედომ" „ბათუმს" 4:0 მოუგოო და „დინამომ" „კოლხეთთან" ოღენ ფრედ 1:1 ითამაშაო, უნდა გენახათ, მათი სახეები, მორჩა „ტორპედო" ჩემპიონიაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიგარი არ დამწვარა

## ინგლისი

XXXVI ტური

### ბრედფორდი 3:0 უიმბლდონი

1:0, 2:0 ბიგრი (43პ, 50), 3:0 უინდასი (83)
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, უინდასი, მაკკოლი, დრეიერი, ბიგრი, სონდერსი, ბლეიქი (ვესტვუდი 67)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ბლექველი (გეილი 62), ტეტჩერი, ჰრეიდარსონი, იუელი, ერდლი, მაიკლ ჰიუზი, ანდერსენი, კორტი, ჰარტსონი
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
გაფრთხილება: სალივანი, ანდერსენი, ჰიუზი
გაძევება: ჰარტსონი (50)
მსაჯი: უინტერი
18 276 მაყურებელი

### შეფილდ უენსდი 0:3 ლიდსი

0:1 ჰოპკინი (1), 0:2 ბრიჯისი (53), 0:3 კიუელი (68)
შეფილდ უენსდი: პრესმენი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი (სონერი 75), იონკი, ჰორნი (სიბონი 62), ე. ქუინი, ბუტი, დე ბილდე (ბრისკო 75)
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რადებე, დაბერი, მილსი, ბაკე (ჰაალანდი 69), ჰოპკინი, ჯოუნსი, უილკოქსი, ბრიჯისი (ჰაკერბი 84), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბაკე
მსაჯი: ჰარისი
23 416 მაყურებელი

### ასტონ ვილა 1:1 სანდერლენდი

1:0 ბერი (60), 1:1 ქუინი (85)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ბერი, დილანი, ტომპსონი (ჰენდრი 77), ბოატენგი, მერსონი, გრაიები (სამუელი 87), კარბონე, ჯოუზიმი (დაბლინი 60)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, ბატლერი, კრადოკი, გრეი, ტირლველი, რუა, სამერბი, კილბეინი (ოსტერი 46), ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბერი, ფილიპსი
მსაჯი: დურსო
33 949 მაყურებელი

### ჩელსი 2:0 ლივერპული

1:0 ვეა (2), 2:0 დი მატეო (14)
ჩელსი: დე გუი, მელხიოტი, დესაი, ლებეფი, ბაბაიარო (პოიეტი 46), დი მატეო, უაიზი, მორისი (ტომე 70), ჰარლი, ძოლა, ვეა (სატონი 81)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ლივერპული: ვესტერველდი, კარაგერი, ენჩოსი, ჰიიპია, მატეო, მერფი (ფაულერი 75), ჰამანი (კამარა 66), ჯერარდი (რედნაპი 51), ბერგერი, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: მორისი
მსაჯი: ბარბერი
34 957 მაყურებელი

### ევერტონი 0:1 არსენალი

0:1 ოვერმარსი (34)
ევერტონი: ჟერარი, ანსუორთი, ვეირი, შავიერი, დანი (ჯეფერსი 46), პემბრიჯი (ჯევონსი 76), ს. ჰიუზი (ბოლი 46), კოლინზი, ბარმბი, მარკ ჰიუზი, ჰათჩისონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
არსენალი: სიმენი, სილვინიო, ადამსი, კიოუნი, დიქსონი, ოვერმარსი (ბლეიკი 86), პეტი (უინტერბერნი 80), გრიმანდი, პარლოუ, ბერხკამპი (ვიეირა 69), კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მარკ ჰიუზი, სილვინიო
მსაჯი: გალაჰერი
35 919 მაყურებელი

### ნიუკასლი 2:0 ქოვენთრი

1:0 შირერი (78პ), 2:0 გავილანი (84)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ა. ჰიუზი, დაბიზასი, პისტონე, გავილანი (გრიფინი 89), ლი (მაკკლენი 89), სპიდი, დომი (ქეცბაია 39), დაიერი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ქოვენთრი: ჰედმანი, შოუ, ბრინი, უილიამსი, ტელფერი, მ. ჰაჯი, ჩიპო, მაკალისტერი, ველანი (ბეტსი 89), რუსელი (ოსტიჩი 65), რობი კინი (ზუნიგა 85)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: უილიამსი, მაკალისტერი
მსაჯი: ჯონსი
36 408 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 1:2 ლესტერი

1:0 კაჩლული (4), 1:1 კოტი (22), 1:2 იზეტი (60)
საუთჰემპტონი: მოსი, დოდი, ტაჰარი, რიჩარდსი, ბრიჯი, რიპლი (პოდიგრო 57), ტესემი, მარსდენი (ოუკლი 72), კაჩლული, დევისი, პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, ტაგარტი (უოლში 36), ჯილკრისტი, იმპი, იზეტი, სევიჯი, ლენონი, გაპი, მ. ელიოტი, კოტი (ედი 72)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაძევება: რიჩარდსი (89)
მსაჯი: რიდი
15 178 მაყურებელი

### ტოტენჰემი 1:1 დერბი ქაუნთი

0:1 კარბონარი (63), 1:1 კლემენსი (90)
ტოტენჰემი: ი. უოქერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, იანგი, კორსტენი (დევისი 46), ანდერტონი, კლემენსი, ჟინოლა (ეზერინგტონი 70), ივერსენი (მაკკივენი 70), კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, შნური, ლაურსენი, ბარლი, დელაპი, პაუელი, ჯონსონი, ძინძლაძე, დ. ბარტონი, კრისტი, ბოერტიენი (მიურეი 79)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: კემპბელი, კორსტენი, პერი, ანდერტონი, ბარტონი, კარბონარი, შნური, პოომი, ბარლი, კრისტი
გაძევება: შნური (39)
მსაჯი: ბერი
33 044 მაყურებელი

### უოტფორდი 2:3 მანჩესტერი

1:0 ჰელგუსონი (33), 1:1 იორკი (68), 1:2 გიგზი (75), 2:2 სმიტი (78), 2:3 კრუიფი (86)
უოტფორდი: ჩემბერლენი, პეიჯი, უორდი, რობინსონი, პალმერი, ჰიდი, პერპეტუინი, კოქსი (გიბსი 83), ჰელგუსონი (ჯონსონი 86), ფოლი (მუნი 46), მ. სმიტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, იონსენი (ჰიგინბოთომი 63), ფ. ნევილი, ბერგი, სილვესტრი, ბათი, უილსონი (იორკი 46), გრინინგი (კრუიფი 70), გიგზი, შერინგემი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: პერპეტუინი, ნევილი
გაძევება: ჰიდი (65), ბათი (65)
მსაჯი: ლოჯი
20 250 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 0:1 მიდლსბრო

0:1 დინი (60პ)
ვესტ ჰემი: ფიუერი, მარგასი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი, ტ. სინკლერი, ლამპარდი, ფოე, კელერი, დი კანიო, ვანჩოპე, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მიდლსბრო: შვარცერი, ფესტა, ვიკერსი, კუპერი, სტამპი, ჟუნინიო (რიკარდი 82), ინსი, სამერბელი, ფლემინგი, დინი, ე. კემპბელი (მასტო 73)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: სინკლერი, ფიუერი, ფლემინგი, სტამპი
მსაჯი: ნაითი
25 472 მაყურებელი

REUTERS ლონდონიდან



ჩელსი — ლივერპული 2:0. ლივერპულელი ტიტი კამარა ლონდონელებმა რობერტო დი მატეომ (მარცხნივ) და დენის უაიზმა მოიმწყვდიეს

რაღაა საინტერესო პრემიერლიგაში?

მთავარი კარგახანია გარკვეულია და თუმცა ინგლისურ თამაშში შეგნებული კომპრომისები არ დაიშვება, ბევრი თამაში ამხანაგურ ბურთის გორაობას ჰგავს. ჩემპიონი და უკვე გავარდნილი გუნდი ხუთ ბურთს უცვლიან ერთმანეთს. ბოლოს ერთი ბურთის სხვაობით ჩემპიონი იგებს, თამაში რბილია და მხიარული. მეორეადგილოსანი მეხუთეზე მყოფს სტუმრობს. სხვა დროს „ლივერპულისა“ და „ჩელსის“ თამაშები ცოფიან ჭიდილსა ჰგავს. აქ კი ფეხბურთელები იზლაზნებიან. ტემპი დაბალია და „ჩელსის“ ორი გოლი გააქვს ჟორჟ ვეას მეცადინეობით. მეორე ტაიმში „ლივერპულს“ მოედანზე ჰყავს ოთხი თავდამსხმელი: მაიკლ ოუენი — ემილ ჰესკი — რობი ფაულერი — ტიტი კამარა, მაგრამ არაფერი — ჯიგარი ჩამწვარია.

„გუდისონ პარკზე“ „არსენალი“ მარკ ოვერმარსის კენტი გოლით ამარცხებს „ევერტონს“ ასევე თვალისთვის მომქანცველ თამაშში.

მაგრამ გადახედეთ ოქმებს, ამ თითქოსდა მშვიდ ტურში ხუთი ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან. ეს პრემიერლიგაა და საერთო სურათი დიდად არ წამხდარა. ჰარი კიუელმა ბრწყინვალე გოლი გაუტანა „შეფილდს“, „ტოტენჰემმა“ ბოლოწამს გამოგლიჯა ქულა „დერბის“ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

პრემიერლიგა არ დასრულებულა, ჯიგარი არ ჩამწვარა, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს იორკშირის ერთი პატარა გუნდი „ბრედფორდ სიტი“, რომელიც პრემიერლიგაში თამაშობს და აქ დასარჩენად იბრძვის. ბრედფორდს შინდისფერი და ყვითელი სამოსი აცვია და ამიტომ ხოხბებს ეძახიან, „ბრედფორდი“ ოდესღაც სარაგბო კლუბი იყო, „ბრედფორდს“ არასოდეს იცნობდნენ მხოლოდ თამაშის, არამედ უტეხი მებრძოლი სულის გამოც და „ბრედფორდი“ და მისი ახალგაზრდა მენეჯერი პოლ ჯუელი იბრძვიან. მერამდენე თვეა, „ბრედფორდი“ ცდილობს დადგეს ცხრილის მეჩვიდმეტე საფეხურზე და აი, პრემიერლიგის დასრულებამდე ორი კვირით ადრე აზერხებს ამას — 3:0 უგებს უშუალო მეტოქეს, „უიმბლდონს“ და ართმევს მას მეჩვიდმეტე ადგილს. გოლები „ბრედფორდის“ ნალდ ლიდერებს ლოთიშფოთად ცნობილ პიტერ ბიგრის (გიო ქინქლაძის ოდინდელი „სიტელი“ თანაგუნდელი) და ბოლო დროს სახელგავარდნილ ჯეჯგვს, დინ უინდასს გააქვთ.

თავის მხრივ „უიმბლდონიც“ იბრძვის. უელსელი აზვარი ჯონ ჰარტსონი მხოლოდ იმიტომ იშუშებს ტრავმას, რომ შუა თამაშში მსაჯ ჯეფ ვინტერის წერა გახდეს. დონელთა მენეჯერის თანაშემწე ტერი ბარტონი მსაჯს აბრალებს ამ შეხვედრის წაგებას: „ჯონი ის კაცი იყო, ვინც ამ თამაშს შემოატრიალებდა“. ეჰ, ძნელად ჰგავს „უიმბლდონი“ იმ ძველ, უტეხ გუნდს, „შეშლილთა ბანდას“ რომ უწოდებენ — ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პროფესიულ კლუბს, რომელიც არასოდეს გავარდნილა რომელიმე ლიგიდან — 1986 წელს შემოვიდა უმაღლეს დივიზიონში და სახელიც დაიმკვიდრა. ეჰ, ვინ იცის, როგორ დარდობს თავმჯდომარე სემ ჰემები თავის მთავარ შეცდომას. შარშან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადადგა „შეშლილთა ბანდის“ შემქმნელი მენეჯერი ჯო კინერი. ჰემემმაც კლუბის ნორვეგიელ მეპაქციეთა ჩაგონებით მათი განთქმული თანამემამულე ეგილ (დრილუ) ოლსენი მოიწვია მწვრთნელად. ჩექმებიანმა დრილუმ კლუბს შეშლილობა წაართვა და აკადემიურობას მიაწვა, რაც ფეხბურთელებს წამხდარ სამიანზეც ვერ გამოუვიდათ. ახლა დრილუ თავისუფალია, „უიმბლდონი“ კი გასავარდნ სამეულში ჩაჯდა...

წინ ორი ტურია — კალენდარი „უიმბლდონს“ უფრო ეხმარება, „ბრედფორდი“ კი ლესტერში სტუმრობს და „ლივერპულს“ მასპინძლობს.

თუმცა, ეს „ბრედფორდია“ — შეშლილთა მოდგმა, „უიმბლდონში“ კი ველარავინ სწევს შეშლილობას ჰართსონის გარდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 36 | 26 | 7 | 3 | 93:44 | 49 | 85 | 18 | 14 | 4 | 0 | 56:15 | 41 | 46 | 18 | 12 | 3 | 3 | 37:29 | 8 | 39 |
| 2 | არსენალი | 34 | 20 | 6 | 8 | 64:34 | 30 | 66 | 16 | 12 | 2 | 2 | 35:12 | 23 | 38 | 18 | 8 | 4 | 6 | 29:22 | 7 | 28 |
| 3 | ლივერპული | 35 | 19 | 9 | 7 | 51:27 | 24 | 66 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:11 | 17 | 36 | 18 | 8 | 6 | 4 | 23:16 | 7 | 30 |
| 4 | ლიდსი | 35 | 20 | 4 | 11 | 54:41 | 13 | 64 | 17 | 11 | 1 | 5 | 25:16 | 9 | 34 | 18 | 9 | 3 | 6 | 29:25 | 4 | 30 |
| 5 | ჩელსი | 36 | 17 | 11 | 8 | 48:32 | 16 | 62 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:12 | 19 | 38 | 18 | 6 | 6 | 6 | 17:20 | -3 | 24 |
| 6 | ასტონ ვილა | 36 | 15 | 12 | 9 | 44:32 | 12 | 57 | 18 | 8 | 8 | 2 | 23:11 | 12 | 32 | 18 | 7 | 4 | 7 | 21:21 | 0 | 25 |
| 7 | სანდერლენდი | 36 | 15 | 10 | 11 | 55:53 | 2 | 55 | 18 | 9 | 6 | 3 | 27:17 | 10 | 33 | 18 | 6 | 4 | 8 | 28:36 | -8 | 22 |
| 8 | ვესტ ჰემი | 35 | 15 | 9 | 11 | 51:50 | 1 | 54 | 18 | 11 | 4 | 3 | 32:23 | 9 | 37 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:27 | -8 | 17 |
| 9 | ტოტენჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 53:45 | 8 | 50 | 18 | 9 | 3 | 6 | 37:25 | 12 | 30 | 18 | 5 | 5 | 8 | 16:20 | -4 | 20 |
| 10 | ევერტონი | 36 | 12 | 13 | 11 | 58:46 | 12 | 49 | 18 | 7 | 9 | 2 | 36:19 | 17 | 30 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 19 |
| 11 | ლესტერი | 35 | 14 | 7 | 14 | 50:51 | -1 | 49 | 18 | 9 | 3 | 6 | 28:24 | 4 | 30 | 17 | 5 | 4 | 8 | 22:27 | -5 | 19 |
| 12 | ნიუკასლი | 35 | 13 | 8 | 14 | 57:50 | 7 | 47 | 18 | 9 | 5 | 4 | 38:18 | 20 | 32 | 17 | 4 | 3 | 10 | 19:32 | -13 | 15 |
| 13 | მიდლსბრო | 35 | 13 | 8 | 14 | 41:49 | -8 | 47 | 17 | 8 | 3 | 6 | 20:23 | -3 | 27 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:26 | -5 | 20 |
| 14 | ქოვენთრი | 36 | 11 | 8 | 17 | 43:52 | -9 | 41 | 18 | 11 | 1 | 6 | 34:21 | 13 | 34 | 18 | 0 | 7 | 11 | 9:31 | -22 | 7 |
| 15 | საუთჰემპტონი | 36 | 11 | 7 | 18 | 43:62 | -19 | 40 | 18 | 7 | 4 | 7 | 24:22 | 2 | 25 | 18 | 4 | 3 | 11 | 19:40 | -21 | 15 |
| 16 | დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 10 | 17 | 44:53 | -9 | 37 | 18 | 6 | 2 | 10 | 22:25 | -3 | 20 | 18 | 3 | 8 | 7 | 22:28 | -6 | 17 |
| 17 | ბრედფორდი | 36 | 8 | 9 | 19 | 37:65 | -28 | 33 | 18 | 5 | 8 | 5 | 25:29 | -4 | 23 | 18 | 3 | 1 | 14 | 12:36 | -24 | 10 |
| 18 | უიმბლდონი | 36 | 7 | 11 | 18 | 44:70 | -26 | 32 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:26 | 2 | 24 | 18 | 1 | 5 | 12 | 16:44 | -28 | 8 |
| 19 | უენსდი | 35 | 7 | 6 | 22 | 30:63 | -33 | 27 | 18 | 5 | 3 | 10 | 17:23 | -6 | 18 | 17 | 2 | 3 | 12 | 13:40 | -27 | 9 |
| 20 | უოტფორდი | 35 | 5 | 5 | 25 | 32:73 | -41 | 20 | 18 | 4 | 4 | 10 | 23:31 | -8 | 16 | 17 | 1 | 1 | 15 | 9:42 | -33 | 4 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 29 |
| შირერი (ნიუკასლი) | 22 |
| იორკი (მანჩესტერი) | 20 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 17 |

XXXVII ტური

6 მაისი
არსენალი — ჩელსი
ქოვენთრი — შეფილდი
დერბი — ნიუკასლი
ლესტერი — ბრედფორდი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
მიდლსბრო — უოტფორდი
სანდერლენდი — ვესტ ჰემი
უიმბლდონი — ასტონ ვილა

7 მაისი
ლიდსი — ევერტონი

8 მაისი
ლივერპული — საუთჰემპტონი

გამოტოვებული მატჩი

9 მაისი
არსენალი — შეფილდი

## პირველი დივიზიონი

XLV ტური

### სიტი 1:0 ბირმინგემი

1:0 ტეილორი (40)

### ვულვზი 3:0 ფულემი

1:0 ნილსენი (50), 2:0 მუსკატი (60პ), 3:0 ტეილორი (90)

### ჩარლტონი 1:3 იფსვიჩი

0:1 მეჯილტონი (24), 0:2 ჯონსონი (58), 0:3 როიზერი (71), 1:3 ჰანტი (81)

### ქრიუ 1:3 ბოლტონი

0:1 გუდიონსენი (15), 1:1 რივერსი (30), 1:2 ჰოლდსუორთი (71პ), 1:3 იენსენი (89)

### კრ. პალასი 2:1 ბლექბერნი

0:1 იანსენი (27), 1:1 კოული (60), 2:1 მორისონი (72)

### გრიმსბი 1:2 ტრანმერი

0:1 ჩელინორი (12), 1:1 კლერი (37), 1:2 ალისონი (82)

### ჰადერსფილდი 0:2 სტოკპორტი

0:1 კუპერი (4), 0:2 არმსტრონგი (12ს.კ.)

### ნორვიჩი 2:1 შეფილდ იუნ.

1:0 ფლემინგი (4), 2:0 ბელამი (11), 2:1 დევლინი (78პ)

### ნოტინგემი 2:0 პორტვეილი

1:0 ჯონი (11), 2:0 პრატონი (34)

### ქუინზ პარკი 0:0 ვესტ ბრომვიჩი

### სუინდონი 1:2 ბარნსლი

0:1 ეპლბი (53), 0:2 შერონი (67), 1:2 უილიამსი (69)

### უოლსოლი 1:0 პორტსმუთი

1:0 მატიასი (13)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 45 | 27 | 10 | 8 | 79:43 | 91 |
| სიტი | 45 | 25 | 11 | 9 | 74:39 | 86 |
| იფსვიჩი | 45 | 24 | 12 | 9 | 69:42 | 84 |
| ბარნსლი | 45 | 24 | 10 | 11 | 8865 | 82 |
| ბირმინგემი | 45 | 22 | 10 | 13 | 65:44 | 76 |
| ჰადერსფილდი | 45 | 21 | 11 | 13 | 62:46 | 74 |
| ვულვზი | 44 | 20 | 11 | 13 | 62:46 | 71 |
| ბოლტონი | 44 | 19 | 13 | 12 | 66:49 | 70 |
| ფულემი | 45 | 16 | 16 | 13 | 46:41 | 64 |
| ქუინზ პარკი | 45 | 15 | 18 | 12 | 59:52 | 63 |
| ბლექბერნი | 45 | 15 | 17 | 13 | 54:47 | 62 |
| ნორვიჩი | 45 | 14 | 15 | 16 | 45:49 | 57 |
| ტრანმერი | 45 | 15 | 12 | 18 | 56:66 | 57 |
| სტოკპორტი | 45 | 13 | 15 | 17 | 53:64 | 54 |
| ნოტინგემი | 45 | 13 | 14 | 18 | 50:53 | 53 |
| შეფილდ იუნ. | 45 | 13 | 14 | 18 | 57:69 | 53 |
| პორტსმუთი | 45 | 13 | 12 | 20 | 54:63 | 51 |
| კრ. პალასი | 45 | 12 | 15 | 18 | 55:66 | 51 |
| გრიმსბი | 45 | 13 | 11 | 21 | 41:67 | 50 |
| ქრიუ | 45 | 13 | 9 | 23 | 44:67 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 9 | 19 | 17 | 41:60 | 46 |
| უოლსოლი | 45 | 11 | 13 | 21 | 52:75 | 46 |
| პორტვეილი | 45 | 7 | 15 | 23 | 4868 | 36 |
| სუინდონი | 45 | 8 | 11 | 26 | 36:75 | 35 |

## მეორე დივიზიონი

45-ე ტური. სტოკი — კარდიფი 2:1; როვერსი — ბორნმუთი 2:2; ბარნლი — კემბრიჯი 2:0; ბერი — რედინგი 1:1; ჩესტერფილდი — ნოტსი 2:1; კოლჩესტერი — ბრისტოლი 3:4; ჯილინგემი — ბრენტფორდი 2:0; ოლდემი — ბლექპული 1:1; ოქსფორდი — სკანთორპი 2:0; პრესტონი — მილუოლი 3:2; უიგანი — რექსემი 0:1; უიკომბი — ლუტონი 0:1

## მესამე დივიზიონი

45-ე ტური. ბარნეტი — ლეიტონი 2:2; კარლაილი — დარლინგტონი 1:1; ჩელტენემი — ჩესტერი 1:0; ჰარტლპული — როტერჰემი 1:2; ლინკოლნი — საუთენდი 1:0; მაკლსფილდი — როჩდეილი 1:2; ნორთჰემპტონი — მენსფილდი 1:0; პიტერბორო — ტორკი 0:2; პლიმუთი — ჰალი 0:1; შრუსბერი — ბრაიტონი 1:2; სუონსი — ექსეტერი 3:0; იორკი — ჰალიფაქსი 2:0

## გერმანია

XXXII ტური

**ჰამბურგი 0:2 ლევერკუზენი**

0:1 ზე რობერტო (19), 0:2 ნოვოტნი (30)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი (გროთი 81), ფიშერი, გრავესენი, ნ. კოვაჩი, ჰოლერბახი, მაჰდავიკია, იუსალი (შპიორლი 72), პრეგერი (დოლი 86)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ბალაკი, ბ. შნაიდერი, რამელო, ზე რობერტო, ნოივილი (ტ. ჰოფმანი 83), კირსტენი (პონტე 72), პაულო რინკი (ბრდარიჩი 88)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

გაფრთხილება: ჰოოგმა, ჰოლერბახი, ნ. კოვაჩი, რ. კოვაჩი, რამელო, პაულო რინკი, ბალაკი, ზე რობერტო, ჟივკოვიჩი

გაძევება: ჰოლერბახი (54)

მსაჯი: ვაგნერი

52 800 მაყურებელი

**აინტრახტი 4:0 ვოლფსბურგი**

1:0 სალუ (8), 2:0 გებჰარდტი (16), 3:0, 4:0 ჩენ იანგი (76, 79)

აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, გუიე მიენი, შური, ჰელდტი (ბინდევალდი 65), რასიევსკი, გებჰარდტი (ფალკი 78), ჩენ იანგი, სალუ (ფიორტოფტი 73)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ტომსენი, კრიგერი, ბილისკოვი (რიშე 71), გრაინერი (ბანზა 46), მალტრიცი, ნოვაკი, ვაისერი, აკონორი, იუსკოვიაკი, აკპობორი (ბალვანცი 84)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: რასიევსკი, ნოვაკი

მსაჯი: კრუგი

34 000 მაყურებელი

**უნტერჰახინგი 1:0 ვერდერი**

1:0 ბრაიტენრაიტერი (75)

უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ზაიფერტი, ბუხერი, ჰაბერი, მატიას ციმერმანი, ობერლაიტნერი, დ. შვარცი, შტრაუბე (კიოგლი 55), რაკლი (ბრაიტენრაიტერი 55), ზაიცი (ჰერტლი 86)

მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი

ვერდერი: ფ. როსტი, ფლოკი, აილტსი, ფ. ბაუმანი, მ. ბოდე, ტიკუზუ (ზაიდელი 78), ა. ჰერცოგი (მაქსიმოვი 77), ტრარესი, ფრინგსი, პიზარო, აილტონი (ბოგდანოვიჩი 58)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: შვარცი, ფრინგსი, ჰერცოგი, ტიკუზუ

გაძევება: მაქსიმოვი (85)

მსაჯი: კოოპი

10 000 მაყურებელი

**შალკე 2:2 მიუნხენი**

0:1 მაქსი (26), 1:1 კამპუისი (36), 2:1 ტონი (43), 2:2 მაქსი (65)

ვილმოტსმა ვერ გაიტანა პენალტი (15, მეკარე)

შალკე: რეკი, ტონი, აიგენრაუხი, ჰაჰე, ლატალი (ასამოა 69), კამპუისი, კმეტჩი (ლეგატი 79), ნემეცი, ვან კერკჰოვენი, ვილმოტსი, ე. მპენზა

მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, პასლაკი, ზელიჩი, ტაპალოვიჩი, რიდლი (ტაისი 50), შტრანცლი, ჩიჟეკი (ჩერნი 60), ჰესლერი, ბორიმიროვი, მაქსი (დინზეი 86), შროტი

მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი

გაფრთხილება: ლატალი

გაძევება: პასლაკი (42)

მსაჯი: მაიერი

37 780 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 6:2 ულმი**

0:1 ზდრილიჩი (36), 1:1, 2:1, 3:1 ტარე (40, 54, 58), 4:1 პეტერსონი (61), 4:2 ზდრილიჩი (70), 5:2 პეტერსონი (82), 6:2 ტარე (85)

კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ბასლერი (ჰრუტკა 83), შონბერგი, ჰ. კოხი, შტრასერი, ბუკი, სფორცა (როოსი 60), კომლიენოვიჩი, რაიხი (რატინიო 79), პეტერსონი, ტარე

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

ულმი: ლაუქსი, ბოდოგი (ე. ვაისი 56), მარკეში, შტადლერი (გრაუერი 46), რადოკი, უნსოლდი, მაიერი, ოტო, შარინგერი (ტრკულია 75), ლეანდრო, ზდრილიჩი

მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი

გაფრთხილება: ოტო

გაძევება: რადოკი (83)

მსაჯი: ვაკი

41 500 მაყურებელი

**ჰერტა 0:0 ფრაიბურგი**

ჰერტა: კირალი, შმიდტი (სანე 90), ვან ბურიკი, სვერისონი, რემერი, დაისლერი, ვაიტი (დარდაი 46), ნოიენდორფი (როი 81), ვოში, პრეეცი, დაეი

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ჰერმელი, დიარა (კონდე 57), ვილი (შუმანი 61), ვაისჰაუპტი (რამდანე 71), ბაია, ა. ცაიერი, კობიაშვილი, იაშვილი, სელიმი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

გაფრთხილება: ვან ბურიკი, ვაიტი, იაშვილი, კობიაშვილი, სელიმი

მსაჯი: ფანდელი

45 128 მაყურებელი

**ბაიერნი 4:1 ჰანზა**

0:1 აგალი (18), 1:1 პაულო სერჟიო (58), 2:1 ელბერი (62), 3:1 პაულო სერჟიო (80), 4:1 შოლი (82)

პაულო სერჟიომ ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)

ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ბაბელი, ლინკე (ლიზარაზუ 84), ტარნატი, პაულო სერჟიო, შოლი, იერემისი, ვოიცეხოვსკი (ვისინგერი 46), იანკერი (სანტა კრუზი 84), ელბერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ჰანზა: პიკენჰაგენი, ვაილანდტი, ბენკენი, ცალმანი, ლანგე, ვიბრანი, ემარა (ბრანდი 66), ლანცი, ბრაიტკროიცი, კოვაჩიჩი (ბაუმგარტი 60), აგალი (არვიდსონი 68)

მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი

გაფრთხილება: ელბერი, აგალი, ბენკენი, ლანგე, პიკენჰაგენი

მსაჯი: აუსტი

60 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:2 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (28), 1:1 ტიამი (47), 1:2 ჰერლიხი (90)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, ბორდონი, კელერი, პინტო (კატიცონე 74), ტიამი, სოლდო, ბალაკოვი (ლისტეში 61), გერბერი, განეა, კუკა (ჰოსნი 69)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, მიოლერი, ბარბარესი (ჰერლიხი 66), დედე, ადო, ბობიჩი (ჟ. რეინა 86)

მწვრთნელი: უდო ლატეკი

გაფრთხილება: ტიამი, ბარბარესი, კოლერი, სტევიჩი

მსაჯი: ფრიოლიხი

45 000 მაყურებელი

**დუისბურგი 0:3 არმინია**

0:1 ვან დერ ვენი (6), 0:2 პეეტერსი (26), 0:3 ლაბადია (89)

დუისბურგი: სტაუჩე, კოვაჩევიჩი, შტეფენი, დრსეკი, ვოლტერსი, ჰირში, ვედაუ (ჰაიტო 73), მ. ცაიერი, ბიუსკენსი, რაისი, ბაიერლე (გუვენისიკი 46)

მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი

არმინია: ციგლერი, კლიცპერა, შტრატოსი, ვატერინკი, პეეტერსი, შ. ბოდე, ჰოფშნაიდერი (რიდლევიჩი 84), ბომე, მაული (მ. ვაისენბერგერი 46), ლაბადია, ვან დერ ვენი (შტრაალი 74)

მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი

გაფრთხილება: ჰირში, ვედაუ, პეეტერსი

მსაჯი: გაგელმანი

11 089 მაყურებელი

# იგლი ტარეს ტური



REUTERS გელ ზენკირხენიდან

შალკე — მიუნხენი 2:2. მიუნხენელმა მარტინ ჩიჟეკმა შალკელ რადოსლავ ლატალს უკნიდან ბურთი აართვა

თუ სასწაული არ მოხდა, ჩვენებურთა „ფრაიბურგი" გაისადაც პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს, „ლევერკუზენს" კი ჩემპიონობას წლეულს თვით მიუნხენის „ბაიერნიც" ვეღარ შეეცილება. ვიდრე ამ გუნდების მატჩებზე მოგითხრობთ, ტურის მთავარი ამბავი ვთქვათ — „დორტმუნდმა" როგორც იქნა, მოიგო.

ეს გასაოცარი ფაქტი შტუტგარტში მოხდა, შეხვედრის ბოლო წუთი მიმდინარეობდა, როცა შეცვლაზე შესული ჰაიკო ჰერლიხის დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა, მანამდე გუნდებს თითო გოლი გაეცვალათ და შეხვედრაც სტუმრებმა 2:1 მოიგეს. 132 დღიანი დანავსული სერიაც ასე შეწყდა, დიახ, „დორტმუნდს" ბოლოს გასული წლის 19 დეკემბერს მოეგო, მაშინ პირველი წრის ბოლო მატჩში ჯერ კიდევ მიხაელ სკიბეს გუნდმა ბერლინის „ჰერტა" 4:0 გაანადგურა.

„გუნდის იმედი რომ არ მქონოდა, მწვრთნელობაზე არც დავთანხმდებოდი. ეს კრიზისიდან გამოსვლის დასაწყისია. ბიჭები რომ ფსიქოლოგიურად კარგად არიან მომზადებულნი, ბოლო წუთზე გატანილი გოლიც მეტყველებს. გაისად სულ სხვა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ" — ოპტიმისტური და ენაწყლიანი გახლდათ მატჩის შემდეგ დორტმუნდელთა ახალი მწვრთნელი უდო ლატეკი.

შაბათს გერმანიაში ლიდერი კვლავ შეიცვალა, „ბაიერნმა" შინ „ჰანზას" 4:1 სძლია და „ლევერკუზენს" ბურთების უკეთესი სხვაობით გადაასწრო, თუმც მხოლოდ ერთი დღით. კვირას კრისტოფ დაუმის გუნდმა უძნელესი მატჩი მოიგო ჰამბურგში და ცხრილს კვლავ სათავეში მოექცა.

მიუნხენში თამაში მოულოდნელად დაიწყო. მე-18 წუთზე როსტოკელთა შავი მარგალიტი ვიქტორ აგალი გამოხტა და თავით აულებელი დაურტყა კანს. ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში გაეხვია. ბავარიელებს წონასწორობის აღდგენა პირველ ნახევარში ერთხელ შეეძლოთ, მაგრამ ელბერს მეკარემ აუღო.

მეორე ტაიმში კი „ჰანზას" კართან ძალიან ჩამოცხა. მიუნხენელებმა მეტოქის საჯარიმოში ბული დააყენეს, რომ დაწყნარდნენ „ოლიმპიაშტადიონის" ფერად ტაბლოს 4:1 ამშვენებდა. ორჯერ პაულო სერჟიომ დაამწუხრა პიკენჰაგენი, თითოჯერაც ელბერმა და შოლმა.

„დღეს ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, ბევრი რამ ხვალინდელ მატჩზეა დამოკიდებული" — თქვა „ბაიერნის" თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა.

კვირას ბევრი რამ გაირკვა. „ლევერკუზენს" ჰამბურგში ქულების დაკარგვას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სტუმრებმა თამაშში მთელი სული და გული ჩააქსოვეს და ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. მსაჯს ათჯერ მოუხდა ჯიბეზე ხელის გაკვრა, ცხრაჯერ ყვითელი უჩვენა ფეხბურთელებს, მასპინძელ ჰოლერბახს კი გაფრთხილება არ აკმარა და 54-ე წუთზე გააძევა კიდეც. მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა. გოლები კი პირველ ტაიმში გავიდა. მე-19 წუთზე ზე რობერტომ ისარგებლა გრავესენის შეცდომით და ანგარიში გახსნა. მეორე გოლიც დაცვის შეცდომას მოჰყვა. „ჰამბურგი" ამჯერად ნოვოტნიმ დასაჯა. „ლევერკუზენს" რიცხობრივ უმცირესობაში მყოფი მასპინძლებისთვისაც შეეძლო გატანა, მაგრამ იმავე ზე რობერტომ და რობსონ პონტემ ვერ ივარგეს.

სტუმრებმა კი გაიმარჯვეს, თუმც დანაკლისიც დიდი ჰქონდათ — რამელომ, ჟივკოვიჩმა და ზე რობერტომ მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღეს და მორიგ ტურში „აინტრახტთან" საშინაო მატჩში ვერ ითამაშებენ, ბოლო ტურში „უნტერჰახინგთან" კი კვლავ დაეხმარებიან გუნდს.

„ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. ამ მატჩზე ჩვენი ბედი ეკიდა. საბედნიეროდ, მოვიგეთ, ახლა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ. ორი შედარებით იოლი მატჩია დარჩენილი და იმ შეხვედრებში ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც დღეს" — კმაყოფილი იყო ნამატჩევს კრისტოფ დაუმი.

ახლა „ფრაიბურგი" რომ გავარდეს, შინ „კაიზერსლაუტერნთან" უნდა წააგოს, სტუმრად „ვოლფსბურგთან", „ულმმა" კი ჯერ „ვოლფსბურგი" უნდა დაამარცხოს, მერე „აინტრახტი", ამავდროულად თითო მატჩი „დორტმუნდმა", „აინტრახტმა" და „ჰანზამაც" უნდა მოიგონ, ყოველივე აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, „ფრაიბურგი" გავარდეს.

პარასკევს ფრაიბურგელები ბერლინში მეოთხე ადგილისთვის მებრძოლ „ჰერტას" ესტუმრნენ და ხელი ქულით დაიმშვენეს. მატჩის დებიუტი მასპინძელთათვის მოულოდნელი იყო. პირველ 15 წუთში „ჰერტა" სამჯერ გადაურჩა გოლს. კირალიმ ჯერ ვაისჰაუპტი გააწბილა, მერე იაშვილი, ბოლოს ბაია. პირველი ტაიმის მიწურულს კი ბერლინელები გამოცოცხლდნენ და 37-ე, 38-ე, 39-ე და 43-ე წუთებზე დაეი ვალდებული იყო, გაეტენა, სამჯერ გოლცმა ითამაშა დიდებულად, ერთხელაც კობიაშვილმა ივაჟკაცა, ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მეორე ტაიმში თამაში შედარებით წყნარად წარიმართა, მასპინძლებს ერთი-ორი მომენტი კი ჰქონდათ, მაგრამ გოლცთან ვერაფერს გახდნენ. არბიტრმა ფანდელმა „კიკერისგან" დაბალი შეფასება მიიღო, ამისი მთავარი საბაბი იაშვილის უმიზეზოდ გაფრთხილება იყო.

კაიზერსლაუტერნში კი მასპინძელთა ალბანელმა თავდამსხმელმა იგლი ტარემ დღესასწაული მოიწყო — „ულმის" კარში ოთხი გოლი გაიტანა. თავდაპირველად „ულმი" დააწინაურა, ზდრილიჩმა შეაგდო, მერე კი... მე-40 წუთზე ტარემ სტუმრების გოლი გაქვითა და ტაიმიც 1:1 მორჩა. მეორე ტაიმში ტარემ ჯერ 2:1 გახადა, მერე 3:1 და 85-ე წუთამდე შეისვენა. ამ ხანში მასპინძელთაგან პეტერსონმა დუბლი შეასრულა. ზდრილიჩმა კი პირველ ნახევარში გატანილს ერთიც დაამატა. ბოლოს ტარემ საბოლოო შედეგი დააფიქსირა 6:2 და უზომოდაც გაიხარა.

„მიუნხენმა" ათი კაცით გელზენკირხენში „შალკესთან" ქულის აღება შეძლო და „ჰერტას" კვლავ ქულით ჩამორჩება.

„აინტრახტს" კი თავიდანვე ისე რომ ეთამაშა, როგორც ახლა, იქნებ ჩემპიონობისთვისაც ებრძოლა. ფრანკფურტელებმა ამჯერად „ვოლფსბურგს" სძლიეს იოლად — 4:0. ოთხივე გოლი ლამაზი იყო, თუმცა ჩენ იანგის მიერ გატანილი მეოთხე ბურთი ნამდვილი შედევრი გახლდათ.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 32 | 20 | 10 | 2 | 70:33 | 37 | 70 | 16 | 12 | 4 | 0 | 40:16 | 24 | 40 | 16 | 8 | 6 | 2 | 30:17 | 13 | 30 |
| 2 | ბაიერნი | 32 | 20 | 7 | 5 | 67:27 | 40 | 67 | 16 | 11 | 3 | 2 | 47:16 | 31 | 36 | 16 | 9 | 4 | 3 | 20:11 | 9 | 31 |
| 3 | ჰამბურგი | 32 | 15 | 10 | 7 | 59:38 | 21 | 55 | 16 | 10 | 4 | 2 | 34:11 | 23 | 34 | 16 | 5 | 6 | 5 | 25:27 | -2 | 21 |
| 4 | ჰერტა | 32 | 13 | 11 | 8 | 38:41 | -3 | 50 | 16 | 8 | 7 | 1 | 23:11 | 12 | 31 | 16 | 5 | 4 | 7 | 15:30 | -15 | 19 |
| 5 | მიუნხენი | 32 | 13 | 10 | 9 | 52:46 | 6 | 49 | 16 | 10 | 3 | 3 | 34:19 | 15 | 33 | 16 | 3 | 7 | 6 | 18:27 | -9 | 16 |
| 6 | ლაუტერნი | 32 | 15 | 4 | 13 | 52:56 | -4 | 49 | 16 | 8 | 2 | 6 | 30:27 | 3 | 26 | 16 | 7 | 2 | 7 | 22:29 | -7 | 23 |
| 7 | ვოლფსბურგი | 32 | 11 | 13 | 8 | 49:55 | -6 | 46 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:25 | 2 | 28 | 16 | 3 | 9 | 4 | 22:30 | -8 | 18 |
| 8 | ვერდერი | 32 | 12 | 8 | 12 | 60:49 | 11 | 44 | 16 | 9 | 3 | 4 | 37:25 | 12 | 30 | 16 | 3 | 5 | 8 | 23:24 | -1 | 14 |
| 9 | შტუტგარტი | 32 | 13 | 5 | 14 | 37:43 | -6 | 44 | 16 | 6 | 1 | 9 | 19:25 | -6 | 19 | 16 | 7 | 4 | 5 | 18:18 | 0 | 25 |
| 10 | უნტერჰახინგი | 32 | 11 | 8 | 13 | 38:39 | -1 | 41 | 16 | 9 | 5 | 2 | 20:10 | 10 | 32 | 16 | 2 | 3 | 11 | 18:29 | -11 | 9 |
| 11 | შალკე | 32 | 8 | 14 | 10 | 41:41 | 0 | 38 | 16 | 4 | 10 | 2 | 21:15 | 6 | 22 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:26 | -6 | 16 |
| 12 | ფრაიბურგი | 32 | 9 | 10 | 13 | 42:47 | -5 | 37 | 16 | 7 | 4 | 5 | 27:18 | 9 | 25 | 16 | 2 | 6 | 8 | 15:29 | -14 | 12 |
| 13 | აინტრახტი | 32 | 11 | 5 | 16 | 39:39 | 0 | 36 | 16 | 8 | 3 | 5 | 27:13 | 14 | 27 | 16 | 3 | 2 | 11 | 12:26 | -14 | 11 |
| 14 | დორტმუნდი | 32 | 8 | 12 | 12 | 37:37 | 0 | 36 | 16 | 4 | 6 | 6 | 20:20 | 0 | 18 | 16 | 4 | 6 | 6 | 17:17 | 0 | 18 |
| 15 | ჰანზა | 32 | 7 | 14 | 11 | 41:56 | -15 | 35 | 16 | 7 | 7 | 2 | 24:18 | 6 | 28 | 16 | 0 | 7 | 9 | 17:38 | -21 | 7 |
| 16 | ულმი • | 32 | 8 | 8 | 16 | 33:60 | -27 | 32 | 16 | 6 | 4 | 6 | 20:23 | -3 | 22 | 16 | 2 | 4 | 10 | 13:37 | -24 | 10 |
| 17 | არმინია | 32 | 7 | 8 | 17 | 37:55 | -18 | 29 | 16 | 4 | 6 | 6 | 22:21 | 1 | 18 | 16 | 3 | 2 | 11 | 15:34 | -19 | 11 |
| 18 | დუისბურგი | 32 | 4 | 9 | 19 | 36:66 | -30 | 21 | 16 | 2 | 7 | 7 | 19:24 | -5 | 13 | 16 | 2 | 2 | 12 | 17:42 | -25 | 8 |

*„აინტრახტს" დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 18 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 16 |
| სანდი (შალკე 04) | 13 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |
| პაულუ სერჟიო (ბაიერნი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 12 |

**XXXIII ტური**

13 მაისი

ჰამბურგი - უნტერჰახინგი

ულმი - ვოლფსბურგი

ფრაიბურგი - ლაუტერნი

მიუნხენი - ჰერტა

დორტმუნდი - შალკე

ჰანზა - შტუტგარტი

არმინია - ბაიერნი

ვერდერი - დუისბურგი

ლევერკუზენი - აინტრახტი

## მეორე ბუნდესლიგა

XXIX ტური

**ობერჰაუზენი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 ვაიერი (58)

**ზანქტ პაული 0:2 ჰანოვერი**

0:1 შტენდელი (23), 0:2 კობილანსკი (84)

**ბოხუმი 6:1 ოფენბახი**

1:0 პეშელი (6), 1:1 დამა (43პ), 2:1 კოლინგერი (45ს.კ.), 3:1 დიკჰაუტი (70), 4:1 ბაკლი (72), 5:1 ტოპლაკი (78), 6:1 პეშელი (88)

**ბერლინი 3:1 ვალდჰოფი**

1:0, 2:0 ჩირიჩი (56, 65), 3:0 როსლერი (83), 3:1 ლიხტი (88)

**კიოლნი 2:1 ქემნიცი**

0:1 იენდროშეკი (9), 1:1 შპრინგერი (20), 2:1 ჰაუპტმანი (57)

**კიკერსი 2:1 ფორტუნა**

0:1 იუნგა-მუანი (32), 1:1, 2:1 ტ. მარიჩი (50, 90პ)

**ალემანია 4:1 კარლსრუე**

0:1 კრიგი (5), 1:1 დანე (42), 2:1 ლიომერმანი (68), 3:1 ბერთოლდი (76პ), 4:1 დანე (85)

**ფიურტი 2:0 მაინცი**

1:0, 2:0 ფელგენაუერი (43, 67)

**კოტბუსი 2:2 მიონხენგლადბახი**

1:0 ბიტენკურტი (11), 1:1 კეტელაერი (16), 1:2 ვან ლენტი (44), 2:2 ლაბაკი (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 16 | 8 | 5 | 54:28 | 56 |
| ბოხუმი | 29 | 15 | 6 | 8 | 55:41 | 51 |
| კოტბუსი | 29 | 14 | 4 | 11 | 52:36 | 46 |
| გლადბახი | 29 | 11 | 12 | 6 | 49:37 | 45 |
| ნიურნბერგი | 29 | 12 | 9 | 8 | 44:41 | 45 |
| ჰანოვერი | 29 | 12 | 7 | 10 | 47:42 | 43 |
| ალემანია | 29 | 11 | 9 | 9 | 41:45 | 42 |
| ბერლინი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:40 | 40 |
| ვალდჰოფი | 29 | 9 | 12 | 8 | 43:44 | 39 |
| ობერჰაუზენი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:31 | 38 |
| ფიურტი | 29 | 8 | 14 | 7 | 32:33 | 38 |
| ქემნიცი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:42 | 35 |
| კიკერსი | 29 | 9 | 7 | 13 | 45:50 | 34 |
| ზტ. პაული | 29 | 7 | 13 | 9 | 29:34 | 34 |
| მაინცი | 29 | 7 | 12 | 10 | 33:35 | 33 |
| ოფენბახი | 29 | 6 | 11 | 12 | 28:48 | 29 |
| ფორტუნა | 29 | 5 | 11 | 13 | 26:42 | 26 |
| კარლსრუე | 29 | 4 | 10 | 15 | 32:49 | 22 |

# შექსპირის კომედია და ტრაგედია



REUTERS რომიდან

ლაციო — ვენეცია 3:2. რომაელები ალესანდრო ნესტა (შუაში), პაველ ნედვედი (მარჯვნივ) და ვენეციელი ჰიროში ნანამი ბურთისთვის იბრძვიან

## იტალია

XXXII ტური

### ვერონა 2:0 იუვენტუსი

1:0, 2:0 კამარატა (45, 56)

ვერონა: ფრეი, დიანა, ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი (იტალიანო 82), ბროკი, მარასკო, კოლუჩი, სალვეტი (ჟანდებიაჟი 77), კამარატა, ადაილტონი (მელისი 55)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ტაკინარდი 57), ტუდორი, იულიანო, კონტე, ძამბროტა (ბირინდელი 46), დავიდსი, პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი, დელ პიერო (კოვაჩევიჩი 57)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კონტე, მარასკო

მსაჯი: ბრასკი

32 787 მაყურებელი

### ტორინო 2:1 რეჯინა

1:0 გალანტე (32), 1:1 კალონი (72პ), 2:1 ფერანტე (79)

ტორინო: ბუჩი, ბონომი, ფიკადენტი (გრანდონი 57), მალტალიატი, გალანტე, ტრიკარიკო, ბრამბილა, სომეზე (კალაიო 75), პინგა, ფერანტე, ივიჩი (პეკია 69)

მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო

რეჯინა: ტაიბი, ჩირილო (პოსანცინი 67), ოშადოგანი, სტოვინი, ჟაკეტა, პრალია (ვიკარი 60), კოცა (ბარონიო 60), ბერნინი, პირლო, რეჯი, კალონი

მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა

გაფრთხილება: ბრამბილა, პირლო, ჩირილო, რეჯი, ოშადოგანი

გაძევება: ბარონიო (85)

მსაჯი: დე სანტისი

21 000 მაყურებელი

### პერუჯა 1:2 ინტერი

0:1 ზეედორფი (28), 0:2 რეკობა (63), 1:2 ამორუზო (75)

პერუჯა: მაცანტინი, რიპა (ილარიო 56), კალორი, მატერაცი, ესპოზიტო, ბიზოლი, ტედესკო (კამპოლო 68), მილანეზე, ალენიჩევი (კაპიოლი 64), ნ. ამორუზო, რაპაიჩი

მწვრთნელი: კარლო მაცონე

ინტერი: პერუცი (ფერონი 46), სიმიჩი, ბლანი, კორდობა, ძანეტი, კოე, ზეედორფი, სერენა (სამორანო 74), რეკობა, რ. ბაჯო, მუტუ (დომორო 64)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: მატერაცი, ბიზოლი, კორდობა

მსაჯი: ფარინა

15 500 მაყურებელი

### პარმა 0:0 უდინეზე

პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, სტანიჩი, ბოლანო, პაულო სოუზა, დაბო (ვალემი 77), ბენარივო (ვანოლი 64), კრესპო, ამოროზო (დი ვაიო 65)

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

უდინეზე: ტურჩი, ჟენო (ძანკი 51), სოტილი, ბერტოტო, ალბერტო, ფიორე (ლოკატელი 80), ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი, ბისგაარდი, მუცი (სოსა 85), ვარლეი

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი, ალბერტო, მუცი, კრესპო, ამოროზო

მსაჯი: ბორიელო

20 000 მაყურებელი

### მილანი 1:0 პიაჩენცა

1:0 ამბროზინი (13)

მილანი: აბიატი, სალა, აიალა, ვესტი, გატუზო, ამბროზინი (დე აშენტისი 56), ალბერტინი (ჯუნტი 77), გულიელმინპიეტრო (ჰელვეგი 68), ლეონარდო, ხოსე მარი, შევჩენკო

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

პიაჩენცა: რომა, პოლონია, ლამაკი, დელი კარი, გაუტიერი, სტატუტო, კრისტალინი (ზიტოლო 84), ტალიაფერი, მანიგეტი, რასტელი, ჯილარდინო (დი ნაპოლი 73)

მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი

გაფრთხილება: პოლონია

გაძევება: ზიტოლო (89)

მსაჯი: პრესკერნი

50 000 მაყურებელი

### ლაციო 3:2 ვენეცია

1:0 სიმეონე (40), 2:0 ინძაგი (45), 2:1 პედონე (57), 3:1 მანიერო (87ს.კ.), 3:2 განცი (93)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სერჟიო კონსეისაო (ლომბარდო 84), სიმეონე, ნედვედი, ვერონი, რ. მანჩინი (სენსინი 64), ს. ინძაგი (სალასი 71)

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

ვენეცია: ბენუსი, ბილიკა, პავანი (ბრიოსკი 83), ნგოტი, იბერტსბერგერი (ნანამი 45), მალდონადო, ბერგი, პედონე, ჯინესტრა, ვალტოლინა (განცი 78), მანიერო

მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო

გაფრთხილება: სერჟიო კონსეისაო, ინძაგი, ნანამი, ნესტა, განცი

მსაჯი: რაკალბუტო

62 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 3:0 ლეჩე

1:0 ტაროცი (45), 2:0, 3:0 ბატისტუტა (45, 88)

ფიორენტინა: ტოლდო, ადანი (ბრესანი 57), ფირიკანო, რეპკა, ტაროცი, როსიტო (ამორი 85), კოისი (ოკონი 67), დი ლივიო, რუი კოშტა, კიეზა, ბატისტუტა

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, პივოტო, სავინო, ტრავერსა, კონტიკიო, პიანჯერელი, ლიმა, ბონომი, ბილოტი, კ. ლუკარელი (მარინო 73)

მწვრთნელი: ალბერტო კავასინი

გაფრთხილება: პიანჯერელი, ტრავერსა, რეპკა, ფირიკანო, ლიმა

მსაჯი: ტრეოსი

32 000 მაყურებელი

### კალიარი 2:2 ბოლონია

0:1 პარამატი (16), 1:1 მბომა (26პ), 2:1 დალ კანტო (39ს.კ.), 2:2 სინიორი (66)

კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ძებინა (ბიანკონი 64), მოდესტო (კარუზი 76), ბერეტა, კონტი, აბეიონი, მაჩელარი, მბომა, მელისი (მაიელე 62)

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

ბოლონია: პალიუკა, პარამატი, პაგანინი, დალ კანტო, ნერვო, ინგესონი, მაროკი, ვომე, ერიბერტო (ბინოტო 46), კ. ანდერსონი, სინიორი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

გაფრთხილება: პარამატი, მაროკი, ბიანკონი, ნერვო

მსაჯი: მარკო გაბრიელე

8 000 მაყურებელი

### ბარი 0:0 რომა

ბარი: ფ. მანჩინი, ნექროიზი, ინოჩენტი, ფერარი, დელ გროსო, ბელავისტა, პეროტა (სპინეზი 66), დ. ანდერსონი, მადსენი (გარსია 53), ოსმანოვსკი, კასანო

მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი

რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, მანგონე (ძაგო 66), კაფუ, მარკოს ასუნსაო, ტომაზი, დი ფრანჩესკო, ნაკატა (ბლასი 78), მონტელა (პოჯი 66), დელვეკიო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: კასანო, მანგონე, ნექროიზი

მსაჯი: ტომბოლინი

20 000 მაყურებელი

„ეს უბრალოდ ცუდი დღე იყო. გუნდმა ტემპი ვერ შეინარჩუნა. კონკრეტულად ვერავის დავდებ ბრალს, ყველა ერთადაა დამნაშავე. ბოლო ორი მატჩი, რომ გადამწყვეტი იქნება ჩვენთვის სიახლე არაა. დიდი ხანია ამბობენ, შეჯიბრება, ფაქტობრივად დამთავრებულიაო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ვერონაში სამწუხაროდ, გადაღლილები ვჩანდით, თუმცა, სინამდვილეში, ასე არაა. იმ დღეს ჩინებული გაზაფხულის ამინდიც იდგა და ვერც სიცხეს დავაბრალებთ რაიმეს. თუმცა, მოდით მიმოვიხედოთ: ცხრილს ჯერ კიდევ ორი ქულით ვლიდერობთ" — ასე ილაპარაკა „იუვენტუსის" მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ სერია A-ს ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „ვერონასთან" 0:2 დამარცხების შემდეგ.

ალესანდრო დელ პიერო: „კვლავ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. დადებით განწყობას თუ შევინარჩუნებთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. მერე რა, რომ „ლაციო" გუშინდელთან შედარებით მოგვიახლოვდა. „ვერონასთან" თამაშზე კი ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მოწინააღმდეგე უფრო თავდადებული გახლდათ და დამსახურებულად გაიმარჯვა".

ჯანლუკა ძამბროტა: „ამ წაგების შემდეგ თავის დამშვიდება მხოლოდ იმით შეგვეძლო, რომ „ლაციოს" ჯერ კიდევ ვუსწრებთ. ასეა, ვისაც მოსდევენ, ყოველთვის უფრო უჭირს. ბოლო ორ შეხვედრაში ცოტა დაღლილები ვჩანდით, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, სეზონს წარმატებით ამბიცია დაგვამთავრებინებს".

მაშ ასე, „ვერონამ" ლიდერს 2:0 მოუგო. გასაკვირია? მაგრამ, მეორე მხრივ, რომეოსა და ჯულიეტას თანაქალაქელებს მანამდე 12 თამაში არ წაეგოთ, ახლა კი ეს რიცხვი 13-მდე გაზარდეს. ორივე გოლი ფაბრიციო კამარატამ გაიტანა.

„იუვენტუსის" მდევარმა, „ლაციომ" კი „ვენეციას" 3:2 სძლია. რომაელთა კარს ლუკა მარკეჯანი დაუბრუნდა, ხოლო კიდევ ერთი შექსპირისეული ქალაქის გუნდი სერია B-ში გავარდა.

„ლაციოს" მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი: „ახლა „იუვენტუსთან" პლეი-ოფის გამართვის საშუალება რომ მქონდეს, სიამოვნებით გავმართავდი. თანაბარი ქულები რომ გვქონდეს, ვიტყოდი, შანსი თანაბარი გვაქვს მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ტურინელები 2 ქულით გვისწრებენ და იძულებული ვარ ვაღიარო: ჩემპიონობის ასპროცენტიანი შანსი აქვთ. ეს უპირატესობა მათ პატარა შეცდომის შანსს კიდევ უტოვებს, ჩვენ კი არა. მიუხედავად ამისა ვიმეორებ, რაც მრავალჯერ მითქვამს — იმედს ბოლო წამამდე არ გადავიწურავ, მით უფრო, რომ მენტალურად „იუვენტუსზე" გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. შემდეგ ტურში ჩვენ ბოლონიაში მივდივართ, ხოლო „იუვენტუსი" „პარმას" მასპინძლობს. ცხადია ვიმედოვნებ, რომ ლიდერს პარმელებთანაც დაუცდება ფეხი, თუმცა ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენც უძნელესი თამაში გველის. რაც შეეხება „ვენეციასთან" შეხვედრას, მოგახსენებთ, რომ სეზონის საუკეთესო მატჩი არ ჩაგვიტარებია, მაგრამ მიზანს მივაღწიეთ. ბოლო წუთებში ჩაგვეძინა და გოლიც გავუშვით. თუმცა ეს იმით აიხსნება, რომ 3:1-ს რომ ვიგებდით და საფინალო სასტვენამდე წუთებილა რჩებოდა, მთელი გულისყური ტელეფონისკენ გვქონდა მიმართული, ვერონადან ველოდებოდით ახალ ამბებს. ჩემი ფეხბურთელებიდან განსაკუთრებით დიეგო სიმეონეს შექება მსურს. ის თავდადებული და ტაქტიკურად სწორედ მოთამაშე ადამიანია. ხშირად საჭირო გოლები გააქვს. სიმეონე ნამდვილი პროფესიონალია, სეზონის დასაწყისში კარგა ხანს სათადარიგოთა სკამზე მეჯდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუჩივლია".

მესამე ადგილზე მყოფმა „მილანმა" შინ სძლია „პიაჩენცას" 1:0. ამით მოულოდნელი არაფერი ყოფილა. „პიაჩენცა" ხომ აუტსაიდერი და სერია B-ში გავარდნილი გუნდია. ერთადერთი გოლი მასიმო ამბროზინიმ თავური დარტყმით გაიტანა. შეხვედრას ტრიბუნიდან, „ჩელსიში" განათხოვრებული ჟორჟ ვეა ადევნებდა.

„ინტერი" მეოთხეა და თუ ეს პოზიცია შეინარჩუნა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. პერუჯაში კი ანგარიში ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა გახსნა, ხოლო შემდეგ ურუგვაელმა ალვარო რეკობამ მარცხენა ფეხით ულამაზესი გოლი შეაგდო — 2:0. ბოლოს პერუჯელმა ნიკოლა ამორუზომ შეამცირა სხვაობა და მარჩელო ლიპის გუნდს ბოლო 15 წუთში გვარიანი ნერვიულობაც მოუხდა.

**ბაჩუნა ძედია**

|  |  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № |  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 32 | 20 | 8 | 4 | 45:19 | 26 | 68 | 16 | 13 | 2 | 1 | 27:8 | 19 | 41 | 16 | 7 | 6 | 3 | 18:11 | 7 | 27 |
| 2 | ლაციო | 32 | 19 | 9 | 4 | 58:31 | 27 | 66 | 16 | 12 | 4 | 0 | 37:15 | 22 | 40 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:16 | 5 | 26 |
| 3 | მილანი | 32 | 15 | 12 | 5 | 60:39 | 21 | 57 | 16 | 9 | 6 | 1 | 36:18 | 18 | 33 | 16 | 6 | 6 | 4 | 24:21 | 3 | 24 |
| 4 | ინტერი | 32 | 16 | 7 | 9 | 56:32 | 24 | 55 | 16 | 10 | 4 | 2 | 40:12 | 28 | 34 | 16 | 6 | 3 | 7 | 16:20 | -4 | 21 |
| 5 | პარმა | 32 | 15 | 10 | 7 | 48:35 | 13 | 55 | 16 | 9 | 4 | 3 | 27:15 | 12 | 31 | 16 | 6 | 6 | 4 | 21:20 | 1 | 24 |
| 6 | რომა | 32 | 14 | 10 | 8 | 54:31 | 23 | 52 | 16 | 10 | 4 | 2 | 33:13 | 20 | 34 | 16 | 4 | 6 | 6 | 21:18 | 3 | 18 |
| 7 | უდინეზე | 32 | 12 | 11 | 9 | 53:40 | 13 | 47 | 16 | 8 | 4 | 4 | 34:22 | 12 | 28 | 16 | 4 | 7 | 5 | 19:18 | 1 | 19 |
| 8 | ფიორენტინა | 32 | 11 | 12 | 9 | 41:38 | 3 | 45 | 16 | 9 | 5 | 2 | 27:17 | 10 | 32 | 16 | 2 | 7 | 7 | 14:21 | -7 | 13 |
| 9 | ვერონა | 32 | 10 | 11 | 11 | 37:42 | -5 | 41 | 16 | 8 | 5 | 3 | 21:12 | 9 | 29 | 16 | 2 | 6 | 8 | 16:30 | -14 | 12 |
| 10 | ბოლონია | 32 | 9 | 12 | 11 | 29:35 | -6 | 39 | 16 | 8 | 5 | 3 | 16:9 | 7 | 29 | 16 | 1 | 7 | 8 | 13:26 | -13 | 10 |
| 11 | რეჯინა | 32 | 9 | 12 | 11 | 30:38 | -8 | 39 | 16 | 6 | 6 | 4 | 15:17 | -2 | 24 | 16 | 3 | 6 | 7 | 15:21 | -6 | 15 |
| 12 | პერუჯა | 32 | 11 | 6 | 15 | 34:50 | -16 | 39 | 16 | 6 | 4 | 6 | 21:25 | -4 | 22 | 16 | 5 | 2 | 9 | 13:25 | -12 | 17 |
| 13 | ლეჩე | 32 | 9 | 10 | 13 | 30:44 | -14 | 37 | 16 | 8 | 5 | 3 | 16:10 | 6 | 29 | 16 | 1 | 5 | 10 | 14:34 | -20 | 8 |
| 14 | ბარი | 32 | 9 | 8 | 15 | 32:47 | -15 | 35 | 16 | 6 | 8 | 2 | 19:13 | 6 | 26 | 16 | 3 | 0 | 13 | 13:34 | -21 | 9 |
| 15 | ტორინო | 32 | 7 | 12 | 13 | 32:44 | -12 | 33 | 16 | 5 | 5 | 6 | 19:22 | -3 | 20 | 16 | 2 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 13 |
| 16 | ვენეცია | 32 | 6 | 8 | 18 | 30:56 | -26 | 26 | 16 | 6 | 5 | 5 | 18:18 | 0 | 23 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:38 | -26 | 3 |
| 17 | კალიარი | 32 | 3 | 12 | 17 | 28:51 | -23 | 21 | 16 | 3 | 7 | 6 | 15:18 | -3 | 16 | 16 | 0 | 5 | 11 | 13:33 | -20 | 5 |
| 18 | პიაჩენცა | 32 | 4 | 8 | 20 | 17:42 | -25 | 20 | 16 | 3 | 6 | 7 | 11:18 | -7 | 15 | 16 | 1 | 2 | 13 | 6:24 | -18 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 22 |
| კრესპო (პარმა) | 21 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 20 |
| მონტელა (რომა) | 17 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 15 |
| ფერანტე (ტორინო) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 14 |

### XXXIII ტური

7 მაისი

ვენეცია — ბარი
პიაჩენცა — კალიარი
ინტერი — ფიორენტინა
ბოლონია — ლაციო
რომა — მილანი
იუვენტუსი — პარმა
უდინეზე — პერუჯა
ლეჩე — ტორინო
რეჯინა — ვერონა

## სერია B

XXXII ტური

### ალძანო 1:2 პისტოიეზე

0:1 კარბონე (17), 0:2 კოლომბო (20პ), 1:2 ფერარი (36პ)

### მონცა 4:1 ფერმანა

1:0 ვინიაროლი (11), 1:1 კიანეზე (48), 2:1 ვინიაროლი (57), 3:1, 4:1 ბრნჩიჩი (67, 81)

### პესკარა 4:1 სავოია

1:0 როსი (5), 2:0 ძანინი (15), 3:0 ჯელსი (51), 3:1 კანიენგელე (79), 4:1 ძანინი (81)

### ნაპოლი 1:0 კოზენცა

1:0 გალეტი (84)

### სალერნიტანა 1:1 ემპოლი

0:1 საუდატი (17), 1:1 ვანუკი (18)

### ჩეზენა 0:0 კიევო

### ჯენოა 2:1 ატალანტა

1:0 ნიკოლა (27), 1:1 როსინი (84), 2:1 ტორენტე (87)

### ტერნანა 0:0 რავენა

### ტრევიზო 1:0 სამპდორია

1:0 ბალარინი (79)

### ვიჩენცა 2:1 ბრეშა

1:0 მარკო აურელიო (41), 2:0 სკენარდი (53), 2:1 ბონაცოლი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 32 | 17 | 6 | 9 | 57:34 | 57 |
| ბრეშა | 32 | 14 | 12 | 6 | 46:29 | 54 |
| ატალანტა | 32 | 15 | 8 | 9 | 42:30 | 53 |
| ნაპოლი | 32 | 14 | 11 | 7 | 44:34 | 53 |
| სამპდორია | 32 | 12 | 11 | 9 | 33:30 | 47 |
| ჯენოა | 32 | 13 | 7 | 12 | 39:34 | 46 |
| სალერნიტანა | 32 | 12 | 10 | 10 | 46:44 | 46 |
| ტრევიზო | 32 | 12 | 9 | 11 | 41:37 | 45 |
| კიევო | 32 | 10 | 11 | 11 | 39:41 | 41 |
| პესკარა | 32 | 8 | 16 | 8 | 48:42 | 40 |
| ჩეზენა | 32 | 8 | 16 | 8 | 37:34 | 40 |
| რავენა | 32 | 9 | 13 | 10 | 30:29 | 40 |
| კოზენცა | 32 | 9 | 13 | 10 | 27:31 | 40 |
| ტერნანა | 32 | 8 | 15 | 9 | 33:38 | 39 |
| მონცა | 32 | 7 | 17 | 8 | 34:36 | 38 |
| ემპოლი | 32 | 9 | 11 | 12 | 29:45 | 38 |
| ალძანო | 32 | 9 | 10 | 13 | 29:39 | 37 |
| პისტოიეზე | 32 | 10 | 9 | 13 | 30:35 | 35 |
| სავოია | 32 | 6 | 11 | 15 | 30:48 | 29 |
| ფერმანა | 32 | 5 | 10 | 17 | 30:54 | 25 |

## სერია C1/A

32-ე ტური. ალბინოლეფე — ბრეშელო 1:2; კარარეზე — კომო 1:1; კრემონეზე — ლუკეზე 1:0; ლეკო — ვარეზე 0:5; მონტევარკი — ლივორნო 1:1; პიზა — სიენა 1:0; რეჯანა — ლუმეცანე 1:2; სანდონა — მოდენა 0:1; სპალ — ჩიტადელა 1:1

## სერია C1/B

32-ე ტური. ასკოლი — ნოჩერინა 3:1; აველინო — ფ. ანდრია 2:2; ბენევენტო — დი სანგრო 0:0; კატანია — გუალდო 3:2; კროტონე — სტაბია 2:2; ჯულიანოვა — არეცო 0:0; ლოდიჯანი — ანკონა 1:0; მარსალა — ატლეტიკო 0:0; პალერმო — ვიტერბეზე 1:0

## ესპანეთი

### XXXV ტური

**სელტა 2:1 დეპორტივო**

1:0 ბენი მაკკარტი (4), 1:1 ტურუ ფლორესი (46), 2:1 გუსტავო ლოპესი (74)
სელტა: პინტო, ხუანფრანი, სერხიო, კასერესი, კარპინი, ჯოვანელა, მაკელელე, სელადესი, ბენი მაკკარტი (ტურდო 58), რევივო (ვივასი 58), გუსტავო ლოპესი (კოირა 78)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
დეპორტივო: სონგო, შურერი (რომერო 46), დონატო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ჯალმინია, ფრანი, ფლავიო კონსეისაო (ტურუ ფლორესი 46), მაურო სილვა, მაკაი, ვიქტორ სანჩესი (პაულეტა 75)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მაურო სილვა, მაკელელე, რომერო, ფრანი, მაკაი
გაძევება: ხუანფრანი (14), რომერო (83), სონგო (90)
მსაჯი: ლონჩი ანდრეუ
28 000 მაყურებელი

**სარაგოსა 0:0 ბილბაო**

სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი (კუარტერო 62), აგუადო, პაკო ხემესი, ლანა, ხუანელე (რადიმოვი 77), არაგონი, გარიტანო, ველისკა (მარკოს ვალესი 62), იორდი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხუან ფრანსისკო როხო
ბილბაო: ლაფუენტე, ლაკრუსი, ოსკარი, ლარასაბალი, ფელიპე, იმასი (ედუ ალონსო 77), ი. გერერო (რობერტო რიოსი 91), ხოსე მარი, ესკერო (ხავი გონსალესი 58), ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: სუნდგრენი, აგუადო, არაგონი, კუარტერო, იმასი, ეჩებერია
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
22 000 მაყურებელი

**მალიორკა 4:0 ბეტისი**

1:0 ლორენი (7), 2:0 დიეგო ტრისტანი (13), 3:0, 4:0 ეტოო (20, 69)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ჩიჩი სოლერი (რობლესი 73), ოლაიზოლა, მიგელ სოლერი, ენგონგა, ი. სტანკოვიჩი, იბაგასა (რომერიტო 86), ლორენი, სერისუელა, ეტოო, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ბეტისი: ტონი პრატსი, კარჰანი, ვიდაკოვიჩი (დენილსონი 22), ოტერო, რივასი, ფილიპესკუ, ბენჟამინი, კანიასი, კროსა, ალფონსო, ფინიდი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
მსაჯი: პერეს ბურული
17 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:2 რეალი**

0:1 ბალიჩი (47), 0:2 რაული (78პ)
ესპანიოლი: მორა, სოლდევილა, ნანდო, კრისტობალი, მაურო ნავასი, არტეაგა, დე ლუკასი (ბრნოვიჩი 62), სერხიო, სერანო (მანელი 72), მარტინ პოსე, ველამასანი
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
რეალი: კასილიასი, ივან კამპო, კარანკა, რობერტო კარლოსი (დორადო 87), ჟულიო სეზარი, ჯერემი, რედონდო, მაკმანამანი (ოგნიენოვიჩი 90), ბალიჩი (კარემბუ 81), რაული, ანელკა
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: დე ლუკასი, ნანდო, კარანკა, ბრნოვიჩი, არტეაგა, ჟულიო სეზარი, ჯერემი
მსაჯი: ხაპონ სევილია
16 900 მაყურებელი

**ატლეტიკო 0:3 ბარსელონა**

0:1 სერხი (39), 0:2 დანი (61), 0:3 გაბრი (90)
ატლეტიკო: მოლინა, ფილიპაუსკასი, აგილერა, კაპდევილა, გამარა (კორეა 77), სანტი, ბარახა, სოლარი (ლუკე 73), ვალერონი (მენა 57), ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, რაიციგერი, ფ. დე ბური, გაბრი, ლიტმანენი, გვარდიოლა, ზენდენი (ხავი 75), დანი (ბოგარდი 83), ფიგუ (სიმაო 18)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ბარახა, კორეა, სანტი, მენა, გვარდიოლა
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
45 000 მაყურებელი

**სევილია 2:3 ოვიედო**

0:1 პაულო ბენტუ (26), 0:2 პომპეი (61), 0:3 ლოსადა (73), 1:3 ლორენი (75), 2:3 ოლივერა (79)
სევილია: ოლსენი (ხესუსი 46), ნანდო, მარჩენა, ექტორი, ოტერო, იურიჩი (ვიქტორი 80), ფრანსისკო, კევედო, ოლივერა, ლორენი, ხუან კარლოსი (ჟერმანი 72)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპარესი
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (კორბო 64), ონოპკო, ბორისი, პომპეი, კეიტა, ნადი, რუბენი (დანჟუ 39), პაულო ბენტუ, დელი ვალდესი, ლოსადა (პინტო 83)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ხუან კარლოსი, პაულო ბენტუ, კევედო
მსაჯი: პუენტეს ლეირა
20 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:2 მალაგა**

1:0 ხოხლოვი (19), 1:1 კატანია (51), 2:1 პიკაბეა (66), 2:2 კიკი მუსამპა (79)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე (დე პედრო 42), პიკაბეა, გურუჩაგა, ფუენტესი, ხოხლოვი, არამბურუ (ადეპოჟუ 73), გომესი, იანკაუსკასი, დე პაულა (იდიაკესი 75)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
მალაგა: კონტრერასი, როხასი (სანდრო 46), ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, ვალკარსე (კიკი მუსამპა 77), მოვილია, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, რუანო (როტეტა 83), კატანია, დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
გაფრთხილება: იდიაკესი
მსაჯი: დიას ვეგა
28 000 მაყურებელი

**რასინგი 1:1 ნუმანსია**

1:0 სალვა (7), 1:1 რუბენ ნავარო (54)
რასინგი: ლემენსი, მელბერგი, სიეტესი, არსენო, ტაისი (ჩემა 60), ვივარდორადო, ესპინია (ბესჩასტნიხი 83), კოლსა, სალვა (რუშფელტი 71), მუნიტისი, მანხარინი
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა (ოხედა 55), მუნისი, სორია, პაჩეტა, კასტანიო, ნაგორე, ბარბუ (ხაუმე 71), რუბენ ნავარო (რივერა 90)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: ესპინია, სალვა, ინიაკი, პაჩეტა, კოლსა, ტაისი
მსაჯი: მეია დავილა
22 000 მაყურებელი

**ალავესი 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 ხულიო სალინასი (34)
ალავესი: ერერა, ტელიესი, კონტრა, მორალესი, ეგენი, ტორეს მესტრე, კარმონა, პაბლო (ასკოიტია 71), მაგნო (იბონ ბეგონია 84), ასტუდილიო, ხულიო სალინასი (ხავი მორენო 63)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
ვალიადოლიდი: სესარი, გარსია კალვო, ტორეს გომესი, სანტამარია, შაინცე, მარკოსი (ისაილოვიჩი 80), შოჟი ჯო (ალბერტო 63), ვისკაინო, მარკესი (კამინერო 46), ვიქტორი, როდრიგო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ეგენი, მარკესი, ვისკაინო
გაძევება: ეგენი (82)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
16 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:3 ვალენსია**

0:1 ფარინოსი (12), 0:2 მენდიეტა (35), 0:3 ოსკარი (83), 1:3 ბოლო (86)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ლორენსი (ლუის სემბრანოსი 59), პაბლო სანსი, ესტიბარისი (მიჩელ II 46), ალკასარი, კლოტე, ამაია, კოტა (ფერონი 79), მიჩელ I, პოშნერი, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ალბელდა, მენდიეტა (ოსკარი 77), ფარინოსი (ხერარდო 89), ანგულო, ხერარდი, ხუან სანჩესი (კლაუდიო ლოპესი 69)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ლუის სემბრანოსი, ალბელდა
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
8 000 მაყურებელი

# ესენი ხევენ...



მალიორკა — ბეტისი 4:0. მალიორკელმა ლორენ ეტამაიერმა ბეტისელ დენილსონს (№16) დაასწრო

REUTERS მალიორკიდან

ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. გალისიელთა ამბავი კი პირიქითაა — სწორედაც რომ დახევენ. „სელტა"— „დეპორტივოს" მატჩზე მოგახსენებთ. წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რომ იყოს, თბილისის "დინამო" პირველ ადგილს უმიზნებდეს და ქუთაისის „ტორპედოსთან" ან ლანჩხუთის „გურიასთან" ჰქონდეს სათამაშო? საეჭვოა, „დინამოს" ქულების ალება გასჭირვებოდა. იქ კი სხვა საქმეა — ვიგოელებმა, კუთხური პატრიოტიზმი ჩვენთვის უცხო რამ არისო (მით უმეტეს, „სელტაში" უცხოტომელები მრავლად არიან) და „დეპორტივო" დაამარცხეს.

35-ე ტურში მსაჯებმა ოთხი ფეხბურთელი მიაბრძანეს მოედნიდან და მათგან სამი ვიგოური მატჩის მონაწილენი იყო. თუმც სანამ წითელი ბარათცვენა დაიწყებოდა, „სელტა" ბენი მაკკარტის მე-4 წუთზე გატანილი გოლით მეტოქეს 1:0 უგებდა. ათი წუთის შემდეგ კი მასპინძლები უმცირესობაში დარჩნენ — ხუანფრანმა სათადარიგოთა სკამიდან განაგრძო მატჩის ცქერა.

ლაკორუნიელები გაქტიურდნენ. საამისოდ მიზეზებიც ჰქონდათ. ერთი, რომ მთელი სეზონის მანძილზე ბლომად ოფლის ღვრით მიღწეული და შენარჩუნებული უპირატესობა თვალსა და ხელს შუა ეცლებოდათ და მეორეც, გალისიური დერბი მეტად პრინციპული რამ არის. შესვენებამდე არა, მაგრამ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღო — ტურუ ფლორესმა ანგარიში გაათანაბრა.

კი ვთქვით, „დეპორტივო" მოგებაზე იყო დაგეშილიო, მაგრამ არც „სელტა" ყოფილა გულხელდაკრეფილი — ბოლოს და ბოლოს დერბი გახლდათ. გუსტავო ლოპესის მატჩის დასრულებამდე 26 წუთით ადრე გატანილმა გოლმა სტუმრებს თავგზა საბოლოოდ აუბნია. ამიტომაც მათ შეცდომებს უხშირეს, ხოლო 83-ე წუთზე მსაჯმა მოედანზე ფეხბურთელთა რაოდენობა გაათანაბრა — რომერომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. 90-ე წუთზე ერთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — დეპორტივოელებს კონტრშეტევა გამოეპარათ და კარის გადასარჩენად მეკარე ჟაკ სონგო იძულებული გახდა, საჯარიმოს გარეთ ხელით ეთამაშა. სტუმართა კარი გადარჩა — სონგო ვერა, ისიც ხუანფრანის და რომეროს გზას გაუყენეს.

„დეპორტივო" ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს. თუმც ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ორქულიანი უპირატესობა მეტად მყიფეა.

რამდენი თქმულა ესპანეთის თასზე „ბარსელონა" — „ატლეტიკოს" ჩაშლილ მატჩზე. ეს გუნდები ამჯერად ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში მადრიდში გაიმართა და კატალონიელებმა 3:0 მოიგეს. საინტერესოა, ბარსელონელ მეგოლეთა ვინაობაც — სერხი, დანი და გაბრი. ესენი სწორედ ის ფეხბურთელები არიან, ვისი გამოყვანაც ლუის ვან გაალს ბოიკოტგამოცხადებულ შეხვედრაში შეეძლო, მაგრამ არ მოინდომა. ჰოლანდიელის მრისხანე თავდამსხმელებს — კლუივერტს და რივალდოს კი მადრიდში სულაც არ უთამაშიათ.

რამდენად სწორი იყო მაშინ კატალონიელთა გადაწყვეტილება მატჩის ჩაშლის შესახებ, ცალკე საუბრის თემაა, აქ კი ვთქვათ, რომ „ბარსელონას" გაჩემპიონების კარგი შანსი გაუჩნდა. კალენდარსაც გადავხედოთ: „დეპორტივო" „სარაგოსას", რასინგს" და „ესპანიოლს" უნდა შეხვდეს, ხოლო „ბარსელონა" „რაიო ვალეკანოს", „სოსიედადს" და „სელტას" გაეჯიბრება.

„სარაგოსამ" შინ ვერაფერი მოუხერხა „ბილბაოს" და ორი ქულა დაკარგა. ამ ფრემ ბასკებს ბევრი არაფერი შეჰმატა, სამაგიეროდ, „რეალი" კმაყოფილი უნდა იყოს — „სარაგოსას" დაეწია. ამისთვის მადრიდელებს ბარსელონაში „ესპანიოლის" ძლევა დასჭირდათ, რაც არ გასჭირვებიათ. აღსანიშნავია, რომ ჩინებულად ითამაშა ნიკოლა ანელკამ და პირველი გოლიც ელვირ ბალიჩმა მისი პასით შეაგდო. დელ ბოსკეს უთქვამს, ანელკა ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩში დიდად დაგვეხმარებაო. მეორე გოლი კი სტივ მაკმანამანის მოცელვისთვის დანიშნული პენალტით რაულმა გაიტანა.

მოიგეს „ალავესმა" და „ვალენსიამაც". ისინი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან.

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ბერი (7), ლუისი (14 ქულა, 10 მოხსნა), ბეიკერი (15 ქულა, 11 მოხსნა), გრანტი (10); პატერსონი (13), ვილიამსი (5), ფოსტერი (2), მაკკოი

იუტა: სტოქტონი (4 ქულა, 13 პასი), ჰორნაჩეკი (15), რასელი (10), მელოუნი (30), პოლინაისი (2); ოსტერტაგი (7), ვილიამსი (6), ლუისი (4), ეისლი, ვონი

ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსმა" სერიის მესამე თამაშში შინ დაამარცხა „იუტა ჯაზი" და პლეი ოფთან გამომშვიდობება სულ ცოტა, ოთხი დღით ანუ სამ მაისამდე გადადო. ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ „სიეტლი" მომდევნო შეხვედრას აუცილებლად წააგებს, მაგრამ მაინც საეჭვოა, პოლ ვესტფოლის ბიჭები საბოლოოდ გაუმკლავდნენ კარლ მელოუნსა და კომპანიას, რომელიც, მართალი რომ ითქვას, სულაც არ ბრწყინავდა ამ შეხვედრაში.

„სიეტლს", ცხადია, გერი პეიტონმა მოაგებინა ეს შეხვედრა, კაცმა ურომლისოდაც „ზებგერითები" ამდენ თამაშებს ვერ მოიგებენ რეგულარულში და საერთოდ პლეი ოფშიც ვერ მოხვდებოდნენ. ამ თამაშში პეიტონის გარჯა საკმარისი აღმოჩნდა „იუტას" დასამარცხებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი. გერი ბლომად ბურთებს აცილებდა — თამაშიდან 24 სროლიდან მხოლოდ რვა ჩააგდო, ოთხივე სამქულიანი ააცილა და 12 საჯარიმო სროლიდან ხუთი გააფუჭა. მის შეცდომებს მაღალი თანაგუნდელები ასწორებდნენ, რომლებიც ფარზე მეტოქეზე უკეთ ირჯებოდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ვინ ბეიკერი, რომელიც წინა ორ თამაშში უკბილო გარჯისთვის კარგად შეაფუცხუნა მწვრთნელმა და არც პრესამ დააკლო ხელი.

მატჩი „სიეტლის" აშკარა უპირატესობით წარიმართა. სხვაობამ გუნდებს შორის პირველივე წუთებიდან იწყო ზრდა და მესამე მეოთხედის ბოლოს 10 ქულას უწია. ეს არცთუ ბევრი იყო, ამიტომ ბრძოლა ბოლო მეოთხედშიც გაგრძელდა. აქ პეიტონმა ერთბაშად ცხრა ქულა მიითვალა და „იუტას" სულ თავბედი აწყევლინა, მას არც ბერი ჩამორჩა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 3,43 წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო — 82:62. ნახევარი წუთის შემდეგ იმავე დისტანციიდან კვლავ ივარგა — 85:64. ბერის ამ ზუსტი სროლის შემდეგ თამაშმა აზრი დაკარგა. დაჩაგრული „იუტა" ამ დეფიციტის დამფარავი არ იყო, მაგრამ მელოუნმა და ჰორნაჩეკმა იმდენი მოახერხეს, „ჯაზს" მხოლოდ 11 ქულით წააგებინეს.

| | |
|---|---|
| **ლეიკერსი** | **2** |
| **საკრამენტო** | **1** |

30 აპრილი

**საკრამენტო 99:91 ლეიკერსი**

საკრამენტო: ვებერი (29 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), სტოიაკოვიჩი (19), დივაცი (15 ქულა, 12 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (35), ონილი (21 ქულა, 17 მოხსნა), რაისი (13)

„იუტა ჯაზისა" არ იყოს, მარცხს ვერც კიდევ ერთი დასავლელი ბობოლა, „ლეიკერსი" გადაურჩა. მისმა მეტოქე „საკრამენტომ" სიტყვა პირნათლად შეასრულა და უპირველესი ფავორიტი შინ დაამარცხა. მასპინძლებმა რაღაც სასწაულით მოახერხეს შაკილ ონილის გაჩერება, რაშიც ლომის წილი დაიდო ერთ დროს „ლეიკერსის" ცენტრმა ვლადე დივაცმა, რომლის გუნდიდან წასვლის შემდეგ მისი ადგილი სწორედ ონილმა დაიკავა. ცხადია, ონილი და დივაცი სხვადასხვა განზომილებებია, მაგრამ იმ დღეს იუგოსლაველმა სეზონის ყველაზე გამორჩეულ მოთამაშეს ტოლი არ დაუდო და გვარიანადაც გააწამა. ონილს უჭირდა არათუ ბურთის ჩაგდება, სროლაც კი, რადგან 32 წლის დივაცს საიმედოდ გადაეკეტა ფარის მისადგომები. სტუმართა ლიდერს, კობი ბრაიანტს ბლომად ჯარიმები მოეგროვებინა, კიდევ ერთი მოთამაშე, რომელსაც შეიძლება „ლეიკერსი" გაჭირვების დროს დაეყრდნოს, გლენ რაისი, თავგზააბნეული დადიოდა, მაშინ, როცა დივაცის თანამემამულე პრედრაგ სტოიაკოვიჩი და „საკრამენტოს" ლიდერი კრის ვებერი „ლეიკერსის" კალათს აოხრებდნენ. ეს ყველაფერი მატჩის ბოლო მეოთხედში ხდებოდა, მანამდე კი...

...მანამდე „ლეიკერსს" არაფერი უშავდა. რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდმა ისე დაიწყო, როგორც მას შეეფერებოდა და 11 ქულით წინაც გავიდა, რაც ბრაიანტის და, ნაწილობრივ, ონილის დამსახურება იყო. მაგრამ ბოლო თორმეტწუთეული სტუმრებმა 20:33 დათმეს. „ისინი ურჩხულები როდი არიან. პირველ ორ მატჩში იმის გამო დავმარცხდით, რომ ჩვენი თამაში არ ვითამაშეთ, თუ მათ თავს თავიანთი თამაში მოგახვიეს, წაგება განაღებულია. მაგრამ თუ შენ თამაშს ითამაშებ, გექნება შანსი, რომელიც ბოლომდე უნდა გამოიყენო. „ლეიკერსი" ლიგაში უძლიერესი გუნდია, მაგრამ უძლეველი რომ არაა, ეს დღესაც მშვენივრად გამოჩნდა" — ყოფილი გუნდის დამარცხებამ ვლადე დივაცს თანაგუნდელებისა და საკუთარი თავის რწმენა გაულვივა, მაგრამ საეჭვოა, „საკრამენტომ" ამ წარმატების გამეორება მოახერხოს, „ლეიკერსი" ორჯერ არ შეცდება.

| | |
|---|---|
| **პორტლენდი** | **2** |
| **მინესოტა** | **1** |

30 აპრილი

**მინესოტა 94:87 პორტლენდი**

მინესოტა: ბრენდონი (28 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), გარნეტი (23 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი)

პორტლენდი: სმიტი (22), საბონისი (17), პიპენი (16), ვოლესი (15)

მარცხი იწვნია კიდევ ერთმა დასავლელმა გრანდმა „პორტლენდმა" „იუტასა" და „ლეიკერსის" დარად, სტუმრად. „მინესოტას" ამ გამარჯვებით გული მიეცა. „მგლები" ამბობენ, ამაზე არ გავჩერდებითო. გუნდს ეს წარმატება ძირითადად ორმა კაცმა — კევინ გარნეტმა და ტერელ ბრენდონმა მოუტანა. განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელმა გამოიდო თავი. ბრენდონი წარმოშობით პორტლენდიდანაა და, როგორც ჩანს, თავისი მშობლიური ქალაქის გუნდის წინააღმდეგ თამაშმა მას დამატებითი სტიმული მისცა. იგი არც პირველ შეხვედრებში იყო ჯაბანი, მაგრამ მინეაპოლისში სულ გადაირია, დაიბრიყვა თავისი მეურვე, 178-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი დეიმონ სტუდემაიერი, რომელზეც თვითონ მხოლოდ ორი სანტიმეტრითაა მაღალი. საბოლოოდ ბრენდონმა თავის საპლეიოფო კარიერაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. არც კევინ გარნეტს შეურცხვენია თავი. მან „პორტლენდთან" სერიაში მეორედ შეასრულა სამმაგი დუბლი მაშინ, როცა მანამდე თავის ხუთწლიან კარიერაში ეს მხოლოდ ორჯერ მოეხერხებინა.

| | |
|---|---|
| **ფინიქსი** | **2** |
| **სან ანტონიო** | **1** |

29 აპრილი

**ფინიქსი 101:94 სან ანტონიო**

ფინიქსი: ჰარდვეი (17 ქულა, 13 პასი, 12 მოხსნა), მარიონი (16 ქულა, 14 მოხსნა), დეი (16), როჯერსი (15), კ. რობინსონი (14)

სან ანტონიო: დ. რობინსონი (37 ქულა, 13 მოხსნა)

წინა სეზონის ტრიუმფატორი „სან ანტონიო სფურზი" პირველივე წრიდან გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე დგას, ყველაფერში დამნაშავე კი ტიმ დანკანის ფეხია, რომელმაც მის პატრონს აგერ სერიის მესამე თამაშიც გამოატოვებინა. ლომივით იბრძოდა ეულად მყოფი ბებერი დევიდ რობინსონი, მაგრამ მას მატჩის ბოლომდე ჯანი არ მიჰყვა, მისმა გუნდმა კი ბოლო მეოთხედი 15:32 წააგო. მატჩის გმირად იქცა ვინმე ტოდ დეი, რომელმაც თავისი 16 ქულიდან უკლებლივ ყველა ბოლო მეოთხედში ჩაუგდო „სფურზს" და ჩემპიონი ბეჭებზე გააკრა. დეი იმითაა ცნობილი, რომ ამ არცთუ ასაკოვანმა კაცმა, მას შემდეგ, რაც ნბა-ში ფეხი ვერ მოიკიდა, ევროპის მიაშურა და შემდეგ თავისი ძალები კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაშიც სცადა. წლეულს იგი „ფინიქსის" მყარი სათადარიგო იყო, ამ თამაშში კი მოულოდნელად მშველელად მოევლინა თავისიანებს.

| | |
|---|---|
| **ინდიანა** | **2** |
| **მილუოკი** | **2** |

29 აპრილი

**მილუოკი 96:109 ინდიანა**

მილუოკი: რობინსონი (26), ალენი (26), კასელი (13 ქულა, 12 პასი)

ინდიანა: მილერი (34), როუზი (27), ბესტი (18)

1 მაისი

**მილუოკი 100:87 ინდიანა**

მილუოკი: ალენი (20), ვილიამსი (20), რობინსონი (18), ტომასი (17)

ინდიანა: როუზი (17), მილერი (15), დევისი (12 ქულა, 10 მოხსნა)

„მილუოკი ბაქსმა" ძლივძლივობით გააღწია პლეი ოფში, მაგრამ აქ აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს სულ თავბედი აწყევლინა. შინ მესამე თამაშის წაგების შემდეგ ჯორჯ კარლის შეგირდებმა მეოთხეში რევანში აიღეს და სერიის ანგარიში გაათანაბრეს. ჯერჯერობით ეს სერია ერთადერთია, სადაც შემდეგ წრეში გასულ გუნდს მეხუთე მატჩი გამოავლენს. ლელავს ლარი ბერდი — „ინდიანას" თავკაცი, ამდენს არ ველოდი მეტოქისგანო. მას სერიოზულად მოუწევს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ გააჩეროს მილუოკელთა მთავარი დამრტყმელი ძალა — უკანა ხაზი, რომელიც „ბაქსს" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ჰყავს. რეი ალენი და სემ კასელი თავიანთ საქმეს ყველა თამაშში კარგად აკეთებენ, რასაც ვერ ვიტყვით „ინდიანას" ლიდერ რეჯი მილერზე, რომელსაც თავისი სნაიპერული თვისებების წარმოჩენა სულ უფრო და უფრო უჭირს.

| | |
|---|---|
| **მაიამი** | **3** |
| **დეტროიტი** | **0** |

29 აპრილი

**დეტროიტი 72:91 მაიამი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (25), კარი (14)

მაიამი: ვეზერსპუნი (18 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (12)

მაშინ, როცა დასავლეთში საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, აღმოსავლეთში ერთბაშად სამ წყვილში გამოვლინდა გამარჯვებული. „მაიამიმ" იოლად, სულ სამ თამაშში მოუთავა საქმე უგრანტჰილო „დეტროიტს". ჰილიც რომ ჰყოლოდა, „დეტროიტი" ალბათ, მაშინაც ვერას გახდებოდა „მაიამისთან", რომელსაც აგრეთვე აკლდა ერთ-ერთი ლიდერი ტიმ ჰარდევეი. „მაიამის" რომ არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება, ეს ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ „ჰითის" ლიდერი ალონზო მურნინგი ლამის მთელი მატჩის განმავლობაში უქმად იყო და თავისი მძიმე არტილერია არ აუმუშავებია.

| | |
|---|---|
| **ნიუ იორკი** | **3** |
| **ტორონტო** | **0** |

30 აპრილი

**ტორონტო 80:87 ნიუ იორკი**

ტორონტო: დევისი (18 ქულა, 12 მოხსნა), კარტერი (15), ოკლი (10 ქულა, 14 მოხსნა)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23), ჯონსონი (14), იუინგი (12 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება)

მოსისხლე „მაიამის" არ ჩამორჩა „ნიუ იორკი" და მანაც მხოლოდ სამი თამაში მოანდომა მეტოქის ძლევას. ვიცე-ჩემპიონებმა კიდევ ერთხელ დაანახვეს ყველას, რომ სწორედ პლეი ოფში აღწევენ ფორმის პიკს და აქ ნებისმიერი მეტოქისთვის უძნელეს ამოცანას წარმოადგენს მათი ძლევა. პლეი ოფში პირველად მოხვედრილმა „ტორონტომ" თავი დადო ამ თამაშის მოსაგებად, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ლატრელ სპრიუელმა კიდევ ერთხელ ჩაუტარა გაკვეთილი „ტორონტოს" 23 წლის სუპერვარსკვლავ ვინს კარტერს და შეახსენა, რომ მან ჯერ ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

ქალაქმა ტორონტომ და საერთოდ კანადამ პირველად უმასპინძლა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფის თამაშს. მისდა სამწუხაროდ, დებიუტი უიღბლო აღმოჩნდა და კანადაშიც საპლეიოფო ციებ-ცხელება სულ მცირე, ერთი წლით გადაიდო. ამ ისტორიულ მატჩზე დასწრება თვით ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა ინება. აღსანიშნავია, რომ ასოციაციის პირველმა პირმა დაუფარავად უქომაგა „ტორონტოს", მაგრამ ვერაფერი უშველა. უბრალოდ, „ნიუ იორკი" მასზე ბევრად ძლიერი გუნდია.

გაირკვა მეორე წრის პირველი წყვილიც. აღმოსავლეთში მეორე ნომრად განთესილი „მაიამი" და მესამე ნომერი „ნიუ იორკი" პლეი ოფში ზედიზედ მეოთხედ შეხვდებიან ერთმანეთს.

| | |
|---|---|
| **ფილადელფია** | **3** |
| **შარლოტი** | **1** |

28 აპრილი

**ფილადელფია 81:76 შარლოტი**

ფილადელფია: აივერსონი (24), კუკოჩი (12), რეთლიფი (10 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება)

შარლოტი: ჯონსი (18), ვესლი (14), კოულმენი (11 ქულა, 17 მოხსნა)

1 მაისი

**ფილადელფია 105:99 შარლოტი**

ფილადელფია: აივერსონი (26), მაკკი (25 ქულა, 11 პასი), გეიგერი (17 ქულა, 10 მოხსნა)

შარლოტი: კემპბელი (21 ქულა, 11 მოხსნა), მეისონი (21 ქულა, 10 მოხსნა), კოულმენი (18 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსი (17)

ესენი დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან, მაგრამ ამ სერიაში ალენ აივერსონისა და სხვათა უპირატესობა აშკარა იყო. მათი „ფილადელფიაც" დამსახურებულად გავიდა მომდევნო წრეში უკვე ზედიზედ მეორედ და ახლა „ინდიანასა" და „მილუოკის" შორის გამარჯვებულს ელის.

**ირაკლი ფირაშვილი**

# პატარა ბელგია დიდია

**ფედერაციის თასი, მეოთხედფინალური ჯგუფური ტურნირები.**

I ჯგუფი
(მოსკოვი, რუსეთი)

ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის ნახევარფინალში გასასვლელი ერთადერთი საგზური მოსკოვში გამართულ ჯგუფურ ტურნირზე ყველაზე ნაკლებ სავარაუდო, უსუსტესად შერაცხულმა გუნდმა — ბელგიამ მოიპოვა.

ამ პატარა ქვეყანას კარგი დიაცი მოთამაშეები დიახაც მოეძენება, მაგრამ ჩრდილოურ დედაქალაქში მეტად შესუსტებული შემადგენლობის გამო ითვლებოდა აუტსაიდერად: დომინიკ ვან რუსტს აპრილში დედა გარდაეცვალა და სათამაშოდ არ სცხელოდა, საბინე აპელმანსმა თავაზიანი უარი შემოთვალა, 17 წლის ნიჭიერმა ჟუსტინ ენენმა კი ტრავმა მიიღო.

სახელოვანი კოლეგების არყოფნაში ლიდერის ტვირთი 16 წლის ამომავალმა ვარსკვლავმა, კიმ კლაისტერსმა იტვირთა, რომელსაც ნაკლებად ცნობილი თანამემამულეები — ელს კალენსი და ლორანს კურტუა ამოუდგნენ გვერდში.

პირველი სენსაცია ბელგიელებმა შაბათს მოახდინეს, როდესაც ჯგუფის აშკარა ფავორიტს, საფრანგეთს 2:1 მოუგეს. ერთეულებში კალენსმა და კლაისტერსმა გამოიჩინეს თავი, რომლებმაც შესაბამისად ჟული ალარსა და ნატალი ტოზიას აჯობეს.

ბოლო ტურის წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ბელგიას რუსებთანაც გამარჯვება სჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნახევარფინალში ფრანგები გადიოდნენ.

მასპინძლები ელენა ლიხოვცევამ დააწინაურა, რომელმაც კურტუას 6:4, 6:4 მოუგო. ანგარიშის გათანაბრება კლაისტერსმა მოახერხა. მან თანამემამულეთა თვალწინ მეტად უნიათოდ მოთამაშე ანა კურნიკოვა (3 მარცხი ერთეულებში და 2 წყვილებში) ერთხელაც დაჯაბნა 5:7, 6:2, 6:4.

ყველაფერს წყვილების შეხვედრა წყვეტდა.

„გასახდელში პირობა დავდე, რომ უმალ მოვკვდებოდი, ვიდრე ამ მატჩს წავაგებდი. მთელი კვირა ვიბრძოდით და აშკარად ვიმსახურებდით წარმატებას. სათვალავში არავინ გვაგდებდა, მაგრამ ჩვენ გვწამდა ჩვენი ძალების" — განაცხადა მოგვიანებით კალენსმა.

ბელგიელებმა მართლაც შესანიშნავად ითამაშეს და კალენს-კურტუას წყვილმა საკმაოდ იოლად დაჯაბნა კურნიკოვა-ლიხოვცევას დუეტი 6:4, 6:3 — ოცნება ასრულდა.

ჯგუფის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 3:0 | 6:3 | 14:10 |
| 2. საფრანგეთი | 2:1 | 6:3 | 14:9 |
| 3. რუსეთი | 1:2 | 3:6 | 9:13 |
| 4. ავსტრალია | 0:3 | 3:6 | 10:15 |

II ჯგუფი. III ტური

**იტალია — ხორვატია 3:0**

**ესპანეთი — გერმანია 2:1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3:0 | 7:2 | 14:5 |
| 2. გერმანია | 2:1 | 5:4 | 11:8 |
| 3. იტალია | 1:2 | 4:5 | 9:11 |
| 4. ხორვატია | 0:3 | 2:7 | 5:15 |

III ჯგუფი. III ტური

**ჩეხეთი — სლოვაკეთი 2:1**

**შვეიცარია — ავსტრია 2:1**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3:0 | 6:3 | 13:9 |
| 2. შვეიცარია | 2:1 | 5:4 | 12:10 |
| 3. ავსტრია | 1:2 | 4:5 | 11:9 |
| 4. სლოვაკეთი | 0:3 | 2:7 | 5:13 |

ნახევარფინალურ სტადიაზე, რომელიც აშშ-ში 22-26 ნოემბერს შედგება, მასპინძლებთან ერთად იასპარეზებენ ბელგია, ესპანეთი და ჩეხეთი. ხორვატია, სლოვაკეთი და ავსტრალია კი საგაისოდ ერთი ლიგით ქვევით ჩაინაცვლებენ.



კიმ კლაისტერსი



მარატ საფინმა გამარჯვება დაასველა

**ბარსელონა. ესპანეთი. OPEN SEAT GODO. თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **მაგნუს ნორმანი** (2, შვედეთი) — იუნეს ელ აინაუი (8, მაროკო) 6:2, 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) 7:6 (7:3), 7:5; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — მარსელო რიოსი (4, ჩილე) 6:3, 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ტომი ჰაასი (9, გერმანია) 6:4, 6:4.

ნახევარფინალი: **საფინი** — ნორმანი 2:6, 7:6 (7:4), 6:3; **ფერერო** — მოია 6:4, 6:7 (5:7), 6:2.

ფინალი: **საფინი** — ფერერო 6:3, 6:3, 6:4.

რამდენად მნიშვნელოვანია ჩოგბურთელისთვის მწვრთნელი? თუ მარატ საფინის მაგალითით ვიმსჯელებთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ტრენაჟორებზე დაბერილი კუნთები ან სიკვდილამდე ბრძოლის უნარი.

20 წლის რუსი სეზონის დასაწყისში მეტად წარუმატებლად ასპარეზობდა: 9 ტურნირიდან ექვსში პირველივე წრეში გავარდა და მხოლოდ კოპენჰაგენში გააღწია ნახევარფინალამდე. მოთმინება საფინს ორი კვირის წინ დაელია, როდესაც მონტე კარლოში რიგი ადრეული მარცხი იწვნია და ვის დიდი ხნის მწვრთნელს, ესპ... რაფაელ მენსუას დაშორდა.

ახალ მობლვრად მარატმა ახლ... გაპენსიონერებული თანამემამულე... დრეი ჩესნოკოვი აიყვანა. აბა, ორ... დღეში ბევრი რა უნდა შეცვლილ... მაგრამ ბარსელონაში შედეგმა ყვ... მოლოდინს გადააჭარბა — რუსმა... რიერის მეორე ტიტული მოიგო... საქმიანი თანამშრომლობის დაწყება... ათასი დოლარითაც დააგვირგვინა.

„წარმატების მისაღწევად მთავ... შრომა, შრომა და კიდევ შრომაა. ... რეიმ მითხრა, რომ უსიტყვოდ უ... შემესრულებინა ყველა მისი მოთ... ვნა, არ აიტანდა ჩემს სიზარმაცეს... მეც დავთანხმდი. როგორც ხედავთ, ... წავაგე" — განაცხადა საფინმა.

ზორბა რუსს ფინალამდე მიღწ... ძალიან გაუჭირდა და დიდი ბრძოლ... ბიც გადახდა, თუმცა გადამწყვეტ ... ტჩში არაჩვეულებრიად ითამაშა. ეს... ნეთში გაზრდილმა საფინმა თავის ... ნატოლსა და ძველ მეგობარს, ას... ამომავალ ვარსკვლავ ხუან კარლ... ფერეროს მძლავრი დარტყმებითა ... ტყვიასავით მოწოდებებით (16 ეისი) ... ვბრუ დაახვია და აშკარად დაჯაბნ...

ამასთან არაადამიანური ძალის პ... რონი რუსი უჩვეულოდ საზრიანად ... თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა: ... ჩემი საუკეთესო მატჩი იყო კარიე... ში. თითქოს ჭადრაკს ვთამაშობდი, ... ნასწარ ვიცოდი, მომდევნო დარტ... საით უნდა მიმემართა. თუ ასე გა... რძელებ, საუკეთესოთა ათეულში მ... ვედრასაც მოვახერხებ."

ბოლო ხანებში სხვა ახალბედ... ჩრდილში მოქცეულ საფინს პოტენ... ურად მსოფლიოს პირველი ჩოგნო... ძალუძს, საქმე ის არის, შეძლებს ... არა ჩესნოკოვი, თავისნათქვამა შეგირ... ლაგამი ამოსდოს და ნაცრისფერი უ... რედების უკეთ გამოყენება ასწავლო...

ერთადერთ უსიამოვნო მოგონებად ... ბარსელონიდან მარატს ალბათ დაჯ... ლდოების ცერემონიალი გაყვება. მ... ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსის გ... დაცემული მთავარი ჯილდო ხელ... ალებისას ნაწილებად დაეშალა.

**ავთანდილ სვანი...**



# ჭადრაკის მეფეც მეფე ლირია

**შორეულ** ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე მიმდინარე მე-16 კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის დასრულებას ერთი ტური აკლია და სატურნირო ცხრილის სათავე იმითაა საყურადღებო, რომ კოლხეთის დაბლობივით გახლავთ მოსწორებული. ანატოლი კარპოვს, ალექსანდრ ხალიფმანს, იუდით პოლგარსა და ბრაზილიელ დიდოსტატ ჟილბერტო მილოშს 8 შესაძლებლიდან 5,5-5,5 ქულა აქვთ, რაც ბოლო ტურში ფრიადი სიცხის მომასწავებელია. პირველი სამის ამბავს, ცხადია, ვერაფრით გავიკვირვებთ და, კაცმა რომ თქვას, არც მილოშის ლიდერებში ყოფნაა მთლად საოცარი. თუ გახსოვთ, თავიდანვე ჩვენ ბრაზილიელზე საკმაო დივიდენდები გავეცით, როცა იგი იან ტიმანისა და იასერ სეირავანის გვერდით ტურნირის საშუალო ფენაში ჩავრიცხეთ და მანაც გაამართლა, ცოტა მეტიც კი შეძლო. თქვენ ახლა ის თქვით, სულაც ტურნირი თუ მოიგო, როგორ შერცხვებათ ზოგიერთებს! მილოშმა ბოლო ტურებში მშვენიერი კლასი უჩვენა. მე-6 ტურში ინდონეზიელი გუნავანი რომ დაამარცხა, ეგ არაფერი, შემდეგ, მე-8-ში რეიტინგით მასზე ორი ქულით მაღლა მდგომ ესტონელს — იაან ელვესტსაც ერთობ ლაზათიანად მოუგო. ბრაზილიელი შავებით თამაშობდა, მაგრამ სიცილიურ დაცვაში იმდენი მოახერხა, რომ 25-ე სვლისათვის თეთრი მეფე უკვე ცენტრში წრიალებდა და გამალებული ეძებდა თავშესაფარს, რაც მოახერხა კიდეც, ცხადია, არა უმსხვერპლოდ: მილოშს სუფთა ხარისხი დარჩენოდა და როცა ლაზიერებიც გაიცვალა, ელვესტმა კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

ტურნირის წინა და ამჟამინდელ მიმოხილვებთან შედარებით ხალიფმანის გამოცოცხლებასაც შეამჩნევდით და აქ მთავარია არა ის, თუ რამდენი მოიგო ფიდეს ჩემპიონმა, არამედ როგორ მოიგო. ბოლო ტურებში ხალიფმანი რომანტიკულად თამაშობს, სწირავს პაიკებს, ხანდახან ფიგურებსაც და გარეგნულად იოლ გამარჯვებებს ითვლის, ანუ იქცევა ისე, როგორც სხვებზე ერთი თავით მაღლა მდგომი მოჭადრაკე, რომლისთვისაც ამ კომპანიაში თამაში გართობას უდრის. გავარჩიოთ თუნდაც მე-7 ტურში ხალიფმანსა და მასპინძელ ადიანტოს შორის შემდგარი ბრძოლა, რომელიც ერთი შეხედვით ოსტაპ ბენდერისგან ნათამაშევ უაზრო პარტიებს წააგავდა, რომ არა გაკეთებული სვლების შინაგანი ლოგიკა, რომელიც სერიოზული ჭადრაკის უცვლელი ატრიბუტია. კარო-კანის დაცვაში ხალიფმანმა თავიდანვე ისე აბურდა პოზიცია, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. პარტიაში ფიგურათა ალთა-ბალთაობის ამბავს თუნდაც აქვე დაბეჭდილი დიაგრამა გიჩვენებს, რომელზეც შავების მე-16 სვლის შემდეგ არსებული მდგომარეობაა დაფიქსირებული.



მთელი ამ ტაქტიკური დომხალიდან მხოლოდ ფიდეს ჩემპიონმა ისარგებლა, მან ჯერ პაიკში ფიგურა მოიგო, ლაზიერების გაცვლის შემდეგ მეორეც და ადიანტო უნამუსო ხომ არ იყო, ამის მერე კიდევ გამოედო თავი? მომდევნო ტურში ხალიფმანმა იან ტიმანი დაამარცხა შავებით და თანაც 26 სვლაში. აქაც პოზიცია თავიდანვე აიბურდა და ყველაფერი მაშინ გაირკვა, როცა ხალიფმანმა ეტლი შესწირა და საპასუხოდ ორი მსუბუქი ფიგურა წალიტა მეტოქეს. ჰოლანდიელის მეფეც ისე სახალხოდ იდგა, ტყვეობა ვერაფრით ასცდებოდა და ვეტერანმა მოჭადრაკემ კეთილგონივრულად დანებება ამჯობინა. ხალიფმანის ერთადერთი ხინჯი პრინციპულ მეტოქეებთან მშვიდობიანი განშორებანი გახლავთ და მათგან მე-6 ტურში იუდით პოლგართან ყაიმს გამოვარჩევთ. მათ პარტიაში ლაზიერები უცებ გაიცვალა და მხარეებმა დანარჩენი ფიგურები საიერიშოდ მოხერხებულად განალაგეს, შემდეგ კი 23-ე სვლაზე დაზავდნენ. ეტყობა, ორივეს იდეალური პოზიცია ჰქონდა და შემდგომი ჩხუბი უაზრობად მიიჩნიეს. მთავარ ამბები კი ბოლო ტურში! სხვა თუ არაფერი, კარპოვი ხვდება ხალიფმანს. გამარჯვებულიც დადგინდება.

**დავით გულუა**

**სატურნირო ვითარება 8 ტურის შემდეგ**

1-4. კარპოვი, ხალიფმანი, ი. პოლგარი, მილოში — 5,5; 5. სეირავანი — 4,5; 6. ადიანტო — 3,5; 7-8. ტიმანი, ელვესტი — 3,0; 9. გუნავანი — 2,5; 10. ვინლეი — 1,5.



# კარლსონს პინგ-პონგის სცოდნია

**ევროპის** გუნდური ჩემპიონატის დასრულებისთანავე კონტინენტის პირადი პირველობა დაიწყო და დამთავრდა კიდეც. გამოვლინდნენ უძლიერესები როგორც კაცებში, ასევე ქალებსა და შერეულ წყვილებში, თუმცა ყველაზე საინტერესო, ცხადია, პირველი იყო. მრავალი ქებული მაგიდის ჩოგბურთელიდან ნახევარფინალს ბევრმა ვერ უწია. მაგალითად, მეოთხედფინალიდან გავარდა შვედეთის მეორე მაგიდის ჩოგბურთელი იორგენ პერსონი, რომელმაც თავისი ადგილი ჩეხ პეტრ კორბელს დაუთმო, თანაც საკმაოდ იოლად — 1:3 (21-15, 18-21, 17-21, 16-21), არადა, პერსონი მსოფლიოს მეექვსე ჩოგანია, კორბელს კიდევ 4 წლის წინ ერთი მეოთხე ადგილი დაუკავებია ატლანტის ოლიმპიადაზე. ჩეხს არც ბრემენში შემატებია ბევრი. უკვე ნახევარფინალში იგი კვლავ შვედმა პეტერ კარლსონმა დაამარცხა. მისი უპირატესობა ჩეხ სეხნიაზე მთელი შეხვედრის მანძილზე აშკარა იყო და აი, შედეგიც: 3:0 (21-19, 21-16, 21-15). კარლსონს სულაც ჩვენი წერილის გმირად გახდომა უწერია, რადგან ფინალიც მოუგო ხორვატ მსოფლიოს მერვე ჩოგანს, ზორან პრიმორაცს, ასევე საკმაო ძალდატანების გარეშე — 3:0 (21-15, 21-18, 21-16). გასაკვირი ისაა, რომ ჯერჯერობით მესამე და ყველაზე სახელოვან შვედზე, იან ოვე ვალდნერზე არაფერი გვითქვამს. 34 წლის ვალდნერის მიერ მოხვეჭილი ტიტულების ჩამოთვლაც კი დაგვღლის — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობა, ბარსელონის ოლიმპიადის ოქრო, ახლა კი ვალდნერმა თავის უხვ მონაგარს ევროპული მხოლოდ ბრინჯაო შემა... რახან ნახევარფინალური მარცხი იწ... ნია ნახსენები პრიმორაცისგან, არა... ორჯერ წინ იყო, ბოლოს კი ორი პა... ტია წააგო. შვედი არც ისე აუღელ... ბია წარუმატებლობას. „ევროპის ჩ... პიონობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ოლ... მპიადისა — ბევრად უფრო — აღ... შნა მან — ჩემთვის ახლა მთავა... სიდნეიში გამარჯვებაა".

ქალთა ერთეულების ფინალი ვ... ჩინელმა და გერმანიის სახელით მ... თამაშე ჯი იან გოჩმა მოიგო, რომ... ლმაც ჯერ ფალარათი მოირჩინა, მე... წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი ... ფინალი მეტად დაძაბულ ბრძოლა... რუმინელ მიქაელა სტეფს მოუგო ... 3:2 (16-21, 22-20, 21-15, 13-21, 21-13).

**დავით გულ...**

**ევროპის ჩემპიონატის საბოლოო შედეგები**

გუნდური პირველობა. კაცები — 1. შვედეთი, 2. გერმანია, 3. პოლონეთი
ქალები — 1. უნგრეთი, 2. გერმანია, ... ხორვატია
პირადი პირველობა. კაცები — 1. პეტერ კარლსონი (შვედეთი), 2. ზორან პრიმორაცი (ხორვატია), 3-4. იან ოვე ვალდნერი (შვედეთი) და პეტრ კორბელი (ჩეხეთი).
ქალები — 1. ჯი იან გოჩი (გერმანია), 2. მიქაელა სტეფი (რუმინეთი), 3-4. ჯი შ... ეპი (გერმანია) და ტამარა ბოროში (ხორვატია)
კაცთა წყვილები — პატრიკ ჩილა და ჟან ფილიპ გატიენი (საფრანგეთი)
ქალთა წყვილები — ცილა ბატორფი და კრისტინა ტოტი (უნგრეთი)
შერეული წყვილები — ალექსანდრა კ... რაკასევიჩი (იუგოსლავია) და რუთა გ... რკაუსკაიტე-ბუდიენე (ლიტვა).

# ჩვენი და სხვისი რეკორდები

შაბათი დღე ქართული ძალოსნობისა იყო და ერთი იშვიათობად ქცეული სპორტული სიხარულიც მოგვიტანა — გიორგი ასანიძე ევროპის ჩემპიონი გახდა 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში და ატაცში მსოფლიოს რეკორდის ავტორიც! საჩემპიონო შედეგი აკვრისა და ატაცის ჯამში 390 კილოგრამი გახდა, ხოლო სარეკორდო — 181. ჩვენებურისთვის გულწრფელი მილოცვის შემდეგ ისიც უნდა ითქვას, რომ სოფიაში დასრულებულ ევროპირველობაზე საერთოდაც რეკორდების უხვი მოსავალი იყო. ერთი-ორზე ადრეც ვთქვით (მსუბუქ წონებში) და ტანმძიმეებმა ხომ ლამის კატეგორია არ დატოვეს, უმაღლესი ნიშნულები რომ არ დაემხოთ. ასანიძეზე ერთი საფეხურით მაღლა, 94 კილოში, 19 წლის პოლონელმა შიმონ კოლეცკიმ აიწყვიტა, რომელმაც 412,5-კილოგრამიანი შედეგით ჯამში, ჭაბუკთა მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა. ამ რეკორდიდან აკვრის სიდიდეს (232,5 კგ) თუ გამოვყოფთ, ეს უკვე მოზრდილ ამკვრელთა მსოფლიოს მიღწევა იქნება, ოღონდ დავძენთ, რომ პოლონელმა ვინმეს რეკორდი კი არ დაამხო, არამედ საძალოსნო შეჯიბრებათა ფორმატის შეცვლის გამო საერთაშორისო ფედერაციის მიერ სარეკორდო ზღვრად დადგენილ 230 კილოგრამს პირველმა გადააბიჯა. უფრო ზევით, ზემძიმე წონაში სომეხმა აშოტ დანელიანმა გამოიჩინა თავი. მისგან აკრული და ატაცებული შტანგის სიმძიმე, შესაბამისად, 252,5 და 205 კილოგრამია. ერთი რეკორდსმენიც 77 კილოგრამიანებში აღმოჩნდა, სადაც ბულგარელმა ზლატან ვანევმა 207,5 კილო აკრა.

ქალებმა შეჯიბრი კაცებზე ადრე დაამთავრეს და ახლა შევაჯამოთ. გუნდური ჩათვლები ერთგანაც ბულგარელებმა მოიგეს და მეორეგანაც, ოღონდ თუ მათმა მანდილოსნებმა შვიდიდან ოთხი პირველი ადგილი ირგუნეს, კაცებს მხოლოდ ორი ერგოთ. მოწინავე გუნდური სამეულები ასე გამოიყურება — ქალები: 1. ბულგარეთი — 522 ქულა, 2. რუსეთი — 438, 3. უკრაინა — 333; კაცები: 1. ბულგარეთი — 610, 2. თურქეთი — 525, 3. რუსეთი — 464.

**დავით გულუა**




გიორგი ასანიძეს სპორტის დეპარტამენტში ხელშეწყობას დაპირდნენ

*ქუდბედიანი კაცი ყოფილა საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი რამაზ გურგენიძე. ევროპის ჩემპიონატზე, სოფიის ერთი კაცი წაიყვანა — გიორგი ასანიძე (85), უკან კი მსოფლიოს რეკორდით, კონტინენტის ჩემპიონის ტიტულითა და ორი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლით ხელდამშვენებული დაბრუნდა — ასანიძემ ატაცში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ცხადია, ოქროც დაისაკუთრა, აკვრაში მეორე იყო, ხოლო ორჭიდში ყველას აჯობა და ჩემპიონიც გახდა. გიორგი გუშინწინ დაბრუნდა თბილისში. მილოცვები, შეხვედრები ნაცნობმეგობრებთან, ახლობლებთან, სპორტის დეპარტამენტში, ის ყველასთვის იცლის. გული არც ჩვენ დაგვწყვიტა, სიამოვნებით მოგვითხრო სოფიის ამბები.*

# დიმასი ასანიძეს სიდნეით დაემუქრა

— ამ ჩემპიონატამდე სამთვიანი შეკრება გავიარე პოლონეთში ჩემს მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან. იქ საუკეთესო პირობებში ვემზადებოდი. ტრავმებსაც გადავურჩი. ცოტა მაჯა კი მაწუხებდა, მაგრამ იქვე ვიმკურნალე და საბოლოოდ მოვირჩინე. ვარჯიშებზეც მაღალ შედეგებს ვაჩვენებდი, ამიტომ სოფიაში გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა.

**— სოფიის ჩემპიონატი რამდენად წარმომადგენლობითი იყო?**

— ბულგარეთში, ცხადია, არ ყოფილა ირანელი მსოფლიოს ჩემპიონი ნასირინია და გერმანელი მარკ ჰუსტერი. დანარჩენი ყველა იყო, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ბერძენი პიროს დიმასის ჩათვლით. ჩემი ინფორმაციით, ის სერიოზულად ემზადებოდა ამ ტურნირისთვის, მაგრამ საკმაოდ სუსტად გამოვიდა და მხოლოდ მეხუთე იყო. რატომ მოხდა ასე, ვერ გეტყვით. მე კი ისეთი შედეგი ვაჩვენე, ოლიმპიადაზეც შეიძლება ოქროსთვის ბრძოლა.

**— სოფიაში სწორედ დიმასის რეკორდი დაამხეთ. მისი რეაქცია როგორი იყო?**

— ფიცარნაგზე გასვლამდე რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. მეკითხებოდა, როგორ ფორმაში ხარო. სოფიაში წასვლამდე პოლონეთის ჩემპიონატში გამოვედი, ოღონდ 94-ში და იქ კარგი შედეგები მქონდა — 180 ავიტაცე და 217 ავკარი. მეც არ დამიმალავს, კარგ ფორმაში რომ ვიყავი და მოსაგებად ჩავედი. როცა რეკორდი დავამყარე, მომილოცა, მაგრამ შეჯიბრი რომ დამთავრდა, არ მოსულა. თუმცა მერე სასტუმროში მნახა, მომილოცა და მითხრა, ოლიმპიადაზე შეგხვდებიო. კი, ბატონო-მეთქი, ვუთხარი.

**— სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეხვდით, თუ საიდუმლო არ არის, რაზე ისაუბრეთ?**

— კახი ასათიანმა ძალიან გულთბილად მიმიღო და იმედია, მეც და ჩემს მწვრთნელსაც დანაპირებს აგვისრულებს. ახლანდელი საუბარი ადრინდელისგან განსხვავდებოდა. მან მშვენივრად იცის, რომ საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში ვცხოვრობ ოთხსულიანი ოჯახით. მგონია, რომ მაისშივე სპორტის დეპარტამენტისა და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ძალისხმევით ჩემი საბინაო პრობლემაც გადაწყდება და ხელფას-პრემიებისაც.

**— სოფიაში წარმატებამ სიდნეისკენ იმედიანად გაგახედათ...**

— სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადება ჯერ კიდევ რვა წლის წინ დავიწყე. მჯერა, ისეთ ფორმაში ვიქნები, ავსტრალიაში არ შევრცხვები. 15 მაისიდან ერთთვიან შეკრებას გავივლით თბილისში, 15 ივნისიდან აგვისტოს ბოლომდე კი ისევ პოლონეთში ვივარჯიშებთ. ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე დავბრუნდებით და სიდნეიში აქედან წავალთ.

**ირაკლი თავაძე**






შაბათს „მედისო[...]ერ გარდენში“ ამერიკელი მაიკლ გრანტი ინგლისელი ლენოქს ლუისის აპერკოტებმა შეიწირა

# ნუ გააღვიძებ მთვლემარე ჩემპიონს

შაბათს „მედისონ სკვერ გარდენში“, ბრიტმა ლენოქს ლუისმა რამდენიმე ყუმბარა გაისროლა და სულ იოლად დაამარცხა ნაქები ამერიკელი პრეტენდენტი, 27 წლის მაიკლ გრანტი.

ლუისის დიდოსტატობის კიდევ ერთხელ ოფიციალურად გაფორმებას ორი რაუნდიც არ დასჭირდა — მეორე რაუნდის დასრულებამდე შვიდი წამი რჩებოდა, როცა ლუისის მარჯვენა აპერკოტმა გრანტი წააქცია. აქ სამართლიანად უნდა ითქვას, რომ მატჩის რეფერის არტურ მერკანტ-უმცროსს ეს ნოკაუტი არ უნდა ჩაეთვალა, რახან ლუისმა თავისი მარჯვენა მკლავით გრანტს თავი დაუჭირა და სანოკაუტო ასე ამოსცხო ნიკაპში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მერკანტ-უმცროსი მშვენივრად გრძნობდა ბრძოლის მაჯისცემას და ხედავდა — რინგზე იყო ერთი დიდი მოკრივე და ერთიც დაუცველი, მოყვარულივით მობღლარძუნე აზმაზი, რომელიც პირველ რაუნდში ნოკაუტს გონგმა თუ გადაარჩინა.

ამიტომ, ნოკაუტი დროის აბავი იყო.

ბრძოლის წინ გრანტი ავარდნილი ჩანდა — მისთვის პატრიოტული ლოზუნგებით გამოეჭედათ ყურები და ოთხი მილიონი დოლარის ჩეკიც (უდიდესი ჰონორარი მის კარიერაში) გვარიანად უთბობდა უბეს, ამიტომ გონგსა ჰკრეს თუ არა, გრანტი გაქანდა და ლუისს თამამად სთხლიშა. ეს შეცდომა იყო — ფრთხილი და არათუ დიდ ტემპერამენტიანი ლუისი გამოხტომებს და სითამამეს ვერ ეგუება. უახლოეს სამ წუთში ამერიკელი ორჯერ განერთხო ფიცარნაგს — რაუნდის ბოლო წუთში მან ჯერ ზედიზედ ორი (მარჯვენა-მარცხნა) აპერკოტი იგემა და მერე მარჯვენათი წამხდარი მიენარცხა თოკებს. გრანტი წაქცევას გადარჩა, მაგრამ ლუისმა აღარ ამოასუნთქა. ჯერ ცაციათი მოუსინჯა ცხვირპირი, მერე კი არაადამიანური ძალით სთხლიშა მარჯვენა. გრანტი წაიქცა, ცხრამდე დაათვლევინა, წამოიზლაზნა და გონგმაც მოუსწრო.

ბრძოლამ დაადასტურა, რომ ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ვერსიების №2 პრეტენდენტი მაიკლ გრანტი მეტად დაბალი დონის მოკრივე ყოფილა ამ ვერსიათა ჩემპიონთა შედარებით. ამერიკული მოწოდება — მძიმე წონას კვლავ ამერიკელი ჩემპიონიო, სასაცილო გამოდგა.

ამერიკულმა სასამართლომ, დონ კინგის სიმანდრობით კი ჩამოართვა ლუისს უდავო ჩემპიონობის დამადასტურებელი მესამე, ასოციაციის ქამარი და ახლა მისთვის ვინმე ჯონი რუისს აბრძოლებს, ვინმე ჯერჯერობით უცნობთან, მაგრამ ლუისის თქმისა არ იყოს: „ვინც არ უნდა იყოს ასოციაციის ჩემპიონი, ის მხოლოდ ქაღალდზე არსებული ჩემპიონი იქნება და სხვა არაფერი. მოვიდეს რუისი და ერთ რაუნდს გაძლოს. თუ გაძლებს, ჩემპიონი იქნება“.

ბრძოლის შემდეგ გრანტი და ლუისი ერთმანეთს გადაეხვივნენ, შავი სათვალეები მოირგეს და პრესკონფერენციაზე გაეშურენ.

საკრივო მედიასთან შეხვედრა უზრდელური არ ყოფილა. ორივემ მშვიდად და თავაზიანად ისაუბრა.

ლუისი: „მისმა თამამმა შემოტევამ გამაკვირვა“.

გრანტი: „ეს სისულელე იყო ჩემი მხრიდან. მაგრამ ხალხი ელოდა, რომ ქამრებს ამერიკაში დავტოვებდი. გონება დამებინდა, ჩემი მწვრთნელების ნათქვამი აღარაფერი მახსოვდა“.

ლუისი: „ჩემთან ბრძოლა კლასის ასამაღლებლად გამოადგება“.

ემანუელ სტიუარდი, ლუისის მწვრთნელი: „ძალიან კმაყოფილი ვარ. ამჯერად ლენოქსმა ის გააკეთა, რაც იცის და რაც ეზარება ხოლმე“.

ბრძოლის დასრულებიდან ერთ საათში ლუისის ბანაკმა გამოაცხადა, რომ ჩემპიონის მომავალი მეტოქე, მრავალნაცადი სამხრეთაფრიკელი მებრძოლი ფრანსუა ბოტა იქნება. ბრძოლა ივლისის დასაწყისში გაიმართება ლონდონში.

ლუისს გულში ამოუჭრია ტაისონთან შეხვედრაც, მაგრამ ამ საქმისა ჯერ არაფერი ისმის.

და კიდევ, ჩვეულებრივ თავმდაბალმა ლუისმა ამჯერად თქვა: „მე საუკეთესო ვარ დედამიწაზე, ყველას ვაფრთხილებ, სანამ გამომიწვევენ, ჯერ დაფიქრდნენ“.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# კანდელაკმა სიცხეს და მაქსველს აჯობა

ვარიანელმა გიორგი კანდელაკმა აღდგომის წინა დღეს, ლონდონში პროფესიულ რინგზე მე-15 შეხვედრა გამართა ამერიკელ როდნი მაქსველთან და კვლავ გაიმარჯვა. შეგახსენებთ, რომ გიორგიმ აქამდეც ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის 11 ნოკაუტით.

როგორც კანდელაკის სიმამრმა და საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ყანჩაველმა გვითხრა, გიორგიზე ოდნავ დაბალი ამერიკელი მხოლოდ პირველი რაუნდის წუთნახევარში გაძალიანებია ჩვენებურს, თუმცა ტუჩწარბ და ცხვირგახეთქილს ექვსი რაუნდი მაინც უჩხუბია. თვითონ გიორგიმ თქვა, ნოკაუტით ვერ მოვიგე, მაგრამ მაინც არ გამჭირვებიაო. თურმე მას ჩხუბამდე ოთხი დღე სიცხიანს უვარჯიშია და რინგზეც ასე გასულა, მაგრამ ეს არავისთვის გაუმხელია, არ მინდოდა, შეხვედრა გადადებულიყოო.

...მომდევნო ჩხუბი ინგლისელ ჰარი სინიორთან მაინც გადაუვადა ავადმყოფობამ. ისინი 11 მაისს უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა კანდელაკი რამდენიმე დღეს დაისვენებს, მერე კი ბულგარეთის ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში უნდა წავიდეს გამოსაკვლევად. არ იფიქროთ, რაიმე აწუხებდეს. უბრალოდ, პროფილაქტიკისთვის. მისი ბანაკი სინიორთან შეხვედრას სავარაუდოდ 12 ივნისისთვის გეგმავს, თუმცა ჯერ მისი მენეჯერი ფრენკ მელოუნი აშშ-დან არ დაბრუნებულა, სადაც ლენოქს ლუისს მორიგ საჩემპიონო ჩხუბში ქომაგობდა. ისე, კანდელაკის მომავალი მეტოქე ძლიერი ვინმე ყოფილა, მხოლოდ მათთან წაუგია, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარან. ერთხელ ინგლისში ახალჩასული კანდელაკიც შეხვედრია სპარინგ-მატჩში. გიორგიმ მაშინდელი შედეგი ზუსტად ვერ გაიხსენა და მგონი, წავაგეო, თქვა.



გიორგი კანდელაკი

# PLAY OFF

## მეოთხედფინალი

# ფილადელფიაც გადაიჩეხება?

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 2:1**

29 აპრილი

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 0:1**

0:1 0:0 0:0

0:1 კ. უაიტი 6'41 (1)

1 მაისი

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 5:1**

0:0 3:0 2:1

1:0 არნოტი 29'42 (1); 2:0 გომესი 35'03 (2); 3:0 ელიაში 37'33 (2); 4:0 სიკორა 44'27 (3); 5:0 მოგილნი 46'01 (2); 5:1 ადამსი 55'43 (1)

პირველივე თამაშმა ცხადყო, რომ ტორონტოს ნიუჯერსელთა დაცვის წინააღმდეგობის დაძლევა გაუჭირდებოდა. მომდევნო ორმა მატჩმა ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გააძლიერა. უფრო მეტიც, „ეშმაკთა" მცველები არამარტო თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ჩინებულად, იერიშებში ხშირი ჩართვითაც უბნევდნენ მეტოქეს თავგზას. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ ტორონტოში გამართული შეხვედრა უკვე ზედიზედ მეოთხე გახლდათ, რომელშიც გადამწყვეტი გოლი სწორედ მცველებმა გაიტანეს— ამჯერად ეს ახალბედა კოლინ უაიტმა მოახერხა — მისმა შორეულმა დარტყმამ გააოგნა კერტის ჯოზეფი.

მესამე თამაშში გადამწყვეტი პირველი პერიოდი გამოდგა.

მართალია, ის უგოლოდ დასრულდა, ტორონტომ რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა და ეს ძვირად დაუჯდა. მეორეში კი ნიუ ჯერსმა მთლიანად იგდო ხელთ უპირატესობა და რვა წუთში მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ჯერ რიცხვმრავლობა გამოიყენეს მასპინძლებმა, მესამე შაიბა კი პატრიკ ელიაშმა (1+2) გაიტანა ულამაზესი გარღვევის შემდეგ. როცა პეტრ სიკორამ მეოთხედ აილო ტორონტოს კარი (მისმა სამეულმა ამჯერად სამი შაიბა მიითვალა), მათს სუნდინმა და მისმა პარტნიორებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი.

**ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 0:2**

29 აპრილი

**ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ — ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 1:4**

0:1 0:2 1:1

0:1 ლანგი 16'57 (2); 0:2 იაგრი 34'45 (5); 0:3 ლანგი 36'30 (3); 1:3 განი 44'34 (3); 1:4 იაგრი 50'96 (6)

ლიგის ყველაზე ჩეხური გუნდი კვლავ სასწაულებს ახდენს. აგერ უკვე მერამდენედ „პინგვინები" მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქის მუდმივი ზეწოლის პირობებში თამაშობენ, შაიბა თითქმის სულ მათ ზონაში ტრიალებს, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე რონ ტაგნატი და მისი პარტნიორები კარს მედგრად იცავენ. მათი კონტრშეტევები კი მწვავე და გააზრებულია. პიტსბურგელი ჩეხები დიდებულად იყენებენ მათი ქვეყნის წარმომადგენელთათვის ჩვეულ იარაღს. თანაც ამჯერად, წინა მატჩებისგან განსხვავებით, რიცხვმრავლობაშიც იმარჯვეს. თუმც ფილადელფიამ თავად გაუიოლა მეტოქეს საქმე, აშკარად ნერვიულობდნენ, ხშირად არღვევდნენ წესებს (მხოლოდ პირველ პერიოდში 4-ჯერ დარჩნენ უმცირესობაში) და დაისაჯნენ კიდეც.

პირველი ორი გოლი პიტსბურგმა რიცხვმრავლობაში გაიტანა. თანაც მეორე შემთხვევაში იარომირ იაგრის პერსონალური მეურვე კრის ტერიენი იყო გაძევებული და სუპერჩეხმა ამით უმალ ისარგებლა. ამის შემდეგ „მფრინავებმა" მთელი ძალით შეუტიეს, მაგრამ უკანა ხაზში სიცარიელე გაუჩნდათ და მეტოქეებმა კიდევ ორი კონტრშეტევა დაასრულეს ზუსტი დარტყმით. „მომდევნო თამაშში ჩვენ პირველებმა უნდა გავიტანოთ, შეხვედრას სხვაგვარად ვერ მოვიგებთ" — თქვა მატჩის შემდეგ ფილადელფიელმა სიმონ განმა.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 1:2**

29 აპრილი

**ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ — ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 3:1**

2:0 0:0 1:1

1:0 ჰეიდუკი 8'12 (2); 2:0 ფორსბერგი 15'49 (3); 2:1 ჰოლმსტრიომი 48'12 (2); 3:1 დრური 59'01 (2)

1 მაისი

**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ლარიონოვი 9'38 (1); 1:1 ფორსბერგი 29'39 (4); 2:1 ფიოდოროვი 31'57 (4); 3:1 შენაჰანი 59'19 (2)

როგორც ჩანს, გიგანტთა ჭიდილში გადამწყვეტ როლს რიცხვმრავლობის გამოყენება ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სამივე თამაშში გამარჯვება წილად ხვდა იმ გუნდს, რომელმაც ეს ფაქტორი უკეთ გამოიყენა. მეორე მატჩის ნერვიულმა დასაწყისმა კოლორადოს მოუტანა წარმატება. მრავალ შეჯახება-შელაპარაკებაში აგრესიულები უფრო დეტროიტელები იყვნენ. სამაგიეროდ მეტოქეებმა მათ რიცხვმრავლობაში გატანილი ორი გოლით უპასუხეს. აქედან მეორე ნამდვილი შედევრი გახლდათ. პეტერ ფორსბერგმა თავისი ზონიდან წამოიღო შაიბა, ოთხივე მეტოქე მოატყუა და კრის ოსგუდსაც შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ ინიციატივა დეტროიტმა იგდო ხელთ, მაგრამ მხოლოდ მესამე პერიოდში შეძლო ჩინებულად მოთამაშე პატრიკ რუას კარის აღება. ტომას ჰოლმსტრიომმა ისარგებლა იმით, რომ ბორტმა შაიბა როგორღაც უცნაურად აისხლიტა და ნავსი გატეხა.

მართალია, კოლორადომ მინიმალური უპირატესობით ისარგებლა და ზედიზედ მეექვსედ მოუგო დეტროიტს პლეი ოფში, მაგრამ მესამე თამაშში ეს უკანასკნელი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. „წითელფრთიანებმა" რომელთაც უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, შეხვედრა ერთობ ძლიერად ჩაატარეს, რიცხვმრავლობაც ორჯერ გამოიყენეს და კვლავ დაუბრუნეს ინტრიგა სერიას. შეგახსენებთ, რომ შარშან კოლორადომ პირველი ორი მატჩი წააგო, შემდეგ კი სრულიად გარდაიქმნა და ოთხი მოიგო. ვინ იცის, იქნებ ახლა მოვლენები სრულიად საპირისპიროდ განვითარდეს.

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 2:0**

28 აპრილი

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ — ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 4:0**

2:0 0:0 2:0

1:0 გეივი 5'45 (1); 2:0 მოდანო 14'01 (3); 3:0 ნუინდაიკი 22'48 (1); 4:0 მორროუ 44'23 (2)

30 აპრილი

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 მოდანო 7'26 (4)

როგორც ჩანს, სან ხოსე მეორე სასწაულს ველარ მოახდენს — სენტ ლუისი კი დაამარცხა სენსაციურად, მაგრამ გაცილებით გამოცდილ დალასს, ალბათ, ვერაფერს დააკლებს. დალასს ტრავმირებული სერგეი ზუბოვი დაუბრუნდა. ეს რიცხვმრავლობის ბრიგადებსაც დაეტყო, სადაც რუსი მთავარი ფიგურა გახლავთ. პირველ მატჩში „ვარსკვლავებმა" რიცხობრივი უპირატესობა ორჯერ გამოიყენეს. კომბინაციები ორჯერვე ზუბოვმა წამოიწყო. გარდა ამისა, მათ კიდევ უამრავი მომენტი შექმნეს. მას შემდეგ, რაც ზუბოვის პასით მაიკ მოდანომ ანგარიში გააორმაგა, ნათელი გახდა, რომ სან ხოსე ველარ გადარჩებოდა. მართლაც, მეორე პერიოდის პირველი წუთების შემდეგ სტუმრებს გატანის შესაძლებლობა არც ჰქონიათ. მეორე მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა, მაგრამ დალასი ისევ მაიკ მოდანოს გოლის წყალობით დაწინაურდა და ეს მინიმალური ანგარიში ბოლომდეც შეინარჩუნა. ამრიგად, ორივე მატჩში მშრალად შეინახა კარი ედ ბელფორმა (სულ 10 მშრალი პლეი ოფში) და თუ სან ხოსეს კვლავ ასე გაუჭირდა, მისი ბედი სულ მალე გადაწყდება, მით უმეტეს, რომ გუნდის მთავარი სნაიპერი ოუენ ნოლანი გამოეთიშა ტრავმის გამო.

## ᲖᲔ 12. ᲛᲔᲐᲗᲔ ᲢᲣᲠᲘ

28 აპრილი

ᲙᲠᲐᲘᲡᲢᲩᲔᲠᲩᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 75
ᲞᲠᲔᲢᲝᲠᲘᲐ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 27

29 აპრილი

ᲡᲘᲓᲜᲔᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 20
ᲕᲔᲚᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 27

ᲘᲝᲰᲐᲜᲔᲡᲑᲣᲠᲒᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 36
ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 32

ᲰᲐᲛᲘᲚᲢᲝᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 17
ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲐ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ) 45

ᲙᲔᲘᲞᲢᲐᲣᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 27
ᲓᲐᲜᲘᲓᲘᲜᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 17

30 აპრილი

ᲓᲣᲠᲑᲐᲜᲘ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ) 19
ᲝᲙᲚᲔᲜᲓᲘ (ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ) 30

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ
ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ 2:1 ᲕᲔᲡᲢ ᲰᲔᲛᲘ
ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝ 2:2 ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲯᲘᲚᲘᲜᲒᲔᲛᲘ 4:1 ᲙᲐᲠᲓᲘᲤᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
ᲡᲐᲣᲗᲔᲜᲓᲘ 0:2 ᲢᲝᲠᲙᲘ

## ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

IV ᲢᲣᲠᲘ
ᲜᲝᲠᲩᲘᲝᲞᲘᲜᲒᲘ 0:1 ᲰᲐᲛᲐᲠᲑᲘ

## ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ

*თასის პირველი ფინალური შეხვედრა სპლიტის „ჰაიდუკსა" და ზაგრების „დინამოს" შორის 86-ე წუთზე შეწყდა: მოედანზე გაზის ბალონები ჩაყარეს ამ დროისთვის „ჰაიდუკი" 2:0 იგებდა*

## ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ
ᲖᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ 3:2 ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ
ᲞᲐᲨᲘᲜᲒᲘ 0:1 ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ

## ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ
ᲠᲐᲢᲘᲡᲙᲝᲕᲘᲪᲔ 3:0 ᲕᲘᲢᲙᲝᲕᲘᲪᲔ

## ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ
ᲓᲐᲜᲓᲘ ᲘᲣᲜ. 0:1 ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ
ᲡᲢ. ᲯᲝᲜᲡᲢᲝᲜᲘ 2:1 ᲐᲑᲔᲠᲓᲘᲜᲘ

## ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

XXX ᲢᲣᲠᲘ
ᲙᲐᲕᲐᲚᲐ 0:1 ᲙᲐᲚᲐᲛᲐᲢᲐ

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲡᲐᲜᲙᲢ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

A ჯგუფი

30 აპრილი

**ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ 7:3**

3:1 3:1 1:1

1:0 ხმილი 3'50 (1); 2:0 ხმილი 11'13 (2); 2:1 პროცენკო 11'43 (1); 3:1 სტაროსტენკო 12'19 (1); 4:1 კოვალიოვი 20'49 (1); 4:2 კალმიკოვი 22'48 (1); 5:2 ანდრიევსკი 25'47 (1); 6:2 ციპლაკოვი 28'43 (1); 6:3 იაკუშინი 41'34 (1); 7:3 ციპლაკოვი 53'30 (2)

**ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ — ᲚᲐᲢᲕᲘᲐ 3:1**

2:0 1:1 0:0

1:0 განი 7'50 (1); 2:0 ჰუსელიუსი 9'40 (1); 3:0 დ. სედინი 31'00 (1); 3:1 ბელიავსკი 39'39(1)

B ჯგუფი

**ᲤᲘᲜᲔᲗᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 6:0**

2:0 4:0 0:0

1:0 ნ. კაპანენი 4'10 (1); 2:0 კარალაჰტი 10'36 (1); 3:0 ტუომაინენი 21'53 (1); 4:0 ტიკანენი 30'06 (1); 5:0 ლინდი 30'45 (1); 6:0 ბერგი 39'06 (1)

**ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ — ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ 2:0**

0:0 0:0 2:0

1:0 პუხერი 46'31 (1); 2:0 შატანი 58'28 (1)

C ჯგუფი

24 აპრილი

**ᲙᲐᲜᲐᲓᲐ — ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 6:0**

1:0 2:0 3:0

1:0 ბერტუცი 15'31 (1); 2:0 ჟოვანოვსკი 23'35 (1); 3:0 ისბისტერი 33'20 (1); 4:0 ბერტუცი 44'08 (2); 5:0 ბერტუცი 51'10 (3); 6:0 ტრამბლე 53'36 (1)

**ᲩᲔᲮᲔᲗᲘ — ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ 4:0**

1:0 0:0 3:0

1:0 ვლასაკი 7'58 (1); 2:0 მ. სიკორა 42'56 (1); 3:0 ვიბორნი 44'33 (1); 4:0 პროსპალი 54'27 (1)

1 მაისი

**ᲩᲔᲮᲔᲗᲘ — ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 6:3**

2:1 2:1 2:1

1:0 ვარადა 6'46 (1); 2:0 დოპიტა 7'43 (1); 2:1 კუვაბარა 17'13 (1); 3:1 ვიბორნი 20'33 (2); 3:2 ფუჯიტა 28'02 (1); 4:2 შავლ[...] 39'59 (1); 5:2 ფ. კაბერლე 47'41 (1); [...] ივატა 55'04 (1); 6:3 შტეპანეკი 57'32 [...]

**ᲙᲐᲜᲐᲓᲐ — ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ 3:4**

0:0 3:3 0:1

0:1 ნილსენი 22'06 (1); 1:1 ტრავერსი 26[...] (1); 1:2 მაგნუსენი 26'27 (1); 2:2 ბერტუ[...] 37'12 (4); 3:2 სალივანი 37'44 (1); [...] კნოლდი 39'57 (1); 3:4 ვიკინგსტა[...] 48'49 (1)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 10:3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 4:7 |
| კანადა | 1 | 0 | 1 | 9:4 |
| იაპონია | 0 | 0 | 2 | 3:12 |

D ჯგუფი

29 აპრილი

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 8:1**

3:1 4:0 1:0

1:0 სუშინსკი 1'14 (1); 2:0 სუშინსკი 6'21 [...] 3:0 აფინოგენოვი 9'31 (1); 3:1 ბაშლე 10[...] (1); 4:1 გონჩარი 22'54 (1); 5:1 პ. ბუ[...] 24'15 (1); 6:1 სუშინსკი 28'52 (3); 7:[...] ბურე 30'41 (2); 8:1 პროკოპიევი 57'57 [...]

**ᲐᲨᲨ — ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ 3:3**

1:1 1:1 1:1

1:0 ჰაუსლი 00'28 (1); 1:1 კრამერი 12'46 [...] 2:1 პლანტი 33'24 (1); 2:2 ფონარკსი 35[...] (1); 2:3 დემუტი 41'52 (1); 3:3 კონოვა[...] ჩუკი 50'28 (1)

1 მაისი

**ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 2:4**

0:0 2:2 0:2

0:1 მ. როზენტალი 24'26 (1); 0:2 ბრია[...] 30'15 (1); 1:2 სალისი 33'03 (1); 2:2 [...] 37'52 (1); 2:3 ბრიანი 51'12 (2); 2:4 [...] შლე 54'12 (2)

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘ — ᲐᲨᲨ 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 ჯ. ბლეიკი 29'17 (1); 0:2 ჰაუსლი 31'[...] (2); 0:3 ლეგვანდი 46'06 (1)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 1 | 1 | 0 | 6:3 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | 8:4 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 5:10 |
| შვეიცარია | 0 | 1 | 1 | 5:7 |

2 მაისი

A ჯგუფი

**ᲚᲐᲢᲕᲘᲐ — ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ 6:3**

2:0 3:3 1:0

1:0 ბელიავსკი 5'13; 2:0 სკარსტინსი 17'16; 3:0 ოპულსკისი 27'44; 3:1 კოვალიოვი 28'51; 4:1 ოპულსკისი 33'40; 4:2 ვალუი 34'09; 5:2 პანტელეევსი 36'41; 5:3 კარაჩუნი 37'53; 6:3 ბელიავსკი 41'06

**ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ 7:2**

2:1 4:1 1:0

0:1 ბობროვნიკოვი 1'39; 1:1 ნულანდერი 5'05; 2:1 სედინი 18'36; 3:1 ჰუსელიუსი 25'33; 4:1 ჰაკანსონი 26'16; 4:2 ლიტვინენკო 30'49; 5:2 ჰუსელიუსი 38'38; 6:2 მოდინი 38'58; 7:2 ნორდი 59'58

B ჯგუფი

**ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 6:2**

2:1 0:0 4:1

1:0 პლავუხა 1'20; 2:0 შატანი 10'41; [...] ფელიჩეტი 13'35; 3:1 პლავუხა 42'00; [...] ფელიჩეტი 43'05; 4:2 ბარტოსი 46'5[...] 5:2 შატანი 51'36; 6:2 პარდავი 58'40

**ᲤᲘᲜᲔᲗᲘ — ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ 3:3**

0:0 1:2 2:1

0:1 ბრანდნერი 20'21; 0:2 ჰოხენბერგი 34'[...] 1:2 ნიინიმაა 39'56; 2:2 ჰენტუნენი 43'[...] 3:2 ტიკანენი 56'37; 3:3 ბრანდნერი 59[...]



საქართველოს ხელბურთის ასოც[...]აცია მწუხარებით იუწყება, რო[...] გარდაიცვალა ვეტერანი ხელბ[...]რთელი, 60-იანი წლების თბილი[...]სის „ბურევესტნიკის" მეკარე

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

და თანაუგრძნობს განსვენებულ[...] ოჯახს

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელ[...]ბურთელთა პირველი თაობის მო[...]თამაშენი მწუხარებით იუწყებია[...] რომ გარდაიცვალა საბჭოთა კა[...] შორის 1964 წლის ჩემპიონი და მრა[...]ვალგზის პრიზიორი, მსოფლიოს ჩე[...]მპიონი სტუდენტთა შორის

**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

და სამძიმარს უცხადებენ განსვე[...]ნებულის ოჯახს


# ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ᲘᲚᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲖᲘᲙᲐᲫᲔ
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲒᲣᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
კალათბურთის განყოფილების გამგე ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@iberiapac.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.opentext.org.ge/sarbieli